

იოსებ ომაძე

სობედალია

საოჯახო წერილები

თბილისი, 2009 წ.

ISBN 978-9941-0-1996-8

HCopyright: იოსებ ომაძე, 2009 წ.

სარჩევი

წინასიტყვა	4
ბესარიონის დაბადება, თბილისი, 1976 წლის 23 - 30 აგვისტო	
1. 1976 წლის 23 აგვისტო, ღია - სოსოს*	5
2. 1976 წლის 23 აგვისტო, სოსო - ღიას	5
3. 1976 წლის 23 აგვისტო, ღია - სოსოს*	5
4. 1976 წლის 23 აგვისტო, სოსო - ღიას	5
5. 1976 წლის 23 აგვისტო, ღია - სოსოს*	5
6. 1976 წლის 24 აგვისტო, ღია - სოსოს*	6
7. 1976 წლის 24 აგვისტო, სოსო - ღიას	6
8. 1976 წლის 24 აგვისტო, ღია - სოსოს*	6
9. 1976 წლის 24 აგვისტო, სოსო - ღიას	6
10. 1976 წლის 24 აგვისტო, ღია - სოსოს*	7
11. 1976 წლის 25 აგვისტო, სოსო - ღიას	7
12. 1976 წლის 26 აგვისტო, სოსო - ღიას	8
13. 1976 წლის 26 აგვისტო, ღია - სოსოს*	8
14. 1976 წლის 26 აგვისტო, სოსო - ღიას	8
15. 1976 წლის 26 აგვისტო, ღია - სოსოს*	9
16. 1976 წლის 27 აგვისტო, სოსო - ღიას	9
17. 1976 წლის 27 აგვისტო, სოსო - ღიას	9
18. 1976 წლის 28 აგვისტო, სოსო - ღიას	9
19. 1976 წლის 28 აგვისტო, ღია - სოსოს*	10
20. 1976 წლის 28 აგვისტო, ღია - სოსოს*	10
21. 1976 წლის 29 აგვისტო, სოსო - ღიას	10
22. 1976 წლის 30 აგვისტო, ღია - სოსოს*	11
23. 1976 წლის 30 აგვისტო, სოსო - ღიას	11
ბესარიონი - ბებია ვენერასა და მამიდა გულიკოს, თბილისი, 1976 წლის 31 აგვისტო - 1977 წლის 16 აპრილი	
წერილი № 1. 1976 წლის 31 აგვისტო	11
წერილი № 2. 1976 წლის 1 სექტემბერი	12
წერილი № 3. 1976 წლის 4 სექტემბერი	12
წერილი № 4. 1976 წლის 8 სექტემბერი	13
წერილი № 5. 1976 წლის 19 სექტემბერი	14
წერილი № 6. 1976 წლის 4 ოქტომბერი	14
წერილი № 7. 1976 წლის 19 და 21 ოქტომბერი	15
წერილი № 8. 1976 წლის 15 ნოემბერი	16
წერილი № 9. 1976 წლის 18 დეკემბერი	16
წერილი № 10. 1977 წლის 19 იანვარი	17
წერილი № 11. 1977 წლის 18 მარტი და 16 აპრილი	18
ბესარიონი - ბებია ვენერასა და მამიდა გულიკოს, ერთაშორისადა, 1977 წლის 7 ივლისი - 27 აგვისტო	
წერილი № 1. 1977 წლის 7 ივლისი	19
წერილი № 2. 1977 წლის 10 ივლისი	19
წერილი № 3. 1977 წლის 12 ივლისი	20
წერილი № 4. 1977 წლის 15 ივლისი	21
წერილი № 5. 1977 წლის 23-24 ივლისი	21
წერილი № 6. 1977 წლის 26 ივლისი	22
წერილი № 7. 1977 წლის 29 ივლისი	22
წერილი № 8. 1977 წლის 29 ივლისი	23

წერილი № 9. 1977 წლის 7 აგვისტო	23
წერილი № 10. 1977 წლის 8 აგვისტო	24
წერილი № 11. 1977 წლის 10 აგვისტო	24
წერილი № 12. 1977 წლის 14 აგვისტო	25
წერილი № 13. 1977 წლის 20 აგვისტო	25
წერილი № 14. 1977 წლის 24 აგვისტო	26
წერილი № 15. 1977 წლის 27 აგვისტო	26

დათუნას დაბადება, თბილისი, 1977 წლის 26 ოქტომბერი - 2 ნოემბერი

1. 1977 წლის 26 ოქტომბერი, სოსო - ლიას.....	27
2. 1977 წლის 26 ოქტომბერი, ლია - სოსოს*	27
3. 1977 წლის 26 ოქტომბერი, სოსო - ლიას	27
4. 1977 წლის 26 ოქტომბერი, ლია - სოსოს*	27
5. 1977 წლის 26 ოქტომბერი, ლია - სოსოს*	28
6. 1977 წლის 27 ოქტომბერი, ლია - სოსოს*	28
7. 1977 წლის 27 ოქტომბერი, სოსო - ლიას	28
8. 1977 წლის 28 ოქტომბერი, სოსო - ლიას	29
9. 1977 წლის 28 ოქტომბერი, ლია - სოსოს*	29
10. 1977 წლის 28 ოქტომბერი, სოსო - ლიას	29
11. 1977 წლის 28 ოქტომბერი, ლია - სოსოს*	29
12. 1977 წლის 28 ოქტომბერი, სოსო - ლიას	30
13. 1977 წლის 26 ოქტომბერი, ლია - სოსოს*	30
14. 1977 წლის 28 ოქტომბერი, სოსო - ლიას	30
15. 1977 წლის 29 ოქტომბერი, სოსო - ლიას	30
16. 1977 წლის 30 ოქტომბერი, ლია - სოსოს*	30
17. 1977 წლის 30 ოქტომბერი, სოსო - ლიას	31
18. 1977 წლის 30 ოქტომბერი, ლია - სოსოს*	31
19. 1977 წლის 31 ოქტომბერი, სოსო - ლიას	31
20. 1977 წლის 31 ოქტომბერი, სოსო - ლიას	32
21. 1977 წლის 31 ოქტომბერი, ლია - სოსოს*	32
22. 1977 წლის 31 ოქტომბერი, ლია - სოსოს*	32
23. 1977 წლის 31 ოქტომბერი, ლია - სოსოს*	32
24. 1977 წლის 1 ნოემბერი, სოსო - ლიას	32
25. 1977 წლის 2 ნოემბერი, სოსო - ლიას	33

დათუნა - ბებია ვენერასა და მამიდა გულიკოს,

თბილისი, 1977 წლის 9 ნოემბერი და 6 დეკემბერი

წერილი № 1. 1977 წლის 9 ნოემბერი	33
წერილი № 2. 1977 წლის 6 დეკემბერი	33

ბესარიონი - ბებია ვენერასა და მამიდა გულიკოს,

თბილისი, 1978 წლის 22 თებერვალი და 5 აპრილი

წერილი № 1. 1978 წლის 22 თებერვალი	34
წერილი № 2. 1978 წლის 5 აპრილი	34

ბესარიონი - ბებია ვენერასა და მამიდა გულიკოს,

ანანური, 1978 წლის 20 ივლისი - 27 აგვისტო

წერილი № 1. 1978 წლის 20-21 ივლისი	35
წერილი № 2. 1978 წლის 23 ივლისი	35
წერილი № 3. 1978 წლის 25 ივლისი	36
წერილი № 4. 1978 წლის 30 ივლისი	36
წერილი № 5. 1978 წლის 1 აგვისტო	37
წერილი № 6. 1978 წლის 8 აგვისტო	38
წერილი № 7. 1978 წლის 15 აგვისტო	38
წერილი № 8. 1978 წლის 24 აგვისტო	38
წერილი № 9. 1978 წლის 27 აგვისტო	39

დათუნას წერილი ბებია ვენერას,

თბილისი, 1978 წლის 27 ოქტომბერი

39

სახელა — ლიასა და შავშვიძის,

borjomi, Likani, 1979 wl is Teber val i

წერილი № 2. 1979 წლის 14 თებერვალი	40
წერილი № 3. 1979 წლის თებერვალი	40
წერილი № 6. 1979 წლის 21 თებერვალი	40
წერილი № 9. 1979 წლის 26 თებერვალი	41
წერილი № 10. 1979 წლის 1 მარტი	41

ბესარიონი და დათუნა — ბებია ვენერასა და მამიდა გულიკოს,
არშა, 1979 წლის აგვისტო - სექტემბერი

წერილი № 2. 1979 წლის 13 აგვისტო	42
წერილი № 3. 1979 წლის 17 აგვისტო	42
წერილი № 4. 1979 წლის 23 აგვისტო	43
წერილი № 5. 1979 წლის 29 აგვისტო	43
წერილი № 6. 1979 წლის 3 სექტემბერი	43
წერილი № 7. 1979 წლის 4 სექტემბერი	44

ბესარიონი და დათუნა — ბებია ვენერასა და მამიდა გულიკოს,
ბაკურიანი, 1980 წლის ივლისი - აგვისტო

წერილი № 2. 1980 წლის 11 ივლისი	44
წერილი № 3. 1980 წლის 15 ივლისი	45
წერილი № 4. 1980 წლის 17 ივლისი	45
წერილი № 5. 1980 წლის 18 ივლისი	46
წერილი № 6. 1980 წლის 19 ივლისი	46
წერილი № 7. 1980 წლის 20 ივლისი	47
წერილი № 8. 1980 წლის 21 ივლისი	47
წერილი № 9. 1980 წლის 23 ივლისი	47
წერილი № 10. 1980 წლის 24 ივლისი	48
წერილი № 15. 1980 წლის 13 აგვისტო	48

ბესარიონი და დათუნა — ბებია ვენერასა და მამიდა გულიკოს,
ბაკურიანი, 1982 წლის 10 ივლისი - 25 აგვისტო

წერილი № 1. 1982 წლის 10 ივლისი	49
წერილი № 3. 1982 წლის 15 ივლისი	50
წერილი № 4. 1982 წლის 15 ივლისი	50
წერილი № 5. 1982 წლის 20 ივლისი	50
წერილი № 7. 1982 წლის 27 ივლისი	51
წერილი № 8. 1982 წლის 29 ივლისი	51
წერილი № 9. 1982 წლის 2 აგვისტო	51
წერილი № 10. 1982 წლის 8 აგვისტო	52
წერილი № 11. 1982 წლის 13 აგვისტო	52
წერილი № 12. 1982 წლის 17 აგვისტო	52
წერილი № 13. 1982 წლის 20 აგვისტო	52
წერილი № 14. 1982 წლის 22 აგვისტო	53
წერილი № 15. 1982 წლის 25 აგვისტო	53

ბესარიონი და დათუნა — ბებია ვენერასა და მამიდა გულიკოს,
ბაკურიანი, 1983 წლის ივლისი - აგვისტო*(ყველა წერილის გაგრძელება დაკარგულია)*

წერილი № 1. 1983 წლის 11 ივლისი	54
წერილი № 2. 1983 წლის 15 ივლისი	54
წერილი № 3. 1983 წლის 17 ივლისი	54
წერილი № 4. 1983 წლის 21 ივლისი	54
წერილი № 5. 1983 წლის 22 ივლისი	54
წერილი № 6. 1983 წლის 26 ივლისი	55
წერილი № 7. 1983 წლის 29 ივლისი	55
წერილი № 8. 1983 წლის 7 აგვისტო	55
წერილი № 10. 1983 წლის 15 აგვისტო	55
წერილი № 14. 1983 წლის 28 აგვისტო	55

ბესარიონი და დათუნა – ბებია ვენერასა და მამიდა გულიკოს,
ბაკურიანი, 1987 წლის ივლისი – აგვისტო

წერილი № 5. 1987 წლის 21 ივლისი**	56
წერილი № 6. 1987 წლის 22 ივლისი***	56
წერილი № 8. 1987 წლის 24 ივლისი***	56
წერილი № 9. 1987 წლის 25 ივლისი**	56
წერილი № 10. 1987 წლის 26 ივლისი***	57
წერილი № 11. 1987 წლის 26 ივლისი**	57
წერილი № 12. 1987 წლის 28 ივლისი***	57
წერილი № 13. 1987 წლის 4 აგვისტო**	57
წერილი № 14. 1987 წლის 4 აგვისტო***	57
წერილი № 15. 1987 წლის 5 აგვისტო**	58
წერილი № 17. 1987 წლის 9 აგვისტო**	58
წერილი № 18. 1987 წლის 10 აგვისტო***	58

სოსო – ლიასა და ბავშვებს,

თბილისი, 1988 წლის ივლისი – აგვისტო

წერილი № 1. 1988 წლის 26 ივლისი	58
წერილი № 2. 1988 წლის 28 ივლისი	59
წერილი № 3. 1988 წლის 3 აგვისტო	59
წერილი № 4. 1988 წლის 8 აგვისტო	60
წერილი № 5. 1988 წლის 17 აგვისტო	60

ბესარიონი და დათუნა – ბებია ვენერასა და მამიდა გულიკოს,
ბაკურიანი, 1991 წლის აგვისტო

წერილი № 1. 1991 წლის 4 აგვისტო**	61
წერილი № 2. 1987 წლის 6 აგვისტო***	61

* – წერილი დაწერილია ლიას მიერ.

** – წერილი დაწერილია ბესოს მიერ.

*** – წერილი დაწერილია დათუნას მიერ.

წინასიტყვა

2009 წლის 1 თებერვალს ჩემმა მეუღლემ, ქალბატონმა ლიამ, მთხოვა (უფრო მოთხოვნას ჰგავდა), რომ მისთვის მიმეძღვნა წიგნი, რომელსაც ექნებოდა სათაური: “სობედალია”; თან მკითხა, აბა, თუ მიხვდები, რას ნიშნავს ეს სახელიო. მცირე ხნის დაფიქრება დამჭირდა, რომ ქარაგმა ამომეხსნა: სახელი წარმოქმნილია ჩვენი ოჯახის ოთხი წევრის საწყისი ასოების შეერთებით: სოსო + ბესო + დათო + ლია = სობედალია... და აჰა – დაპირებული წიგნიც! იგი შევადგინე ჩემს მიერ მიწერილი წერილებით, რომლებიც დავალაგე ქრონოლოგიურად. ამ წერილებს ხშირად ვწერდი ჩემი შეილების, ბესარიონისა და დავითის, სახელით, ისინი იწერებოდა, როგორც იწერება კერძო წერილები საერთოდ – ყოველგვარი წინასწარი გეგმის გარეშე; მათში მთავარია უშუალოება და არა ფორმის მხრივ განსაკუთრებულ დახვეწილობაზე ზრუნვა; არც დასაბუჯდად მომზადებისას შემიგანია მათში ცვლილება, მცირე კალმის-მიერი ლაფსუსის გასწორების გარდა (მოგიერთი წერილი თვით ლიასა და ბავშვების მიერ არის დაწერილი, ისინი სარჩევში ვარსკვლავებით აღვნიშნე). სამწუხაროდ, წერილების ნაწილი დაიკარგა, ნაწილისას კი მხოლოდ დასაწყისს მივაკვლიე. წერილები არ იყო განკუთვნილი გამოსაქვეყნებლად, ამიტომ მათში ბევრია (აღბათ – უმეტესი ნაწილიც) მხოლოდ ჩვენი ოჯახის წევრებისთვის საინტერესო, მაგრამ, ცხადია, ამას პირად წერილებში გვერდს ვერ ავუვლიდი; მეორეს მხრივ კი, ქალბატონმა ლიამ სწორედ წიგნის მიძღვნა მთხოვა და ამიტომ (სიგყვა – სიგყვაა!) წიგნად ვაქციე...

მემოთქმულის გამო, წიგნი სიმბოლური გორაკით იბეჭდება – მხოლოდ ოჯახის წევრებისა და ახლობელთათვის.

P. S. ახალ გამოცემაში შესაძლოდ მივიჩნე, დამემაგებინა ჩემი შვილიშვილის, პაგარა სოსო ომაძის, სახალისო ამბები.

ბესარიონის დაბადება, 1976 წლის 23-30 აგვისტო

(ლიას წერილები დაწერილია თბილისის IV სამშობიაროში)

1.

[1976 წლის 23 აგვისტო, ღია – სოსოს]

სოსო, მამიკო გახდი, ბიჭი გვყავს; შავი თმები აქვს, წონა – 3 [კილოგრამი] და 500 [გრამი], სიგრძე – 51 სმ.

გოცნი, ღია.

[ნაწერია ფანქრით, ძალიან მკრთალად; ფურცლის – სასკოლო რვეულის მომწვანო ყდის ნახევარია – მეორე მხარეს ფანქრითვე წერია: “სოსო ომაძე”; შემდგომ ჩემი ხელით ამავე მხარეს პასტიანი კალმისტრით მიმიწერია: “თორმეტს აკლდა თხუთმეტი წუთი, როცა გადმომცეს ეს ბარათი, 1956 წლის 23 აგვისტო”].

2.

[1976 წლის 23 აგვისტო, სოსო – ღიას]

საყვარელო ღია!

უზომოდ მოხარული ვარ! გილოცავ დედობას, დიდ ტკივილს დიდი სიხარული მოსდევს ყოველთვის. ისე ვარ დაბნეული, არ ვიცი, რა დავწერო. კიდევ მოიწერე – რა გინდა, რომელ პალატაში ხარ. პირდაპირ ხელი მიკანკალებს და შეიძლება, ხეირიანად ვერც წაიკითხო.

გოცნი, შენი სოსო.

3.

[1976 წლის 23 აგვისტო, ღია – სოსოს]

სოსო, ნაკერები მაქვს, ჩამჭრეს და ეხლა გამკერეს, სულ თუშიშვილი მადგას თავს. ბევრი იწვალეს, რომ არ იხსნებოდა. სოსო, გამომიგზავნე 10 მან. და 2-3 მანეთიანი, ამ გოგოს ხომ მიეცი, რომ გახარა. ძალიან მომეხმარა [...] გაუნძრევლად უნდა ვიწვე დღეს [...] ჭამით კი მეჭმევა [...] ჯერ პალატაში [...]

შენი ლია.

[ფანქრით იმდენად მკრთალად არის ნაწერი, რომ ალაგ-ალაგ ნაწერის წაკითხვა ვერ შეეძლო. ქვევით წერია: “ომბაქე”, ალბათ, რომ ბარათი ჩემთვის გადმოეცათ].

4.

1976 წლის 23 აგვისტო [სოსო – ლიას]

ჩემო კარგო ლია!

გთხოვ, უპირველეს ყოვლისა, შემატყობინო, თავს როგორ გრძნობ, ხომ ყველაფერი რიგზეა? შემდეგ რა გჭირდება, ხვალ რომ მოგიტანო (ფული, ჭურჭელი, პირსახოცი, საჭმელი და ა. შ.). ახლა საჩქაროდ მომწერე ორი სიტყვა. შემდგომში წინასწარ დაწერე ხოლმე წერილი, თუ ქალაქი და ფანქარი არ გაქვს, მოიწერე, გამოგიგზავნი.

ეს ფაფა დედამ გაგიკეთა. უზომოდ უხარია, გერმანე ბიბიამ ახარა. გულიკო კინოსტუდიაშია, ორ ცვლას მუშაობს. ტელეფონით შევატყობინეთ და უთქვია – სიხარულით არ მჯერაო!

ხვალ დილამდე! ბესარიონა როგორ მოგეწონა?

შენი სოსო.

5.

[1976 წლის 23 აგვისტო, ლია – სოსოს]

სოსო, მე ახლა რა მიჭირს წინა დღეებთან შედარებით, მეორედ დავიბადე. ცოტა მძიმე მშობიარობა მქონდა და ჩამჭრეს; ნაკერები მაქვს, მაგრამ არა უშავს, ხუთ დღეში გაივლის, მანამდე ჩემი ადგომა არ შეიძლება. თუშიშვილმა გამიკეთა ყველაფერი, თორემ დღესაც ისე ვიქნებოდი, არავინ ყურადღებას არ მაქცევდა.

მომიტანე თეფში, კოვზი, საპონი, ხელსახოცები, ქალაქი, ფანქარი; ჩემოდანშია პრსაწმენდი და ჩასაცმელები. მეჭმევა ფაფა, კისელი, ორცხობილა; პური არ შეიძლება, გაშლი [...]

კალამი აღარ წერს [...]

[ფურცლის მეორე მხარეს აწერია: “მე-22 პალატაში ვარ, გამომიცვალეს” და ქვევით: “ომბაქე”].

6.

[1976 წლის 23 აგვისტო, ლია – სოსოს]

სოსო, ბესარიონს კარგად დავაცქერდი: შავი თმები აქვს, სახე – თეთრი, მგონი, ორივეს გვგავს. დღეს მეტყვის ექიმი, როგორ არის. მოყვანით როდის მომიყვანენ, არ ვიცი. მე რომ ხუთი დღე უნდა ვიწვე, მგონი, მეოთხე-მეხუთე დღეზე მოჰყავთ. მე ჯერ რძე არ მაქვს. სოსო, მომიტანე ცოტა ორცხობილა, 1 პარკი შაქრის ფხვნილი, დანა, სასვრები, უჯრაში რომაა პლასტმასის, თეფში.

სოსო, ხილი და საჭმელი ბევრი არაფერი არ მინდა, ჯერჯერობით.

სოსო, თუშიშვილს რას უშვრები, მომწერე. ამ წერილს რომ ვწერდი, შემოვიდა და მითხრა, როგორა ხარ, ბავშვი კარგად არისო.

გუშინ ნუნუ კალმახელიძე იყო, წერილი გამომიგზავნა, როგორა ხარ, 2 საათია გეძებო. მე შეგუთვალე, კარგად ვარ, ბიჭი გვყავს-მეთქი. წერილი ვერ მივწერე, ამ ქალმა არ დამიცადა, თანაც საწერი არაფერია, ვწევარ და მიჭირს, ხან პასტა თავდება, ხან რა.

კვირა საღამოს ძალიან ცუდად რომ ვიყავი, იქ ბლოკში დარეკა მარომ, ბესოს ცოლმა, ხომ არაფერი გინდაო. მე გუთხარი მადლობთ, ძალიან ცუდად ვარ-მეთქი.

იმ საღამოს, მე რომ გითხარი, წადი-მეთქი, ექთანმა მითხრა, ძილის წამალს მოგცემ და დაიძინებო. გამიკეთა საძილე ნემსი და დამალევიანა ანალგინი. უცბად გამიხდა ცუდად გული და გამიკეთა კარდიამინი და დამალევიანა ვალკოორდინი. ტკივილები ცოტა გამიყუჩდა, მაგრამ მთელი დამე თვალი ვერ მოვხუჭე. მეორე დღით მთვრალივით ვიყავი და სიცხე მქონდა 37 და 7 ხაზი, ე. ი. ორშაბათ დილას, თუშიშვილი როგორც კი მოვიდა, შემოვიდა და მკითხა, როგორ ხარო. მე გუთხარი, ცუდად-მეთქი. წამიყვანა, გამსინჯა, გამიკეთა ნემსები – გლუკოზა და ბევრი რაღაცეები და ორ საათში მამშობიარა. ნაკერებიც თვითონ გააკეთა. ძალა რომ აღარ მქონდა, გამიჭირდა.

სოსო, რაიმე საინტერესო წიგნი მომიტანე, მომწყინდა ასე წოლა. გულიკო იყო ეხლა, ეტყობა, გხარებულისა.

სოსო, ჩვენებს რას უშვრები, არავინ [რომ] არ გამოჩენილა? გააგებინე. გოცნის შენი ღია.

7.

1976 წლის 24 აგვისტო [სოსო – ღიას]

ღია, საყვარელო!

თუშიშვილს დღეს შევხვდები.
სალამოს რა მოგიტანო და დილას.
დაწერე და ამ ქალს გამოატანე.
ფული, საათი თუ მიიღე?
შენი სოსო.

[ფურცლის უკანა მხარეს აწერია: “№22 პალატა ომაძე”, ღიას ხელით კი: “სინტომიცინის მალამო”].

8.

[1976 წლის 23 აგვისტო, ღია – სოსოს]

სოსო, ეგ წერილი წინასწარ დაგწერე და პირდაპირ გამოგიგზავნე. რაც მოიტანე – ორცხობილა და თეფშები – აღარ მინდა. ეს ამდენი თეფშები არ მინდა და მეორედ რომ მოხვალ, ბადურა გამოგზავნე, რაც ხესმეტია, გამოატან. დღეს ნულარ მოხვალ, არაფერი არ მინდა. ამ წერილის წერის დროს შემოვიდა ეს ქალი და მითხრა, წასულა და მე ვუთხარი, ეზოშია-მეთქი და გამოვატანე – ეს ფაფა გუშინ ვერ შეჭამე, დღეს შევჭამ.

მე კარგად ვარ.

[ფურცლის უკანა მხარეს აწერია: “ომაძე”].

9.

1976 წლის 24 აგვისტო [სოსო – ღიას]

სალამი ჩემო საყვარელო ღია!

გუშინ, როცა შენი წერილი გადმომიგდეს ფანჯრიდან, საოცრად ცუდ გუნებაზე დავდექი – ამდენ ტანჯვა-წვალებას კიდევ ეს გართულება რაღად უნდოდა! მოძმარული მივედი შინ და იქ ცოტა დამაიმედეს მეზობლებმა – ეგ ჩაჭრა ჩვეულებრივი მოვლენააო. ეს გადაუტანიათ მაროს რძალს ლუდას, ჩვენს მეზობელ ნუნუს... სხვათა შორის, თითქმის ყველა მეზობლები დავიარე და ყველა გვილოცავს ვაჟიშვილის შექმნას, მოკითხვას გითვლიან ლუბა, მარო დეიდა, ტონია და სხვები.

მარო დეიდამ მითხრა, რომ სითხე ბევრი მაინცდამინც არ მიიღოს, შეიძლება, რძე მოაწვესო. შენ მანდ ალბათ ყველაფერს გეტყვიან, როგორ და რა არის საჭირო. ხომ იცი, მანდ როგორი ხალხია – გიგზავნი ფულს და გააკეთე ყველაფერი (მასაჟი, გამოწველა რძისა, სუდნოს მოტანა და ა. შ.). დედაჩემმა ფული მომცა და ნუ შეიზღუდავ თავს. თუ კიდევ დაგჭირდეს, მომწერე.

ბოდიში, რომ აბნეულ-დაბნეულად გწერ. გუშინ ღია ბრათები გაეუზგზავნე დედაშენს, ნათელას, ანიკო დეიდას და სხვებს. დღეს ალბათ დაგურეკავ გერმანე ხუციშვილს, გაიოხს ვნახავ უნივერსიტეტში.

მთავარი სიმნელები უკან დარჩა. ახლა მთავარია, რაიმე გართულებებს არ ჰქონდეს ადგილი. ამისთვის საჭიროა, რომ კარგი კვება გქონდეს. მომწერე, სალამოს რა მოგიტანო. არაჟანი თუ შეიძლება შენთვის? ხაჭო? რძე? გიგზავნი ფაფას, ჩემი გაკეთებულია.

თუშიშვილმა თუ გნახა?

ტკივილები თუ გაწუხებს?

მე ეზოში ვუცდი შენს პასუხს, ნუ ჩქარობ, თუ შეგიძლია, ყველაფერი მომწერე და გოგოებმა გადმოაგდონ ფანჯრიდან. ეტყობა, კარგები არიან და ცოტას მაინც დაგეხმარებიან. დიდი მადლობა გადაეცი.

პალატა თუ მოგწონს? თუ არა, მომწერე და მოვახერხებ უკეთესში გადაყვანას.

ფაფა ჭამე, სანამ ცხელია. ბადე წერილთან ერთად გადმოაგდონ ფანჯრიდან.

გოცნი შენ და ბესარიონას,

შენი სოსო.

ცოტა დამაგვიანდა მოსვლა, ხელსახოცების შოვნა გამიჭირდა და დიდი ბოლიში. არ დაგავიწყდეს, სადამოსთვის რა გინდა? ფაფა ხომ არ მოგბეზრდა? რას იზამ, ცოტა უნდა კიდევ მოითმინო, საყვარელო.

გიგზავნი საათს, დაქოქვა არ დაგავიწყდეს.

10.

[1976 წლის 24 აგვისტო, ღია – სოსოს]

სოსო, ფული და საათი მივიღე. ნუღარ წვალობ, დღეს ყველაფერი მაქვს, სახლში დაისვენე. რომ ავდგები, მერე მოდი ხოლმე სშირად მიიძღვა, ფანჯრაში მერე ბესარიონაც დაგანახო. ახლა ფანჯრები რომაა დაკეტილი, ბავშვებია და არ შეიძლება გაღება. ეს პალატა ცუდი არ არის, ცხრასაწოლიანია.

არაჟანი, მაწონი და ხაჭო აღარ მინდა. შენ მშიერი არ იყო.

ღია.

[ფურცლის უკანა მხარეს აწერია: “ომამე”].

11.

1976 წლის 25 აგვისტო [სოსო – ღიას]

სალამი საყვარელო ღია!

აი, ბესარიონა უკვე ორი დღისაა. თუ ნახე? გუშინ დაგურეკე გერმან ხუციშვილს, გილოცავს და მოკითხვას გითვლის. გაიოზი შეგბულებაშიაო, მითხრეს უნივერსიტეტში, გერმანემ კი თქვა, რომ ალბათ ლანჩხუთში იქნება წასულიო.

თუშიშვილი გუშინ ვნახე, არ ეცალა.

სადამოსთვის რა მოგიტანო?

ეცადე, პასტიანი კლმისტრით წერო, ფანქრით [ნაწერი] ცუდად ჩანს.

ტკივილები თუ გაწუხებს? სიცხე თუ გაქვს?

მადა თუ გაქვს? რძე თუ მოგივიდა?

წიგნი თუ მოგეწონა?

ახლა ალბათ პირველი წერილი მზად გაქვს და ამ ქალს გამოატანე, მე მოვიცდი კიდევ და თუ მეორე წერილს დაწერ (მოკლედ მაინც), ფანჯრიდან გადმოგაღებინე.

გეოცნი, შენი სოსო.

P. S. ღია, ნუნუ გვაძლევს აკვანს, მე ჯერჯერობით უარი ვუთხარი, შენ როგორ ფიქრობ, ხომ არ გამოვართვა?

სოსო.

12.

1976 წლის 26 აგვისტო [სოსო – ღიას]

საყვარელო ღია!

დღეს როგორ გრძნობ თავს? ტკივილები თუ გაწუხებს? წინა წერილში* ამის შესახებ არაფერს იწერები.

ბესარიონა თუ მოიყვანეს? რძე აჭამე?

გუშინ ვერა და გერმანე იყვნენ დიღომში დედაჩემთან. მე ვერ მივუსწარი, ცოტა ხნით ყოფილიყვნენ, მანქანა ელოდათ. შეიძლება, დღეს შენთან მოვიდნენ.

გუშინ მასტიკა წაგუსვი ოთახში და დერეფანში და მოვაპრიალე.

სადამოს რა მოგიტანო? ძალიან გთხოვ, ნუ გერიდება. მე ახლა მეტი საიფქრალი არაფერი მაქვს, შენი და ბესარიონას გარდა. საოცრად მომენატრე, უშენოდ შინ ობლობას ვგრძნობ.

გეოცნიით ორთავეს,

შენი სოსო.

ფული ხომ არ გამოგიგზავნო?

პასტიანი კალმისტარი დაწერს, თუ შევეულად დაიჭერ.

[ფურცლის მეორე მხარეს აწერია: “№22 პალატა, ღია ომამე”].

* – ღიას წინა წერილი (№5) ვერ ვნახე, შესაძლოა, დაიკარგა.

13.

[1976 წლის 26 აგვისტო, ღია – სოსოს]

სოსო, დღეს მომიყვანეს ბესარიონი. მე რძე ჯერ არ მომსვლია და არ ვიცი, რატომ. მითხრეს, აუცილებლად მოატნინე სასწრაფოდ, ყველა აფთიაქში ყოფილა, “კალპანოკი”. გამოვხარ-შავდი და თუ რძე მექნება, იმითი მოაწოვეო, იმიტომ, რომ თავებს ვერ იღებს პირში, პატარები რომაა. ესლავე გადი აფთიაქში და ერთი-ორი გამომიგზავნე, იქნებ ხვისთვის მექნეს რძე, ზოგს გვიან მოსდის.

შენი ღია.

[შემდეგ ნახატია და მის ქვეშ აწერია:]

სოსო, ასეთიც იყიდე აფთიაქში, რძის გამოსაწველია, სახელი არ იცინან.

P. S. ეს წერილი გუში დავწერე, წუხელ ვერა და გერმანა* იყვნენ და ეს ნამცხვარი მოიტანეს. მე არ მეჭმევა, ცხელი იყო გუშინ. თუ გინდა, დიღომში წაიღე და ერთად ჭამეთ, შენ ვერ მოერი.

P. P. S. სოსო, თუ ჩქარა იქნება, ესენი იყიდე აფთიაქში, წაიღე დიღომში** და იქ კარგად გამოხარშეთ, – ხომ იცი, სახლში სხვა არის, ოღონდ ჩქარა მომიტანე.

P. P. P. S. დიღის 5 საათზე ექთანმა მასაჟი გამიკეთა, 2 მანეთი მივეცი და ხსენი ბევრი გამომივიდა.

P. P. P. P. S. სახლში რომ მიხვალ, ჩემოდანში რომ ქოშებია წამომიღე.

[ფურცლის უკანა მხარეს აწერია: “ომამე”].

* – ღიას და და სიძე.

** – იქ ცხოვრობდნენ დედაჩემი ვენერა და და გულიკო.

14.

1976 წლის 26 აგვისტო [სოსო – ღიას]

საყვარელო ღია!

დრო რომ მომეგო, შინ წავედი და მე თვითონ გამოვხარშე, გახვეულია, აგრეთვე, სტერილურ ბინტში. რეზინის ნაწილებს მღუღარე გადავაფლე.

პომიდორი გარეცხილია.

ხილი რა მოგიტანო? ან სხვა რა შეიძლება საჭმელი?

ფანჯარასთან გელი და ბადე გადმოაგდე.

ფული თუ გინდა?

სოსო

ღია, ხომ გახსოვს, ორივე ძუძუ ერთად არ უნდა გამოიწველო.

15.

[1976 წლის 26 აგვისტო, ღია – სოსოს]

სოსო, ეს საბუთებია საჭირო ბავშვის მეტრიკისთვის, ისე არ გამოგვწერენ.

1. ეს ცნობა.
2. შენი და ჩემი პასპორტი.
3. ქორწინების მოწმობა.

უნდა მიიტანო ესენი მმაჩ-ის ბიუროში ჩვენი რაიონის და მოგცემენ მეტრიკას. დღეს ან ხვალ გააკეთე, იმიტომ, რომ შაბათ-კვირას მმაჩ-ის ბიურო არ მუშაობს და შეიძლება, ორშაბათს ან სამშაბათს გამომწერონ; მერე მომცემენ მიმართვას და მოიყვან უბნის ექიმს. ჯერ ეს მეტრიკა გააკეთე.

ესლა დედაჩემი იყო და ეს წიწილის ბულიონი მომიტანა. ახალი გაკეთებულა, ნახევარი შეეჭამე და ნახევარს გიგზავნი. რომ მიხვალ სახლში, ჭამე, მე ხორცი არ მეჭმევა. დანარჩენი ჭუჭყიანი ქილებია და შენ დარეცხე, მე მიჭირს ცივ წყალში.

გოცნის შენი ღია.

16.

1976 წლის 27 აგვისტო [სოსო – ლიას]

სალამი საყვარელო ლია!

გუშინ, როცა ფანჯრაში დაგინახე, სინარულისგან არ ვიცოდი, რა მექნა, სულ არ მოველოდი. ცოტა კიდევ და მოშორდები მაქაურობას. ალბათ საოცრად მოგბეზრდა მანდ და ისეთი გრძნობა გაქვს, თითქოს ერთი წელია, უკვე მანდ ხარ.

გუშინ დედაშენი ყოფილა დედაჩემთან დილოში. წუხს თურმე, რომ საშუალება არ აქვს, დაგეხმაროს რამე. შენ უთხარი, წავიდეს ანანურში, იქ საქმე უცდება და გულს ეთანდრება. აქ ოთხი კაცი როგორმე მოგუვლით ერთ ბავშვს. ბესარიონა როგორია? ხომ ყველაფერი კარგადაა?

რატომ არ მწერ, რა მოგიტანო?

წიგნი ხომ არ გინდა სხვა? ეგ წიგნი სულ ახალი გამოსულია, მაგრამ მასში შესულია რვაზ ინანიშვილის რჩეული მოთხრობები, ამიტომ ბევრი მოთხრობა იცანი ალბათ.

აბა, კარგად. მკერდს მოუარე, თორემ, ხომ იცი, მშობიარობის ტკივილებს გაგახსენებს.

ალბათ ფანჯარაშიც გამოიჭყიტავ.

სოსო.

აქედან მივდივარ მმაჩის ბიუროში.

სალამოს რა მოგიტანო?

გიგზავნი ფულს.

[ფურცლის მეორე მხარეს აწერია: “№22 პალატა ლია ომაძე”].

17.

1976 წლის 27 აგვისტო [სოსო – ლიას]

საყვარელო ლია, გელი ქვევით.

ქათამი და ხილი მარიამმა გამოგიგზავნა.

სოსო.

[ფურცლის მეორე მხარეს აწერია: “№22 პალატა ომაძე ლია”].

18.

1976 წლის 28 აგვისტო [სოსო – ლიას]

სალამი, საყვარელო ლია!

როგორ ხარ შენ და ბესარიონა?

ფაფა, სანამ თბილია, მანამდე მიირთვი.

სამსახურში მისატანი ცნობები გაგაკეთე. ბავშვთა პოლიკლინიკაში მისვლა ვერ მოვასწარი.

თუ რამე გინდა, მოიწერე.

შენი სოსო.

[ფურცლის მეორე მხარეს აწერია: “ლია ომაძე №22”].

19.

[1976 წლის 28 აგვისტო, ლია – სოსოს]

სოსო, ჩემი სადარდებელი ეს მკერდია. წუხელ გაგაკეთებინე მასაჟი, მთელი ხსენი გამოიტანა, მაგრამ ჩემით რომ ვიკეთებდი იმ აფთიაქის ხელსაწყოთი, თავებიც გაღიზიანებულია. ცოტა რაღაც სითხე წამისვა თავებზე. ამ დღეებში მასაჟს ვაკეთებინებ, რომ ეს ცუდი რძე გამომივიდეს და დამუშავდეს მკერდი. მანამდე ამ გოგოს უმაგრდება მკერდი, მეორე ბიჭი ჰყავს, უკვე დამუშავებული თავები აქვს და ეს აწოვებს. ერთი სული მაქვს, როდის მოვა ორშაბათი, მაღე წამოვიდე. დღეს ექთანს ვუთხარი და ნაკერებს ამოგიღებო, ალბათ ახლა მოვა.

20.

[1976 წლის 28 აგვისტო, ღია – სოსოს]

სოსო, დღეს 2 საათზე ნაკერები ამომაცალეს. მაინცდამაინც არ მეტკინა, მხოლოდ იოდმა დამწვა ცოტა, ბოლოს რომ წამისვა.

მორიგე ექიმმა ამომაცალა, კლარა ჰქვია. თქვა, რომ ჯერჯერობით კარგად არის, მაგრამ სიფრთხილე უნდაო, დღეს მაინც იწექიო. საერთოდ, 40 დღემდე უნდა ვიფრთხილო, დაჯდომას ვერიდო, მერე აღარაა საშიში. სოსო, მკერდს რა ვუყო, არ ვიცი. იქნებ სახლში რამე ვუშველოთ, მაგრამ მანამდე ხომ არ ვატირებთ. აქ ერთი წუთი არ ვატირებ, თავიანთებს ანებებენ თავს, ვისაც ბევრი რძე და კარგად დამუშავებული აქვთ მკერდი მეორე, მესამე ბავშვები [ჰყავთ] და აჭმევენ.

აქ ბავშვის ექიმს უნდა ვკითხო, რა ვაჭამოთ პირველად, თუ ვერ ჩაიდო ძუძუ, რა გქნათ. ქვეყანა ხელოვნურად ზრდის, ძალიან კი გავწვალდებით. მოკლედ, ესხლა ამაზე მეტი სადარდებელი არ მაქვს.

ვნახოთ, ორშაბათ დილას მოვლენ ექიმები და თუ წამოვედით, შენ ორშაბათს ძალიან ადრეც ნუ მოხვალ: მაინც 10 საათამდე ექიმებს ვერ ვნახავ. შენ ჯერ ბავშვთა პოლიკლინიკაში მიდი და ყველაფერი გაიგე, ვინ არის ჩვენი უბნის ექიმი, რომელ საათებში შეუძლია წამოსვლა და მერე მოდი. ხვალაც მოვერიდები ბევრ სიარულს. რომ მეძახდი, კუჭში მოქმედებო, ესხლა არასასურველია კუჭში მოქმედება. რაც აქა ვარ, მშობიარობის მეოთხე დღეს ვიმოქმედე, კიდევ კარგი, შეკრულობა არ მქონდა; იმიტომ კრძალავენ მძიმე საჭმელებს და წუხელ კუჭი გამირეცხეს ოჟნით, დღეს რომ ნაკერები ამოვლოთ. დღესაც არასასურველია კუჭში მოქმედება. თუ ვიმოქმედებ – ოჟნით, რომ არ გაიხსნას ახალი ამოღებულ რომაა ძაფები.

თუ მშვიდობაა, ორი დღეც მოითმინე მარტობა. იყავი კარგად.

გოცნის შენი ბესარიონი და ღია.

21.

1976 წლის 29 აგვისტო [სოსო – ღიას]

სალამი, საყვარელო ღია!

აი, უკვე მოახლოვდა შენი და ბესარიონას შინ გამომგზავრების დრო. როგორ არის საქმე? ორშაბათს თუ სამშაბათს? იქნებ სჯობს, სამშაბათს, ბესარიონა კიდევ ერთ დღეს ნორმალურად ჭამს და ცოტა კიდევ მომაგრდება? ეს ალბათ დამოკიდებულია იმაზე, გაქვს თუ არა რძე ნორმალურად, თუ ეყოფა? მოკლედ, ეს საკითხი შენ უნდა გადაწყვიტო. ისე, ცხადია, მეც და შენც გვირჩევნია, რაც უფრო მალე იქნები შინ.

ცელოფანის პარკში რაც არის, ყველაფერი გარეცხილია. ჩავდე, აგრეთვე, მარილიც.

ღეიბი უკვე მოტანილი მაქვს შინ. დღეს მინდა, საწოლის ნაწილიც გადმოვიტანო, თუ მთლიანად ვერ შევძელი. აგრეთვე, მტვერსასრუტით გაწმენდ სკამებს და ზოგ სხვას.

არ მოიწყინო, ყველაფერი უკეთესობისკენ მიდის, აწი აღარაფერი გვიჭირს. საწვალელებელი მერეც ბევრი იქნება, მაგრამ რას იზამ – ასეთია ცხოვრება.

გოცნით შენ და ბესარიონას.

შენი სოსო.

[ფურცლის მეორე მხარეს აწერია: “პალ. №22 ღია ომაძე”].

22.

[1976 წლის 30 აგვისტო, ღია – სოსოს]

ჩემი ჩასაცმელები

ზაფხულის კაბა კარადაში კიდია თავისი ქამრით.

თმის საჭერები პატარა ჩემოდანშია ან – სააბაზანოში, აფთიაქში.

1 ცალი ბინტი, ისიც ჩემოდანშია ან სააბაზანოში, აფთიაქში.

ღლის პერანგი, ისიც იმ ჩემოდანში – ცელოფანის პარკში, ვარდისფერი.

ბავშვის ჩასაცმელები – მუყაოს ყუთში, ზევიდან რომ ჩავაწყვე, ისინი.

სოსო, ექიმი მოიყვანე, ბავშვი ჩაიბაროს; უკვე გამოწერილია, 3 საათამდე უნდა მოვიდეს, სანამ ეს ექიმი აქ არის, უკეთესია, ადრეც.

ჩემი მწვანე ნაჭრის ჩანთა წამომიღე.

ესხლა ბავშვი მყავს მოყვანილი.

23.

1976 წლის 30 აგვისტო [სოსო – ლიას]

საყვარელო ლია!

მე და გულიკო* გელით ქვევით ორთავეს.

სოსო

[ფურცლის მეორე მხარეს აწერია: "№22 ლია ომაძე"].

* – ჩემი და.

ბესარიონი – ბებია ვენერასა და მამიდა გულიკოს,

1976 წლის 31 აგვისტო – 1977 წლის 16 აპრილი

(დაწერილია: თბილისი, დიდუბის ქუჩა № 24/26,

აღრესატი: თბილისი, ახმეტელის ქუჩა №6)

წერილი № 1

1976 წლის 31 აგვისტო

ჩემო საყვარელო ბებიკო და მამიდა გულიკო!

გუშინ რომ მნახეთ, მას აქეთ ერთი დღით გავიზარდე. ეს ხუმრობა არ გეგონოთ – უფროსებს რატომღაც ყოველი დღის მიწურვით თითო დღე აკლდებათ, მე კი პირიქით – მემატება!

მართალი უნდა მოგახსენოთ, გუშინ გვრიანად დავიღაღე – ერთი სული მქონდა, სანამ ჩემს ბებიკოს, მამიდა გულიკოსა და მამიდიკოს ვნახავდი; მანამდე ხომ მათ არასდროს შევხვედრივარ! გაცნობით კმაყოფილი დავრჩი – ყველანი მიღიმოდნენ, თვალებში ჩამცქეროდნენ, რაღაც საალერსო სიტყვებს მეუბნებოდნენ. ჯერჯერობით ბევრი ვერაფერი გავიგე მათი სიტყვებიდან, იმას კი მაინც მივხვდი, რომ ცუდი ბიჭი არ უნდა ვიყო. რა ვქნა, ჯერჯერობით მხოლოდ რამდენიმე სავაჟკაცო საქმე შემიძლია, გავაკეთო მხოლოდ: დედიკოს ძუძუდან ტკბილი რძის დიდი სიამოვნებით მირთმევა (ჯერაც არ ვიცი, მყოფნის თუ არა), არნაკლებ ტკბილი ძილი (ყველაზე უფრო მიყვარს), ზოგჯერ – “ა-ა-ა!!! ა-ა-ა!!!” – პრეტენზიებს ვაცხადებ, რომ მეც კაცი ვარ და მაქვს ხმის უფლება. დედიკოს და მამიკოს ზოგჯერ ჰგონიათ, რომ ეს უკანასკნელი მეხერხება ყველაზე უკეთ, მაგრამ ცდებიან – რა ვქნა, უფროსებისა არ იყოს, მეც ათასი რამ მაწუხებს: ხან მშია, ხან მწყურია, ხან კუჭში ვერ არის რივიანად საქმე და მაშინ მეოთხე საქმეც შემიძლია თურმე: ზეწრებს ფერს ვუცვლი. არ ვიცი, დაბადებიდან დამევა ვითომ მხატვრობის ნიჭი? საოცარი ის არის, რომ საზოგადოებრიობა სრულებით არ აქცევს შესაბამის ყურადღებას ჩემს ნამუშევარს, ერთს გაკვრით თუ შეხედავენ და მაშინვე წყლიანი ტაშტისკენ უზამენ პირს. რა ჩანფიქრები ნადგურდება! იმედს მაინც არ ვკარგავ, ვნახოთ ერთი, საპონი სადამდის გასწვდებოთ! ისე კი მინცდამაინც არ ვაწუხებ დედიკოს და მამიკოს. პირველად პატარა კონცერტით მოვაწყვე, მაგრამ შემდეგ რძე გემოზე დავლიე და ლოთიფოთივით ჩამეძინა. მაგრად კი მკოჭავენ, მაგრამ არ ვეპუები, ცალ ხელს მაინც გარეთ ვყოფ. კალმისტარს ჯერ არ მაძლევენ, ამიტომ მამიკოს ვკარნახობ. დიდი-დიდი პაჩი ორთავეს.

თქვენი ბესარიონა.

წერილი № 2

1976 წლის 1 სექტემბერი

სალამი და დიდი-დიდი პაჩი საყვარელ ბებიკოს და მამიდა გულიკოს!

მოგახსენებთ გუშინდელი დღის ამბებს. სტუმარი ბევრი მყავდა: მეორე ბებია, ჯერ უნახავი უფროსი დეიდა, აგრეთვე – ნუნუ კალმანელიძე და ნანული, ჩვენი მეზობლები. ყველამ მისურვა სიტკბოებაში გაზრდა; გარდა ამისა, აგრეთვე, ყველამ გამოამუშავა ბავშვის გაზრდის ხელოვნების უდიდესი ცოდნა. ამ ბოლო რაიმეს რა უჭირს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ცოდნის მარაგს მხოლოდ თავისთვის ინახავს! სამწუხაროდ, ასეთი რამ, ჩემი დაკვირვებით, ბუნებაში ძალიან იშვიათად გვხვდება – კერძოდ, ჩემს პრაქტიკაში ასეთი შემთხვევა ჯერ არ აღმერიცხავს. თავიანთი ურთიერთსაწინააღმდეგო რჩევებით ჩემი დედიკო ისე დააბნიეს, რომ შეიძლება, ეს წერილი ვეღარც მომეწერა, მაგრამ, საბედნიეროდ, მამიკო არ მშორდებოდა გვერდიდან

და გადავჩნი. ახლა ჩვენს სახლში გამარჯვების ზეიმია (თუმცა, ვატყობ, კიდევ მრავალი მრჩეველის შემოტევა გველის). ამის აღსანიშნავად ყველგან ბაიარაღებია გამოფენილი, უმეტესად – თეთრი ბაიარაღები. რომელიც გაშრება, მაშინვე გააუთოებენ და ჩემს საწოლთან აწყობენ, რაც სრულებით არ არის ზედმეტი. ამ დილით ტკბილად მეძინა და მაინც გამსხნეს, ჩემი მხატვრული თვითშემოქმედების ნაკვალევი წაშალეს და ის იყო, სწორედ ეს ბაიარაღები უნდა გაეფინათ ქვეშ (ეს წესია ასეთი: გამარჯვებულის ფეხებთან ბაიარაღს გაფენენ ხოლმე), ჰოდა, სწორედ ამ დროს უძლიერესი ცხელი წყლის შადრევანი ავმართე პირდაპირ შეეუღლად – არ დაიჯერებთ და ნახევარ მეტრზე უფრო მაღლა ავისროლე, – ეს ჯერჯერობით ჩემი რეკორდია. მაცალეთ ცოტა კიდევ და პატარას კიდევ წავივარჯიშებ – ამბობენ, თბილისს, ამ ცხელ ქალაქს, შადრევნები აკლიათ და რაც არის, ისინიც უმოქმედოდ დგანან. აწი ნუ გეშინიათ, მწყობრში ჩადგა კიდევ ერთი, თანაც – რეგულარულად მოქმედი.

ნანული დეიდამ ისეთი საყვარელი სათამაშოები მომიტანა, რომ სიტყვები ვერ მყოფნის აღსაწერად. ერთი შინდისფერია, მეორე – ყვითელი, თანაც ორივე გასაბერია. ნანული დეიდამ პირადად გაბერა ჩვენთან და რადიოლაზე შემოაწყო. რა ცხოველებია, ვერ მოგახსენებთ, ეს მამიკომ და დედიკომაც ვერ გამოიცნეს, მიუხედავად იმისა, რომ დედიკო ბიოლოგი მყავს. მამიკოს შეეშინდა, ეს რა უცხო ცხოველია, არ გვაგნოს რამეო, მაგრამ შერცხვა თავისი უვიცობის გამოქვინებისა და არაფერი თქვა; დედიკოსაც შეშინებოდა და პირველმა იმან აღნიშნა ამ ცხოველების მეტისმეტი ეგზოტიკურობა. მართალი გითხრათ, მე არ შეშინებია, ალბათ არ ვიცი ჯერ, რა არის შიში, ან ვერ მოვასწარი შეშინება, რადგან მამიკომ სასწრაფოდ დაჩუტა ეს საფრთხობელები, და ძალიანაც ინანა: თურმე ამ საჩუქრებს სიურპრიზი ჰქონიათ – დაჩუტვისას ოთახში ბუდი დადგა და კინაღამ გავიგუდეთ (ესე იგი, მე, დედიკო და მამიკო, რადგან ნანული უკვე წასული იყო).

სხვა მხრივ არაფერი გვიშავს. დედიკოს და მამიკოს ძილი აკლიათ. ძილის მეტი მე რა მაქვს (ფუთობით!), მაგრამ სხვას ჯერჯერობით ვერ მივცემ ერთ მისხალსაც კი. ის კი არა და, როცა გჭამ, მაშინაც კი მძინავს (ეს ერთი რამაც შემძლებია. ადვილი არ გეგონოთ, აბა, თქვენც სცადეთ, თუ შესძლებთ!).

გოცნით თქვენი ქუცუნა.

წერილი № 3 1976 წლის 4 სექტემბერი

გამარჯვება, ჩემო საყვარელო ბებიებო, სანატრელო მამიდავ!

რა გქნა, წერილის მოწერა დამიგვიანდა, მაგრამ ჩემი ბრალი არ არის – მე პირადად დიდი სურვილი მქონდა; სამწუხაროდ, ხელები გაოკოილი მაქვს, მამიკოს კი არ ეცაღა... მასაც და დედიკოსაც თვალები დაწითლებული აქვთ...

(მამიკოს შენიშვნა: კარნახის დროს ამ სიტყვებამდე დამაწერინა, რომ გაისმა რაღაც გამაფრებელი გრგვინვა. ჩვენ – მე და ლიას – არც ომის დაწყება გვეგონა და არც ვულკანის ამოფრქვევა: ეს ბესარიონამ ივაჟკაცა, მორიგი შედევრი შექმნა. ეს მოხდა 0 საათზე და 30 წუთზე, ასე რომ, წერილს ბესარიონა აგრძელებს უკვე 5 სექტემბერს).

ვაგრძელებ კარნახს დილის 8 საათზე. 6 საათიდან მოყოლებული დიდი კონცერტი ჩავატარე და ახლაც დროდადრო მომივლის ხოლმე უინი ხმის გაგარჯიშებისა. ნურც ორსაათიანი კონცერტის გამართვა გვონიათ ადვილი, აბა, სინჯეთ! ასე რომ, ჯერჯერობით რთული არჩევანის წინაშე ვარ, არ ვიცი, რა გამოვიდე: მომდერალი თუ მხატვარი!

ბებია გვენერა და ბებია ანიკო! თქვენი სტუმრობით ფრიად გამახარეთ. ჩემი ამბებიც ასე თუ ისე იცით. ამიტომ ქვემოთ მოთხრობილი უფრო საინტერესო მამიდა გულიკოსთვის იქნება. როგორც მამიკომ და დედიკომ იანგარიშეს, ჩემს მომსახურებას სჭირდება შემდეგი შტატი: 1 თეთრეულის მრეცხავი, 1 მეუთოვე, 1 მიმხედავი (გამსხნელ-შემკრავი, გამომცველი თეთრეულისა, დამბანი და ასე შემდეგ), 1 ხელში დამჭერი და გამართობი კონცერტების დროს.

თუ ვინგარიშებთ მოწინავე ცივილიზებულ ქვეყნებში მიღებულ 8-საათიან სამუშაო დღეს, დღეღამეში 1 ადგილზე დამჭირდება 3 კაცი (უფრო კი – ქალი); ანუ 8 საათი X 3 კაცი = 24 კაცი/საათი; სულ კი საჭირო იქნება: 3 კაცი X 4 საშტატო ერთეულზე = 12 საშტატო ერთეული. ეს არის პროგრამა-მაქსიმუმი. რადგან მიმხედავის როლს ასრულებს დედიკო, ამიტომ პროგრამა-მინიმუმით საჭირო იქნება: 3 კაცი X 3 საშტატო ერთეულზე = 9 საშტატო ერთეული.

ჰო, სულ დამივიწყდა, ამას წინათ მქონდა პირველი საიუბილეო თარიღი – 2 სექტემბერს გაგხდი 10 დღისა! ამ დღის აღსანიშნავად საგანგებო ღონისძიებაც შევიმუშავე – მხატვრობას შევეშვი. მეგონა, გაეხარებოდით დედიკოსა და მამიკოს და პირიქით არ მოხდა?! პანიკამ მოიცვა მთელი სამყარო, თითქოს კუჭის შეკრულობა მსოფლიოს პირველად ეხილოს. ფართო საგარეო-პოლიტიკური კონსულტაციების შედეგად დაისახა საგანგებო ღონისძიებანი, პირველ რიგში – ოყნა №1. ეს მე არ მომეწონა – თუკი №1 არსებობს, ესე იგი, მომავალში უფრო დიდც მომედის, ჰოდა, ღირდა კი ასეთ მურდალ წუთისოფელს რომ მოვევლინე? მიგხვდი, რაც მელოდა და

ისე შევაზანზარე არემარე, რომ ალბათ თქვენამდე მოაღწია 10-ბალიანი შტორმის თუ მიწისძვრის გამოძახილმა... “არის, არის!” – სიხარულის ყიჟინა დასცხეს მამიკომ და დედამიკომ (ერევნის “არარატის” კარში რომ სამი ბურთი გაიტანეს დინამოელებმა, ტრიბუნებზე იმით გამოწვეული ენთუზიაზმიც კი გავაფერმკრთალე!). თქვე კაი ხალხო, თუკი ასეთი ადვილი ყოფილა თქვენი აღფრთოვანება, ამ სიკეთეს როგორ დაგამადლით-მეთქი და იცოცხლე, ვივაჟაბა და ვივაჟაბა, სულ ბათქუთქი არ დაგაყენე?! აი, ჩემი წარმატებათა გრაფიკი: 1) 3 საათი და 00 წუთი (ღამის), 2) 4 საათი და 45 წუთი, 3) 6 საათი და 15 წუთი, 4) 9 საათი და 20 წუთი, 5) 19 საათი და 30 წუთი; სულ – 5 : 0 ჩემს სასარგებლოდ! ასეთი რამ თბილისის დინამოელებმაც ვერ შეძლეს, თუმცა იქ 11 კაცი იკლავდა თავს. აი, რას ნიშნავს მონდომება! ნათქვამია, მეტისმეტი სიხარულიც საზიანოაო და მეც 3 სექტემბრის ეს მიღწევა აღარ გამიმეორებია. 1975 წლის 4 სექტემბერს ანგარიში მხოლოდ 2 : 0 იყო, ცხადია, ჩემს სასარგებლოდ.

დაკვირვებული ადამიანი ალბათ შეამჩნევს ჩემს 3 სექტემბრის მიღწევაში ერთ გრაფიკიდან ამოვარდნას, სახელდობრ – მეხუთე “გოლი” გატანილი მაქვს 19 საათზე და 30 წუთზე. რაშია საქმე? ო, ეს ჩემი განსაკუთრებული მიღწევა იყო – ეს გოლი გატანილია მოწინააღმდეგის მოედანზე! საგანგებოდ შემოვინახე ძალები და მთელი ჩემი ნიჭი და შესაძლებლობა ჩავაქსოვე ბაფშეთა პოლიკლინიკაში წარმატების მიღწევაში! იქ ამწონეს, გამოვდექი 3 700 გრამი.

ახლა არ მცალია წერილის გასაგრძელებლად, ისევ პოიკლინიკაში მივდივართ, ცოტა ჭიპი გაჭირვებულა და მიხედვა უნდა.

გოცნით თქვენი ქუცუნა ბესარიონი.

წერილი № 4 1976 წლის 8 სექტემბერი

სალამი საყვარელო ბებიკო და მამიდა გულიკო!

წერილს გწერთ თქვენი პატარა ქუცუნა, თუ ჯერჯერობით არ დამივიწყეთ. ნელ-ნელა ვიზრდები დეთის წყალობით, უფრო სწორედ – დედამიკოსა და მამიკოს მიანჩნათ ასე, თორემ მე რომ მკითხოთ, საკმაოდ სწრაფად ვიზრდები. სამშობიარო სახლიდან გამოყოფილი შეწითლებები იღლიებს ქვეშ, კისერზე და ფეხებზე თითქოს კლებულა. დედამიკომ გუშინ პირველად “ღამბანა” – კალიუმის პერმანგანატის ხსნარში დასველებული ბამბით ფრთხილად მისვამდა მთელ ტანზე – თავისა და ჭიპის გარდა. სხვა მხრივ ბედს არ ვემდური – დედამიკოს რძე საკმაოდ მეტიც აქვს და ჭამის ბოლოს ცოტას უკან ამოვანთხევე კიდევ. ცუდი მხოლოდ ის არის, რომ ძუძუს კვირტები სტიკვა ძალიან დედამიკოს და ზოგჯერ წამოვაკივლებ კიდევ, როცა ჩემი ღრძილებით ჩავაფრინდები.

სხვა რა ვიამბოთ. მოხარული ვარ, გაცნობოთ, რომ მსახიობის ნიჭსაც ვამყვანებ. ალბათ წინა წერილიდან მოგეხსენებათ ჩემი საქმენი საგმირონია გასტროლებზე – ბავშვთა პოლიკლინიკაში. საზოგადოებრიობის ყურადღებამ ისე აღმაფრთოვანა, რომ დავიწყე იგივეს განმეორება მშობლიურ სცენაზეც. როგორც კი დედამიკო სველს გამომიცვლის და მშრალ ზეწრებზე დამაგორებს, შეხვევას არ ვაცლი და მძლავრ შადრევანს ვუშვებ – ზეწრების გარდა, საბნებსაც ვრწყავ. აბა, რა გეგონათ, მიყვარს მაყურებლების თანდასწრებით ჩემი ნიჭის დემონსტრაცია, ამასთანავე, ეს ფრიად ეფექტურადაც გამოიყურება. ეფექტებისა და მაყურებელთა ტაშის სიყვარული არის თუ არა მსახიობური მიდრეკილების მჩვენებელი? სამწუხაროდ, როგორც არცთუ იშვიათად შეემთხვევა ხოლმე ნიჭიერ კაცს, ჩემი უნარის აღიარება არ გამოდგა საყოველთაო. თუ მამიკო იცინის და მესიყვარულება, დედამიკო ბუზღუნებს; არ ვიცი, რა არ მოსწონს?

წარმატებებს ვაღწევ სიმღერის ჟანრშიც. განსაკუთრებით ამ ღამეს ვაჯობე წინა მიღწევებს – ღამის 12 საათიდან დილის ექვსის ნახევრამდე გრძელდებოდა ჩემი კონცერტი, რითაც მაყურებლები დიდად კმაყოფილები დარჩნენ. კონსილიუმი დედამიკოსა და მამიკოს შემადგენლობით თავს იმტვრევდა, თუ რა დიაგნოზი დაესვათ – ხან ეს სინჯეს, ხან – ის, მაგრამ, ჩემდა სასახელოდ, კონცერტის ჩაშლა ვერ მოხერხდა. გამთენიის ჟამს გამძლეობისთვის დავასაჩუქრე ჩემი კონცერტის მაყურებლები – გვარიანად მოვისაქმე, რის შემდეგაც, ახალი ფერ-ტილოს ხარისხით კმაყოფილმა, ვალის მოხდით აღსავსემ, ცოტა წავეუძინე – შემდგომი გმირობებისათვის ძალ-ღონის მოსაკრებლად.

ასეა ჩვენი საქმეები. ძალიან მენატრებით და ერთი სული მაქვს, თქვენი თანდასწრებითაც როდის გიხვენებთ ჩემს ატრაქციონებს.

ახლა კი ტკბილად გოცნით თქვენი ბესარიონი.

წერილი № 5 1976 წლის 19 სექტემბერი

სალამი, საყვარელო ბებიკო და სანატრელო მამიდა!

გწერთ თქვენი პატარა ქუცუნა, რომელსაც სახელად ბესარიონი ჰქვია. თქვენ მისაყვედურეთ, რა არის, სულ შენს ტრაწებზე იწერებო, მაგრამ რა ვქნა, სხვა უფრო ღირსშესანიშნავი რა მოგიტხოვრებო? აბა, კარგად ვიფიქრო ერთი, რა მოგწეროთ? არ დამავიწყდეს და მუჭი არ ვიტაკო პირში, ფიქრის დროს ეს მოსახერხებელია და ძალიანაც მიყვარს თითების წუწნა (სხვათა შორის, გრძელი თითები მაქვს, პიანისტის მონაცემებსაც ვამჟღავნებ), მაგრამ მამიკო მიწყრება, არაპივიენურიად, გრძელი ფრჩხილები წამოგზრდიაო. რა ვიცი, თუკი გრძელია, რატომ არ შემაჭრიან? ისე, მე რომ მკითხოთ, საუცხოო ვარდისფერი ფრჩხილები მაქვს, ყოველგვარ სადაფს აჯობებს და რატომ არ უნდა ჩავიდო პირში? ჰო, თითებიც ვარდისფერი მაქვს, მიყვარს თითებით ერთი კომბინაციის გაკეთება, განსაკუთრებით მაშინ, როცა მაგრად გამკოჭავენ მორიგი შადრევანის შემდეგ, თითქოს მუშია ვიყო; ჰოდა, არ გაივლის ხუთი წუთი და მე ისევ რომ დამხედავენ, წარმოიდგინეთ, როგორ გაუხარდებოთ დედოქოსა და მამიკოს, როცა ხელები ისევ თავისუფლად ამოყოფილი მაქვს და ხვიშტილაკს, ანუ ხუთი თითის კომბინაციას, ვუჩვენებ ჩემს თავისუფლების შემზღვევლებს – ვერ მოგართვით, ბატონო, ისევ თავისუფალი ვარ! მაგარი ბიჭი ვარ, ღმერთი ნუ გამიწყრება! დღეს პირველი სურდოც შემეყარა: დამე იმდენჯერ გაეუშვი შადრევანი, რომ თეთრეულის მარაგი სულ გამოეულიე, – და ამდენ განხნა-შეხვევაში ცხვირის ქსუტუნიც დამაწყებინა. მაინც მომავალი ვარდისფერ ფერებში მესახება, მით უმეტეს, რომ თითქმის ყველაფერი ვარდისფერი მაქვს – ლოყები, ხელები, ფეხები, ზურგი, მუცელი, ტაუცუნები და ასე შემდეგ, გარდა თმისა თავზე (შავია) და თვალებისა (მონაცრისფრო-მოცისფროა).

სხვა მხრივ ჩემს სამეფოში წესრიგია სრული. უზუნაეს მეფეს ყოველმხრივ პატივითა და რილით მექცევიან, ხმამაღალ სიტყვას ვინ გამიბედავს. ერთი მინისტრი – ჭამა-ყლაპვისა – რეგულარულად აწვდის სამეფო სუფრას ტკბილ რძეს, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი მბანს სველი ბამბით, მასუფთავებს, მიცვლის რეგულარულად ხალათს, ქვეშაგებს (დღეში 15-20-ჯერ, ბოლიში, დღეში კი არა, დღე-ღამეში, დამე – 7-8-ჯერ); კიდევ არიან ვიღაც-ვიღაცეები, მგონი, 7-8 კაცი უნდა იყოს, რომლებიც მე მემსახურებიან დღე-ღამის განმავლობაში: მინანაკებენ დასაძინებლად, მიმღერიან, რთავენ მუსიკას, მოაქვთ ჩემთვის აფთიაქიდან კამის წყალი, მირეცხავენ, მილიმიან, მეაღერსებიან და ასე შემდეგ. სახეებს ჯერჯერობით ვერ ვიმახსოვრებ და მოგვიანებით შეგატყობინებთ, რამდენი კაცი მყავს შტატში. ამჟამად ჩემი ტირილის, ბოლიში, კონცერტის დრო დადგა და წერილისთვის აღარ მცალია. დანარჩენს სხვა დროს შეგატყობინებთ, თუკი რამე სიახლე გამომჩნდა.

თქვენი ბესარიონა გეოცნით ბევრს.

წერილი № 6 1976 წლის 4 ოქტომბერი

სალამი საყვარელო ბებიკო და სანახავად სანატრელო მამიდიკო!

საოცარი ამბავი მოხდა – ჩვენს ბინას ყაჩაღები დაესხნენ! პირისახე თეთრი ნაჭრით ჰქონდათ ახვეული, რომ არ მეცნო ისინი. ტყუილად ირჯებოდნენ, მე ხომ ჯერ დედოქოსა და მამიკოსაც კი ძლივს ვცნობილობ. მერე, როცა დავაკვირდი, ვიცანი მაინც ხმით – ეს ორი მძარცველი დედოქოსა და მამიკოს ხმით მეაღერსებოდა. აბა, ეს მასკარადი რისთვის დასჭირდათ? დიდი ამბავი, თუ სურდო აქვთ, მე მათზე არანაკლები დავირტყი – შიგადაშიგ ვახველებ კიდევ, ორი დღის წინ კი სიცხეც მქონდა – +37,5 C. თუ ამქვეყნად ირიცხები, თურმე ბევრი ჭირ-ვარამიც უნდა აიკიდო. ჯერ თვენახევრის ძლივს გავხდი და სურდო თუ რაღაც ჯანდაბა ცოტას ვერ მოიცვლიდა? ისე, მაგარი ბიჭი ვარ და ვეცდები, ფილტვების ანთებას გადავურჩე. შაბათს ჩემთან ოფიციალური ვიზიტით ერთი ახალგაზრდა დეიდა მობრძანდა – ექიმი ვარო. ისე იყო მოხატული, რომ გამიკვირდა, იმ წვიმინ ამინდს რა მანქანებით გადაურჩა. ექვსი წამალი გამომიწერა – ნახეთ, რა მცოდნე ექიმი ვარო! – და ყველა რომ დამეღია ან ყურ-ცხვირში ჩამეწვეთებინა, ალბათ ცოცხალს ვეღარ მნახავდით. ის კი არა და, სხვა საშიშროებაც არსებობს: თუ მოგნატრეთ, დროზე მნახეთ, თორემ, შესაძლოა, საერთოდ გაგქრე. საქმე შემდეგშია. მამიკომ ჩემთვის სასწორი მოიტანა (წვიმიანი დღე იყო შაბათს და ალბათ მაშინ გაცივდა თვითონაც). მერე ამწონეს ჭამის წინ, ვიყავი ტანსაცმლიანად 5 100 გრამი. მერე გემრიელად მივირთვი დედოქოს რძე და ისევ ამწონეს; გამოვიდა ტანსაცმლიანად 7 060 გრამი! გამოდის, რომ ამ გენიალური სასწორის წყალობით ყოველ ჭამაზე 40 გრამი უნდა დაგეარგო. ჯერჯერობით ჭამაზე უარის თქმას არ ვაპირებ და თუ ახლა ვარ დაახლოებით ოთხკილონახევარი, რამდენიმე დღეში ჩემი წონა ნულამდე დავა. ასე რომ, იჩქარეთ ჩემი ნახვა.

სხვა მხრივ კი ქვეყანა არც ისეთი ცუდია, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება ეგონოს კაცს. თვალები ისევ ისე მონაცისფრო-ლურჯი მაქვს, რასაც კი მოძრავს დავინახავ, თვალს ვაყოლებ. ღმერთმა დალოცოს მაგნიტოფონის მომგონი – როცა სიმღერის ხასიათზე ვდგები, სხვადასხვა სარაჩხუნო სათამაშოები კი მომწყინდება, მუსიკას ჩართავენ და დიდი სიამოვნებით ვუსმენ. უპირატესობას ვაიჭებ მელოდიურ მუსიკას, არის მონაცემები მუსიკალური ნიჭისა!

ცოტ-ცოტას მამიკოს ვბაძავ (გარდა სურდოს შეყრისა) – თმები მცვივა! არ გეგონოთ, რომ გბერდები, ნურც ჩემს უკბილო პირს მიაქცევთ ყურადღებას; ნახეთ, რა აბრეშუმივით ახალი თმები ამომივიდეს! კბილებს კი ისეთს ჩაგიწიკვიკებ, მამიკოს გაჯობო. დედიკოს არ ვიცი, წინათ როგორი ჰქონდა კბილები, ახლა კი მაგის ჯობნა დიდ ვაჟკაცობად არ ჩამეთვლება.

სხვა რა მოგწეროთ კიდევ ახალი. ჰო, ნუ გეშინია, ბებიკო, ახლა აღარც ქუცუნას მეძახიან, აღარც ჭოტიას, ახალი სახელი მაქვს, თანაც – ორი! თავზე თავსაბურს ქვევით დამახურეს მაქმანიანი თავსაკრავი და მამიკო მატრონეს მიწოდებს, დედიკო – “მათუშკას” (რუსულის ბრწყინვალე მცოდნეა).

კარგად გნახეთ, გწერთ თქვენი ბესარიონა.

წერილი № 7 1976 წლის 19 ოქტომბერი

სალამი საყვარელო ბებიკო და სანახავად დიდად სანატრელო მამიდა!

უკვე დიდი ბიჭი ვარ: ვისწავლე თვალების მიბჯენა მაყურებელზე; თუ დედიკო ან მამიკო გვერდზე გაიწვივან, მეც მზერას ვაყოლებ და თუ აღერსიანად დამელაპარაკებინ – ისე ალაღად და მიმნდობად გაფუდიმებ, რომ საშიშია, აღერსით არ გადამყლაპონ. შიგადაშიგ ტკბილ ღულუნსაც გავუშვებ ხოლმე: “აღუ! აღუ!”. ისე, ცოტა მომჭირნე ვარ, იშვიათად ვახარებ ამით დედიკოსა და მამიკოს, არ მინდა, ფასი დაეკარგოს.

დღეს სამშაბათია? ხომ არ მეშლება? მაშ, ერთი კვირის წინ, ზუსტად გასულ სამშაბათს, მოხდა ისტორიული მოვლენა – მომნათლეს! უფრო ზუსტად, პირველად დამბანეს ტანი! უნდა მოგახსენოთ, რომ ამაშიც მამიკოს დავემგანე – საოცრად მიყვარს ბანაობა! პირველად ცოტა შეეფიქრინა: ეს რა აბაზანაში ჩამსვეს-მეთქი, თანაც რაღაც შემასხეს – საკმაოდ თბილი, რომელსაც თურმე წყალი რქმევია. თვალები შიშით გამიფართოვდა, როცა ხელისგულით შემასხეს და შემასხეს წყალი, – ვეღარ გადავწყვიტე, მეტირა თუ არა; ბოლოს, იმ აზრს დავადექი, რომ თავისთავის მეშველა და გავფარჩხე ხელ-ფეხი, იქნებ დაგუსხლტე ხელიდან მამიკოს-მეთქი. ამ ხელ-ფეხის ქნევაში აღმოვაჩინე, რომ თურმე ბანაობა საოცრად სასიამოვნო ყოფილა! შიშმაც გადამიარა და ახლა უკვე გახარებულმა ავათამაშე ხელ-ფეხი, თანაც ამით ვენმარებოდი მამიკოს: თვით ვიბანდი ფეხებს, მაგრამ ვინ დაგიფასა მონდომება! “სუ, შე მამაძაღლო, ხელიდან არ გაგვივარდეთ!” – სულ ამას გაიძახოდა მამიკო და ჩემს დაშოშმინებას ცდილობდა. ამოდ დაშვრა, ცხადია, – ძლივს წყალს ვეზიარე და გამაჩერებდა რამე?! გაეუსვი და გამოეუსვი ფეხები, იცოცხლე, არც ხელების შლა დამიკლია, დიდად ვისიამოვნე, მე და ჩემმა ღმერთმა!

1976 წლის 21 ოქტომბერი (№ 7 წერილის გაგრძელება)

ორი დღის წინ დაწყებულ წერილს დღეს ვაგრძელებ, თუ დამთავრება მოვახერხე. უამრავი საქმე მაქვს, მარტო ჭამა დღეში შეიძვერ მიწევს, ხუმრობაა? თანაც დედიკოს და მამიკოს რაც ძილი აკლდებათ, მე ხომ უნდა ავანაზღაურო, ჰოდა, მძინავს გადაბმულად, ან კონცერტს ვმართავ, არც ეს არის ფუჭი საქმე.

ამასობაში ერთი სასაცილო ამბავი გამომჩნა. როცა საბანაოდ გამამზადეს, აბაზანაც დადგეს, შემოვიდა დედიკო, ხელში ადუღებული ქაფქაფაწყლიანი ქვაბი ეჭირა. შემოვიდა და დასადგმელ ადგილს დაუწყო ძებნა. “მამიკო, მიშველე!” – შეჰლადა, თან წინ და უკან მაქოსავით დაძრწოდა, აღარ იცოდა, სად წაეღო ქვაბი. მამიკო სიცილით გადაფიჩინდა, როცა კვერცხისმღებელ დედალივით მოწრიალე დედიკოს უყურებდა და ეუბნებოდა: “აგერ თავზე დამადგი ეგ მღუღარეწყლიანი ქვაბი?”.

ახლა იმას მოგახსენებთ, როგორ წარიმართა ჩემი დაბანა შემდგომ. თბილ წყალში დასველებული ბამბით საგულდაგულოდ გამომისვეს ყველა მოფარებულ ადგილსა თუ ნაოჭში, თავზეც (თმებზე) გადამისვეს-გადმომისვეს; ბოლოს, “ოღა!” დაიძახეს, ამომიყვანეს წყლიდან და თეთრ, ქათქათა ზეწარზე დამაგორეს, რომელიც რბილად იყო გაშლილი ფანელის ზეწარსა და შალის საბანზე. ამ დროს მოულოდნელი რამ მოხდა: დედიკო სასწრაფოდ მეცა და ჯერ ზეწარში შემფუთნა თავიან-ფეხებიანად, მერე – ფანელის ზეწარში და, ბოლოს, – შალის საბანში. კიდევ კარგი, ამ დროს მამიკომ მიშველა – სასწრაფოდ გამომინთავისუფლა თავი და ჰაერის ჩაყლაპვის შესაძლებლობა მომცა, თორემ, რა მელოდა, არ ვიცი. თურმე დედიკოს ეშინოდა, ბაღანიკო

არ გაცივდესო და ოდესღაც სადღაც ნანახი სცენა გაიმეორა. იქ მაშინ ალბათ 4-5 წლის ბავშვს ხუმრობით ფუთავდნენ ასე და მე რას მერჩოდნენ, არ ვიცი. მოკლედ, კარგად გადავჩრი.

სხვა ახალი ამბები აქეთ თითქმის არაფერია. პო, ორი ახალი სახელი მომემატა: ლულუ და ბუშტია. “ლულუ” – ალბათ მიხვდით, რატომ – ლულუნი დავიწყე, “ბუშტია” კი იმიტომ დავიმსახურე, რომ პირში ნერწყვი მომივიდა და შიგადაშიგ პატარა ბუშტებს ვბერავ – ჯერ პატარა ვარ და დიდი საქმეები შემდეგისთვის მაქვს გადადებული. ამხელა წერილებს რომ გწერთ, ის კი არის ჩემგან გასაკვირველი.

ახლა კი კეთილად ბრძანდებოდეთ, თქვენი ნახვის მონატრული ბესარიონა პატარა. გოცნით ბერს.

წერილი № 8 1976 წლის 15 ნოემბერი

გამარჯობა და კარგად ყოფნა ჩემს საყვარელ ბებიკო ვენერას
და ფრიად სანატრელ მამიდიკო გულიკოს!

მომენატრეთ ნამეტნავად, მაგრამ რა ვქნა, თქვენთან სტუმრობის ხანა ჯერ ჩემთვის არ დამდგარა. მართალია, ამ ორი კვირის წინ შედარებითი თაისუფლება მიბოძეს მამიკოს წინადადებით, ესე იგი, ხელეხსაც და ფეხებსაც, როგორც მომესურვება, ჩემს გემოზე ვასხმარტალებ, აღარ ვარ საშიში ტუსადივით გაკოჭილი, თითქოს სადმე გავრბოდე! ზევით ჩამაცვეს ორი თხელი პერანგი (ერთს სახელის ბოლოები გადაკერებული აქვს და თითებს გარეთ ვერ ვყოფ), ზედაც ერთი თბილი – ბამბაზია თუ ამის მსგავსი რაღაც ქსოვილია. ქვევით სატაკუცეები და საფენი ისე მაქვს გამოწასკული, რომ ფეხებს ნანატრი თავისუფლება ეღირსათ. ახლა ძილის დროს ორივე ხელი თავს ზევით მაქვს აღმართული, თითქოს ვინმეს, მეტისმეტად მონატრებულის ხილვას ვეღირსე, ან გოლი გავიტანე გადამწყვეტ მანში. ღვიძლის დროს პირველად დავიბენი: ჩემს ცხვირწინ რაღაც საგნები ფართხალებდნენ, უცნაურად იკლაკნებოდნენ და, ერთი პირობა, შევშინდი კიდევ – რაიმე ხიფათს ხომ არ შევეყარე-მეთქი. მერე გაკვირვებამ გამიარა, მიგხვდი: ეს ხომ ჩემი საკუთარი ხელები იყვნენ! ჯერჯერობით არ მემორჩილებიან და მინიჭებულ თავისუფლებას საკუთარ შეხედულებისამებრ იყენებენ – ზედ ჩემს ცხვირწინ უტიფრად ფართხალებენ ზევით-ქვევით. ახლა უკვე ცოტა მოვარჯულე ჩემი ხელები და, უფრო ხშირად, დასჯის მიზნით პირისკენ მივაქანებ თითებს; ადრე კი რომ გენახეთ, საოცარ სანახაობას შეესწრებოდით: ხელებს ისე გამოძრავებდი, როგორც გზავარედინზე მარეგულირებელი მილიციონერი პიკის საათების დროს; ხანდახან ლეკურის საცევაგად ვიწყობდი ხელებს (ფეხებს, იცოცხლე, ვათამაშებდი!), ხან კი – ინდოელი მოცეკვავე ქალებივით რიტმულად ვამოძრავებდი.

ასე რომ, ნელ-ნელა წინ მივდივარ. უკვე ხუთკილონახევარს გადავაჭარბე, დამითაც კარგი ბიჭივით მძინავს. დღეს პირველად მივირთვი ნახევარი კოფი კომბოსტოს წვენი, ვაშლის წვენს ხომ, კარგა ხანია, გაფუგე გემო და დღეში 10 კოფის ვუღებ ბოლოს.

მუსიკა ძველებურად მიყვარს, უფრო მეტადაც. სამაგიეროდ, ხმაურს ვერ ვიტან – ვერც პოლიტიკაში და ვერც ოჯახში. ამას წინათ მამიკომ ცხვირს დააცემინა და პროტესტის ნიშნად ტირილი მოვრთე. მამიკო საკმაოდ შორს იყო, მაგრამ მაინც – იცოდეს ჩემი ხასიათი. “აწი გემოზე შინ ცხვირსაც ვეღარ დავაცემინებო”, – უთქვამს მამიკოს. მართლაც, რა საჭიროა ეს ცხვირის დაცემინება? მაგაში რომ რამე ხეირი ეყაროს, მოცლილი ხალხი დღე და ღამე დაცხიკებას ვერ აუვიდოდა. ჯობს, კარგად იყო და დაცხიკებასაც კი ერიდო (ისე, ჩვენში დარჩეს, მე თვითონ დღეში ორ-სამჯერ კი ვაცხიკებ გემოიანად).

ახლა კი გემშვიდობებით და გოცნით მრავალს.
თქვენი ბესარიონა.

წერილი № 9 1976 წლის 18 დეკემბერი

სალამი საყვარელო ბებიკო ვენერა და მამიდიკო გულიკოს!

ძველებურად გწერთ თქვენი პატარა ქუცუნა ბესარიონი და გისურვებთ ყოველივე კეთილს. თუმცა მე თვით ძველებურად აღარ ვარ – დრო მიდის, მიაქვს დღეები და ჩემთვის კი მოაქვს ათასი ახალი რამ! მოგახსენებთ უპირველეს ყოვლისა, რომ წონით მივაღწიე 6 კილოგრამს და 300 გრამს, რაც არც ისე მცირეა ჩემი ასაკის ვაჟაცისთვის, სიგრძით კი, მოგესხენებათ, ამ ორი კვირის წინ მქონდა 65 სანტიმეტრი – სიგრძის საერთაშორისო სისტემის მიხედვით და ამაში რამდენი მტკაველი თუ ადლი გამოვა, ეს თქვენ თვითონ იანგარიშეთ, ეს ჩემთვის არ უსწავლუბიათ. გარდა ამისა, ვისწავლე სიმღერები სულ სხვადასხვა ხმაზე; ასე ამბობს მამიკო, თორემ სინამდვილეში მე დედიკოს და მამიკოს ველაპარაკები ჩემს ენაზე, რომელზეც, სამწუხაროდ, დიდები არ ლაპარაკობთ. სულ მთლად იჩიბინჩი არ გაგეგებათ-მეთქი რომ ვთქვა, არც ის იქნება

მართალი – ხანდახან მიგებთ კიდევ, რისი თქმაც მინდა (განსაკუთრებით – მამიკო ხშირად წვდება ჩემს ნათქვამს) – სულ სხვადასხვაგვარად “ვმღერი”, როცა მშობია, როცა მოწყენილი ვარ და მინდა, დამელაპარაკონ, მომილაღერსონ, როცა ჩასველებული ვარ და სანაქროდ გარეშე დახმარებას მოვიტხოვ, როცა კარგ ხასიათზე გახლავარ და მუშტებს ვურახუნებ ჩემს ცხვირწინ ჩამოკონწიალებულ ფერად-ფერად სათამაშოებს... ჰო, მართლა, რაც ეს ჩხარუნები ჩამომიკიდეს, ნამდვილ ფისოს დაგემგვანე, ძაფზე ჩამოკონწიალებულ ქაღალდის ნაგლეჯს რომ ეთამაშება თათით... თუმცა მთლად ასეც არ არის – მე კი არ ვეთამაშები სათამაშოებს, მთელი ძალით საშინელი სისწრაფით მომაკვდინებელ დარტყმებს ვაყენებ და ისეთი რაჩხარუნები დგას, რომ ადამიანს მარაბდის ომში ეგონება თავი. ეს მოვლენა ფიქსირებული აქვს მაგნიტოფონის ფირზე ჩემს მამიკოს და ვისაც არ გჯერათ (ან გჯერათ და გინდათ, დატკბეთ ჩემი პირადი ენერჯის მოზღვავეებით), შეგიძლიათ, ჩანაწერში მოისმინოთ ყოველივე, აგრეთვე ჩემი ომახიანი შეძახილები, ხანდახან კი – ღუღუნის და კმაყოფილების გამომხატველი სხვა ხმოვანი საშუალებები. ენერჯია მექნება, აბა რა, დღეში 900-1000 გრამ დელიკოს ტკბილ რძეს მივირთმევ, ზოგჯერ – მეტსაც. ხან ვზარმაცობ და ერთ ჯერზე 110-120-130-140-150 გრამს გეახლებით, ხან კი გაფოჩაღდები და ერთ ჯერზე 230-250 და მეტსაც ვყლურწავ; ერთხელ კი რეკორდიც დავამყარე – 300 გრამი ერთ ჯერზე! აბა! კაცი მოკრივის ნიჭს ვამჟღავნებ და დიეტაზე ხომ არ ვიქნები მოდას აყოლილი ქალიშვილებივით. მამიკო ჩემზე ათჯერ, თერთმეტჯერ მეტს იწონის და გამოდის, რომ ის დღეში 10-11 ლიტრ რძეს უნდა ათავებდეს. რამდენადაც ვიცი, ხანდახან თუ დალევს დღეში ნახევარ ლიტრს, ეს არის ვაჟკაცობა? რძის სმაზე ვერ გადავიყვანე ეს ხალხი (რატომღაც მაწონი და ხაჭო უფრო მოსდით თვალში, ბოლიში, მისდით პირში), თორემ სხვა მხრივ სულ ჩემს ჭკუაზე ვათამაშებ. დელიკო და მამიკო სულ პატარა ბავშვებს დაემგვანენ – ჩემდა გასახარად საბავშვო სიმღერებს მღერიან (უნდაც, მაგრამ ცდილობს ხალხი და არდაფასება ამისა როგორ შეიძლება), ზოგჯერ პატარა პანტომიმებსაც თამაშობენ და, ამგვარად, სინთეზური სპექტაკლი გამოდის – საკმაოდ პროვინციული დონისა. შეუძლებელია, ერთი სასიკეთო ნიშანი მაინც არ აღვნიშნო: თვითმარქვია მსახიობები ნელ-ნელა იწაფებიან და იმედი მაქვს, რომ მხატვრული თვითმოქმედება ჩვენს ოჯახში მოკლე ხანში უკეთეს წარმატებებს მიაღწევს; მით უმეტეს, რომ ტექსტისა და მუსიკის ავტორები, აგრეთვე – ქორეოგრაფიისა, თვით შემსრულებლები არიან. მე, მოგეხსენებათ, არ ვარ გაქსუებულ-განებივრებული და საკმაოდ ხშირად მათ მონდომებას ღიმილით ვასაჩუქრებ.

ახლა კი ნახვამდის, რაღაც მუზა მალაატობს, პატარა ვარ და მიბრეყვებს. გოცნით, თქვენი ქუცუნა ბესარიონი.

წერილი № 10 1977 წლის 19 იანვარი

სალამი საყვარელო და სანატრელო ბებიკო და მამიდიკო გულიკო!

როგორც თქვენი ბედნიერი თვლებით ხედავთ, ამჯერად წითელ, სადღესასწაულო ბარათს გწერთ. გილოცავ მამიდიკო გულიკო, დაბადების დღეს, მრავალს დაესწარი ჯანმრთელად და ბედნიერად! დიდი ყანწით ვსვამ შენს სადღეგრძელოს, იდეგრძელე მრავალჟამიერ! ეს ახალი წელი დიდი ბედნიერების წელი ყოფილიყოს, თამადად სხვას ნურავის შეაწუხებ – მე თავად არავის დავუთმობ ცოცხალი თავით! სულ ყოველთვის თქვენთან ვარ, ქორწილშიც და ახალსახლოობაშიც!

ახლა ჩემს ამბავსაც მოგახსენებთ. ვარ გვარიანად. ამას წინათ (რადა ამას წინათ – დღეს დილით იყო! სკელეროზი ხომ არ დამჩემდა?), ჰოდა, მოგახსენებთ, დღეს დილით 310 გრამი რძე მივირთვი ისე, რომ გრამი თუ წვეთი არ დააკლდებოდა! მართალია, მერე, შუადღეზე, ვიჭერვიულე, ძუძუს აღარ გავეკარე, სანამ დელიკომ ეზოში არ ჩამიყვანა და ნახევარი საათი სუფთა ჰაერზე მასეირნა. ეტყოდა, ზნეს ვიცვლი – გუშინაც ასევე მოვიქეცი, სანამ სეირნობით მდაბე არ მოვედი, ჭამას ვერ მიხსენებდით. თუ თქვენც უმადობა შეგაწუხებთ, ჩემს რეცეპტს გთავაზობთ, გამოცდილი კაცი ვარ – გაისეირნეთ ერთი ან ნახევარი საათი სუფთა ჰაერზე და ნახეთ, რა შედეგსაც მიიღებთ.

სხვა რაღა მოგიტხროთ? ჰო, ხელებს უკვე უაზროდ კი არ ვურტყამ ჩემს ცხვირწინ ჩამოკონწიალებულ ფერად-ფერად სათამაშოებს, არამედ გააზრებულად და ზუსტად ვურახუნებ ხელის-გულეებს. ჯერჯერობით ვერაფერი დავამტვრიე, ამიტომ ვცდილობ, პირში მოვიგდო და ღეჭვით მაინც გავიდე იოლად. უკვე ამასაც ვახერხებ – სათამაშოებს ხელს ვაგლეებ და ჯერ ვურტყამ, რასაც მოხვდება, მერე პირში ვიტაკებ – ალბათ რახუნით უკვე დარბილებული იქნება და გემო მინდა, გაგუსინჯო. როცა მამიკო წვეს მაძლევს ვაშლისა და სტაფილოსი, ისეთი სინარული მიპყრობს, რომ ხელ-ფეხს ვასხმარტალებ და ხშირად მიზანსაც ვაღწევ – ხელით პირთან მიტანილ კოფუს გავკრავ ხოლმე და წვესის შხაპს ვიღებ. ახლა წინანდელი უტუ ბაღანა არ გეგონოთ, ზუსტად ვახვედრებ ხოლმე ხელს. დელიკოს სხვანაირად ვექცევი, რაც უნდა იყოს, ქალია და ხელს ხომ არ ვკრავ – გადმოწევაში ვეჯიბრები; ხან მე ვჯობნი, ხან კი – დელიკოს ვუთმობ.

ეზოში გასეირნება მომწონს, მართალი მოგახსენოთ. ფუმფულა თოვლით დაფარული გარემო, სუფთა მაცოცხლებელი, გრილი ჰაერი, თანაც თუ დედიკოს რბილ ხელებზე ხარ ფაღიშაპივით წამოწოლილი – აი, ცხოვრებაც ამას ჰქვია! ზოგჯერ ამ იდილიასაც არღვევს ზოგიერთი შეუზნებელი მოქალაქე (ასეთი ყოფილა ცხოვრება – ნათელს ჩრდილიც დაჰყვება თურმე!) – დედიკოს გაუბამს ლაპარაკს, ვის ვგეგვარ? თან იჭყიტებიან ყოველმცოდნე ექსპერტებივით. მაგრამ თურმე ნურას უკაცრავად, კოვზი ნაცარში უვარდებათ – ისე ვარ შეფუთნული, რომ ჩემი ბუნაგიდან მხოლოდ ორი ცისფერი თვალი ანათებს. მიდი და გამოიცანი, ვის ვგეგვარ – დედიკოსაც და მამიკოსაც ერთაგეს თაფლისფერი თვალები აქვთ!

ახლა კი დაგემშვიდობებით, ჩემო საყვარლებო, და ყოველივე სიკეთეს გისურვებთ. თქვენი ქუცუნა ბესაიონი.

წერილი № 12 (სინამდვილეში – №11) 1977 წლის 18 მარტი

სალამი ჩემო საყვარლებო – ბებიკო ვენერა და მამიდა გულიკო!

ისევ გაგიხსენათ თქვენმა ბაცაცუნამ – პატარა ბესარიონმა – და კარგა ხნის შემდეგ გწერთ. ცოდვა გამხელილი ჯობს, დამავიწყდა კიდევ, რამდენი წერილი გამოვიგზავნეთ და ამას ჰაიპარად №12 დავუსვი. ასეთ პატარა ცოდვას ალბათ მაპატიებთ, მეც ხომ ჯერ პატარა ვარ და რა გქნა... არადა, თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორი დაძაბული დღე მაქვს, ხანდახან თვალის დახამხამებასაც ვერ გასწრებ და უკვე თურმე მთელი დღე გასულა. (თვალს როგორღა დავახამხამებდი, თუკი დღისითაც თითქმის სულ მძინავს?). მთელი ჩემი ენერჯია ორ რამეს ხმარდება ძირითადად: 1) ღულუნსა და კბილების კრეჭას (მამიკო სიკრიჭიასაც მეძახის ხანდახან) – აბა, როცა ტკბილად მელაპარაკებიან, მიღიმიან, ენას მიჩლექენ, მკოცნიან, ხომ არ გავიბღუზები? კიჭები ჯერჯერობით აგვიანებენ ამოსვლას (თითქმის ყოველ წუთს გამოწმებ თითებით) და მაინც (მაინც!) დამცინიან – რა სულ იკრიჭებიო, ესაა სამართალი? 2) ჭამა-ყლაპვის ფრიალ დაინტერესო ამბებს – ამ დროს თავს ვიკატუნებ, თითქოს არ მინდოდეს ჭამა, ვფარჩხავ ხელ-ფეხს, თავს ვარიდებ ძუძუს, მაგრამ მერე ლომივით ვებრდღვებ, რომ ხუთ წუთში თავი დავანებო საბოლოოდ. რა მოხდა, ჯერ მეც არ ვიცი კარგად. დამატებით მაძლევენ რაღაც-რაღაცებს და ამიტომ დღეში ორჯერ ვვაჟკაცობ – მეტი ნაცარი გროვდება (როცა...

1977 წლის 16 აპრილი (წერილის გაგრძელება)

ძალიან დიდი ბოდიში, მაგრამ მამიკოს სიზარმაცის გამო თითქმის ერთი თვე გავიდა და მხოლოდ ახლა ვაპირებ წერილის გაგრძელებას (არ ვამბობ, წერილის დამთავრებას ვაპირებმეთქი – ასეთი მამის გადაამკიდე). ბევრი ახალი მოვლენა არის ღირსშესანიშნავი ჩემს ცხოვრებაში. უპირველესად ის, რომ შვიდი თვე შემისრულდა თუ არა, ძუძუს მომაცილეს... დამსვეს ფაფებზე, უფრო სწორედ, პირში მისხამენ და მეც რა გქნა, ხათრით ვყლურწავ. ღონე მომემატა თუ რა არის, დავიწყე ტრიალი და ხანდახან იმდენს ვიტრიალებ, რომ თუკი რამე გარშემო ნიფთია (უმეტესად ფანელის და სხვადასხვა ქსოვილი), ყველაფერს მოვაქუნებ, მივაქუნებ, ისევ მოვაქუნებ და, ბოლოს, მე თვითონ არ ვიცი, სად თავი მაქვს და სად – ფეხები; ასე რომ, დედიკოს ელდა ეცემა, როცა ამ გროვას დაინახავს და “გაფურჩქენის” შემდეგ აღმოაჩენს პატარა ცუნცულიას თავს – ფინიასავით წკმუტუნის ხმაზე...

მამიკოს სხვანაირ იღეთს ვუტარებ: როცა კოვზით მაჭმევს, ხელებს გამოვყოფ რიკულებიდან და ბანჯგვლებს ვწიწკნი ფეხებზე. ჭკუა მაინც ვერ ისწავლა, უშარვლოდ რატომ უყვარს ოთახში სეირნობა? ისე კი კარგი გასაპუტი ობიექტია ყველგან, გაბანჯგვლულია უბედურად და დიდი ძებნა არ მჭირდება: სადაც კი ხელს მოვაფათურებ, კარგა ბლომად ბანჯგვლებია. ასე რომ, ღუარსაბ თათქარძის არ იყოს, მამიკო ბედნიერი კაცია. ასეთი პატარა ბაცაცუნა ვყავარ და სხვანაირად როგორ იქნება?

ახლა გემშვიდობებით და მომავალ შეხვედრამდე კეთილს გისურვებთ ყოველივეს. თქვენი ბესარიონი.

ბესარიონი – ბებია ვენერასა და მამიდა გულიკოს,
ერთაწმინდა, 1977 წლის 7 ივლისი – 27 აგვისტო
(ადრესატი: თბილისი, ახმეტელის ქუჩა №6)

წერილი № 1
1977 წლის 7 ივლისი, სოფ. ერთაწმინდა

სალამი საყვარელო ბებიკო და

გულითადად სანატრელო მამიდიკო გულიკო!

გწერთ თქვენ პატარა ბესარიონ ერთაწმინდელი (სულ ერთი დღე-ღამეა, ამ საპატიო ტიტულს ვატარებ), რომელსაც სულ ახსოვხართ ჩემი საყვარელი ადამიანები. საპატიო ტიტული კი დიხაც მეკუთვნის! ჩამომხტარი ვარ ერთაწმინდის ყოფილი კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარის ყოფილ რეზიდენციაში (ამჟამად კოლმეურნეობა არ არსებობს, საბჭოთა მეურნეობა ერთი დიდი და იმას შეუერთეს; თვითონ ყოფილი თავმჯდომარეც ახალ, უკეთეს სახლში გადასახლდა ცოტა ქვემოთ სოფელში, რომელსაც, ვგონებ, კაპრიშიანი ჰქვია – გარიყუალას და ახალქალაქის გაგრძელებაზეა მდინარე თემის პირას). აქ საკმაოდ ბევრი სახლია მიტოვებული, ყველა ქალაქში გარბის, ზოგიერთები წლობით არ აკითხავენ თავიანთ ბუდეს, ზაფხულში დასასვენებლადაც კი, და შესანიშნავი ორსართულიანი დიდი სახლების ეზოები წელამდე ჭინჭრითაა დაფარული, ზოგი ჩემს მამიკოზე მაღალიცაა.

ბინას არა უშავს (ეშერაში უკეთ ვიყავით-მეთქი, კინაღამ დაგწერე და გამახსენდა, რომ მამინ – ჰოი საკვირველებავ! – საერთოდ არ ვარსებობდი ამ ცოდვილ ქვეყანაზე). მართალია, ბუხებმა თითქმის შეგვჭმეს, წყალიც საკმაოდ შორსაა – დაახლოებით 50 მეტრში, ფესსალაგაც ზედ სახლის წინ არის ამაყად წამოჭიმული, თითქოს მის ფარდალადა ფიცრებს შორის საკმაოდ კარგად არ მოჩანდეს შორეული მტკვრის ხეობა და ქედები. სამაგიეროდ, გადასახედა ისეთი, რომ ერთ რამედ ღირს. ვართ სულ მარტონი (გვერდით სახლში ორი ოჯახი ისვენებს, დიდი ბიჭები და ერთი დიდი გოგო ჰყავთ – ასე 4-5 წლისა, მე ზედაც არ მიყურებენ, მიუხედავად იმისა, რომ ვენძიანები ხოლმე ჩიტის ჭყვილივით წამოძახილით, მათთან თამაში მინდა!). ეზოში უზარმაზარი თეთრი თუთები დგას, მსხმოიარე, და არის ერთი გაბმული ზუზუნი ბუზთა და ფუტკართა (გადმოცემით ვიცი, რომ ეშერაში ლეღვის ხეები იდგნენ მსხმოიარენი, მეორდება ამბავი!). ერთაწმინდის ტაძარი (ესე იგი სოფლის ცენტრი) 3-4 ათეულ მეტრზეა – ჩვენ ტაძარსაც და მის სამრეკლოსაც ზევიდან დავეყურებთ და ვხედავთ, როგორ დაჰფრენენ მერცხლები გუმბათის ზევით. აქ მეტად ლამაზი ალიონი და დაისი იცის (რომლებიც მე ჯერჯერობით არ მინახია), არის შესანიშნავი წყაროს ცივი წყალი გამოყვანილი (უსტარაულის წყაროდან), ყოველ საღამოს კლუბში აჩვენებენ კინოფილმებს (მე თუ მკითხავ, ეს შენობა სადორედაც არ გამოდგება), შეიძლება დილაობით რძის ყიდვა (60 კაპიკი ლიტრი – ოქროსფერი ძროხები ჰყავთ და ალბათ ამიტომ ოქროს ფასი ადევს, ჰყავთ კამეჩებიც, იმათი მაწონი რა ღირს, არ ვიცი).

ახლა უკვე დადამდა, სტუმრად მივდივართ მამიკოს კოლეგებთან სხვა უბანში და გემშვიდობებით, ყოველივე კარგს გისურვებთ.

თქვენი ოთხკივიანი ბესარიონა.

ჩვენი მისამართია: კასპის რ-ნი,

ახალქალაქი, ერთაწმინდა,

ტატო კარგარეთელი (ჩემი მამიკოსთვის – სოსო ომაძისთვის).

დედიკო გთხოვთ ერთ საქმეს. არ იცის, გაუფორმეს თუ არა უხელფასო შეგებულება, ამიტომ, ყოველი შემთხვევისთვის, გთხოვთ დაურეკოთ ნანა კობიძეს ფიზიკის ინსტიტუტში (ტელ. 37-19-74, დამატებით ეტყვი კომპუტატორის ტელეფონისტს 3-81). ლიას უნდა აიღოს უხელფასო 1 ივლისიდან 23 აგვისტომდე და ნანამ დაწეროს განცხადება ლიას მაგივრად.

წერილი № 2
1977 წლის 10 ივლისი, სოფ. ერთაწმინდა

სალამი საყვარელო ბებიკოს და მამიდიკოს!

ისევ პატარა ბაცაცუნა გწერთ. აქ, ერთაწმინდაში, გვარიანად მოვეწვევით. როგორც მოგახსენეთ, პირდაპირ დავეყურებთ ერთაწმინდის ტაძარსაც და ქვევით გაშლილ მტკვრის ხეობასაც. აქ გრილა ძალიან, სულ ნიაგია, ზოგჯერ – ქარიც, მეც ნელ-ნელა ვეჩვევი აქაურობას. უკვე ორჯერ გამიყვანეს მზუზე და ჩემი ნაზი ტაკუცუნები შეუშვირეს მზის ბრიალა თვალს. სულ თითო-თითო წუთს გაგრძელდა ჩემი ტაკუცუნებისა და მზის ნაცნობობა, იმედი მაქვს, რომ ის გაგრძელ-

დება ორივე მხარისთვის სასიამოვნოდ და სასარგებლოდ. ისე, ეზოში ხშირად დავსეირნობ, მამიკოს ხელეპზე ამხედრებული, ვაკვირდები, ხომ ყველაფერი რიგზეა. ჯერჯერობით ყველაფერი მის, როგორც წესი და რიგია: ჩოკინები ყროყინებენ, მამლები ყვირიან გულის გასახარად, პეპლები თეთრად დაფარფატებენ, ციციანთალები საღამოობით თვალს ახარებენ ნაპერწკალ-ნაპერწკალებით – ყველაფერი პირველად გავიცანი და ფრიალ კმაყოფილი ვარ, რომ ქვეყნიერება ასეთი ფერად-ფერადი ყოფილა. ძალ-ღონეც საკმაოდ მომემატა, ფეხზე გამართული დგომა შემეყვარდა, ჩემი გახდა-ჩაცმის ამბებიც შესამჩნევად გამარტივდა და აღარ წამომაქცევინ ხოლმე დასაჭედი ხარივით და არ მატრიალებენ შესაბრაწი გოჭივით. ჯდომას ხომ ნულარ იკითხავთ, აღარ მაკმაყოფილებს და ვცდილობ, ფეხზე დავდგე, რასაც ზოგჯერ ვაღწევ კიდევ – როდისმე ხომ უნდა კაცი დავდგე, ბოლოს და ბოლოს! თითქმის ყოველ საღამოს სტუმრად დავდივართ ყველანი, ან ჩვენთან მოდიან. მე დიდ პატივში ვარ, ხელიდან ხელში გადავდივარ, თითქოს გარდამავალი თასი ვიყო ან ყანწი. მეც ყველას ვუცინი, გულს არავის ვწყვეტ, რა ვქნა, ასეთი ხასიათი მაქვს, ხალხი მიყვარს, მეჯავრება კარჩაკეტილობა. განსაკუთრებით ბავშვების დანახვა მიხარია, ჩიტვივით ავუღურტულდები ხოლმე. ყველაზე ბევრი ხალხი (ქალები და ბავშვები) ერთაწმინდის ტაძრის გალაგანთან იყრის ხოლმე თავს. წყაროსთან ერთი სქელი მორი გდია, ზედ სხედან საღამოობით ქალები და პარადს იღებენ – ამვლეულ-ჩამვლეულთ ათვალიერებენ და ლაყობენ.

ამ წერილს ჯერჯერობით ფოსტას ვატან – ავტობუსის გაჩერებასთან ერთი დანჯღრეული, ფერგადანსული ყუთია ჩამოკონწიალებული და არ მაქვს გადაწყვეტილი იმედი, რომ ეს წერილი თქვენამდე მოაღწევს; ჯობდა, მტრედებისთვის გამომეტანებინა, ერთაწმინდის ტაძრის გუმბათზე რომ წრებებს უგლიან ფრთების ფართქუნ-ფართქუნით, მაგრამ გზა რომ არ იციან? მოკლე ხანში შესძლოა, ყველაზე უკეთესი გზა გამოჩნდეს – მამიკო თითქმის სულ თუთის ხეებზე დაძრომილობს (ჩვენთან სამი ძირი ხართუთაა მსხმოიარე და ბუხებიც იმიტომ გყავს ბლომად), მიწაზე იშვიათად ჩამოდის და მგონია, რომ მოკლე ხანში ჩიტად გადაიქცევა. აი, მაშინ კი მას გამოვატანდი წერილს და პასუხსაც სწრაფად მივიღებდი!

მოგიკითხათ დედოკომ და მამიკომ, ყოველივე კეთილს გისურვებთ თქვენი პატარა ბესარიონი.

წერილი № 3

1977 წლის 12 ივლისი, სოფ. ერთაწმინდა

სალამი მარად საყვარელო და სანატრელო ბებიკო და მამიდიკო!

ისევ თქვენი პატარა ქუცუნა ერთაწმინდელი გაცხოვრებით თავის ამბავს. რა გვიჭირს, ვართ რიგიანად, ჰაერს ვყლაპავთ ფუთობით, ასევე თუთას და მზის სხივებსაც ხარბად ვისრუტავთ. ასე რომ, შეხვედრისას, შეიძლება, ვერც გვიცნოთ, ისე ვიქნებით გახრუკულები. ნელ-ნელა ვეჩვენებით აქაურობას. მე ვეშმაკდები თანდათან, ახლომახლო რაც კი ძევს, სულ მინდა, რომ ხელით შევეხო, დავითრიო და, თუ შესძლებლობას მომცემენ, გემო გაგუსინჯო კიდევ. ფეხზე გამართული ვდგევარ ჯარისკაცის ხიშტივით და, თუ ცოტას წამეხმარებინა, ფეხებსაც ვადგამ – მეც მივდივარ ჩემი ჭკუით რაღა! ბევრს მეთამაშებინა დედოკო და მამიკო, სულ კისკის-კისკისი ისმის ჩემი, ზოგჯერ ჭყლოპინშიც გადასული – რა ვქნა, მიყვარს, როცა მეფერებიან. დანარჩენ დროს ვუნდები ძილს (დღისითაც მძინავს 2-3 საათი), ჭამას (ზოგი რამ მომწონს და ხალისით მივირთმევე, მაგალითად, მანანას ფაფას, სხვა საჭმელები მაინცდამაინც არ მეპრიალება და დიდი ხელჩართული ომის შემდეგ ხერხდება ჩემი დაპურება – აბა, ომაძე ვარ და რაცხა ომი ხომ უნდა გადავიხადო!), აგრეთვე, საკუთარ ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებებს, რას საათივით მაქვს აწყობილი და ყოველი ჩემი გამარჯვება ამ ფრონტზე აღფრთოვანებას, მართალია, აღარ იწვევს (შეეჩვენენ!), მაგრამ დრმა კმაყოფილებას კი – ფრიალ.

როგორც ხედავთ, წერილის საწერადაც მრჩება დრო. კონვერტები ერთმა პაპამ მოგვცა, ინვალიდმა, რომელიც მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე თითქმის ფეხმოუცვლელად ზის ჩვენი სახლის წინ და მხოლოდ მზის გადახრასთან ერთად ისიც ახალ ჩრდილს ეძებს. ერთადერთ ფეხზე ყოველთვის უზომოდ გაპრიალებული შავი ბათინკა აცვია, ტანზე კი დაკონკილ-დაკერებული ტანსაცმელი. მისი მუდმივად ანთებული პაპიროსის ბოლი ერთადერთი რამ არის, რაც აქაურ ჰაერს აჭუჭყიანებს.

მეტი რა მოგწეროთ. დავიჭირეთ ძალიან ლამაზი პეპელა, გინდოდა ჩაგვედო კონვერტში, მაგრამ გვეშინია, არ გაფუჭდეს.

ძალიან გთხოვთ, გაგვაგებინოთ, დედოკოს თუ გაუგრძელეს შევბულება 23 აგვისტომდე. ამისთვის დარეკეთ ფიზიკის ინსტიტუტში 37-19-74 და კომუტატორის ტელეფონისტის ხმაზე უთხარით, მოგცენ 3-81; ნანა კობიძეს ან სხვა ვინც იქნება ღიას განყოფილებიდან, თხოვთ, დაწერონ ღიას მაგივრად განცხადება შევბულების გაგრძელების შესახებ 1 ივლისიდან 23 აგვისტომდე (ამ დღეს ერთი წლის ვხდები!).

ნახვამდის, გკოცნით ბევრს,

თქვენი ბესარიონი.

მოგიკითხათ დედოკომ და მამიკომ.

№ 4 წერილი ბესარიონ ერთაწმინდელისა 1977 წლის 15 ივლისი, სოფ. ერთაწმინდა

სალამი საყვარელო ბებიკო და მამიდიკო!

მოგახსენებთ, რომ ყველანი ვართ ხეირიანად, მე ალბათ ვეღარც მიცნობთ, ისე ვარ შებრა-
წული წითლად და ამჟამად სახეზე მაწვინის ფაფა მაქვს წასმული, ვითარცა სილამაზის დიდ
მოტრფიალეს. დღეს 12 საათზე წავედით დედაბუდიანად 15 კაცი-ქალი-ბავშვი უსტარაულის წყა-
როზე. ეს წყარო მდებარეობს ერთაწმინდის სამხრეთით გოსტიბეს მთების ძირში, სოფლიდან
დაახლოებით 2 კილომეტრის მანძილზე, და სოფელზე საკმაოდ მაღლა. მერე სულ მაღალი, ტყი-
ანი მთები იწყება და ამ საზღვარზე ტყისა და ყანებისა გადმოსჩქეფს წყაროები: თეთრაწყარო,
მასურას წყარო, უსტარაული, სამების წყარო და სხვანი. ესენი იმდენად არიან განთქმულნი,
რომ მთელი რაიონის სოფლებიდან დღენიადაგ მოგრიალეებენ აქეთ მანქანები მოქეიფებით.
ჩვენც ამათ მარაქაში ვერიეთ, ოღონდ ფეხით მივდიოდით. ბოდიში, ამ თხუთმეტი კაცისა და ქა-
ლისგან მხოლოდ ერთი არ მიბრძანდებოდა საკუთარი ფეხით და ალბათ მიხედით, რომ ეს რჩეუ-
ლი მე გახლდით. ვაბრიალებდი თვალებს, აქეთ-იქით ვაკვირდებოდი პურის ყანებს, ბაღებს, ყვა-
ვილებს, მოფარფატე პეპლებს და ვუსმენდი მოწინწორხე კალიებს და თურმე მზეც მე არ მით-
ვალთვალედა? სხვებიც სანაქებოდ დაბრაწა, თანაც რაღაც შემპარავად, შეუმჩნევლად, ქურდუ-
ლად, ეს კი ბატონ მზეს არ ეკადრება. აწი მეცოდინება მაგის ზნე და თუ ახლა მაწონმა მიშვე-
ლა, ადვილად ვეღარ მომატყუებს. გავიარეთ შუა გზაზე ცუცუბნის სამლოცველო, რომელიც
სამხრეთით უხის ერთაწმინდას (საწყალი, სანახევროდ დანგრეულია და მცენარეულობას მოუკა-
ლათებია მის კედლებზე). უსტარაულის წყაროს გვერდზე ჩაუდის ცხირეთის საკმაოდ ღრმა ხე-
ვი, რომელიც ცოტა ზევით კიდევ უფრო ღრმა და ციცაბონაპირებიანი ხდება, მერე კი ჩანჩქერია
ძალიან მაღალი და ლამაზი; ჩანჩქერის თავზე ფრიალო კირქვის კედელში გამოქვაბულია, გა-
მოქვაბულის თავზე კი, ფრიალოს ზევით, მოსწორებული ადგილია, ტყით დაბურული, რომელ-
შიც იმალება ზემოციხე – მეფე ლუარსაბის საზაფხულო რეზიდენცია რომ იყო ოდესღაც. ეს
მხარე საერთოდ პირდაპირ მოფენილია ისტორიული ძეგლებით (როგორც ვთქვი, ერთაწმინდას
სამხრეთის მხრიდან დარაჯობს ცუცუბნის სალოცავი, აღმოსავლეთით, სოფ. ახალციხესთან –
ზემოჯვრის სალოცავი, სამხრეთით, გარიყულამდე – ფაენისის ეკლესია (გულიკომ იცის ალბათ,
აქ იღებდნენ კინოფილმ “ლონდრეს”); დასავლეთით კი, თემის ხეობაში, უამრავი ციხე და ეკლე-
სიაა (ერთი – კალოუბანი – ერთაწმინდიდანაც ჩანს). ისიც მოგეხსენებათ, რომ თვით ერთაწმინ-
დაში წმიდა ესტატეს შესანიშნავი ეკლესია დგას).

უსტარაულის წყაროსთან გემრიელად მოფულხინეთ, იქ წავუძინე კიდევ ჩრდილში საათნახე-
ვარს, სანამ სხვები ილხენდნენ, შემდეგ წამოვედით უკან – ჩამავალი მზის სხივებით დაფერილი
ველებით დაფუყვით დაღმართს სოფლისკენ.

ახლა კი ნახვამდის. ცოტა არეული წერილი გამომივიდა, რას იზამ – ხან ასეა და ხან ისე.

ბოცნით ყველას და ყოველივე სიკეთეს გისურვებთ
თქვენი პატარა ბესარიონი.

წერილი № 5

1977 წლის 23-24 ივლისი, სოფ. ერთაწმინდა

სალამი და გამარჯვებით ყოფნა ჩემს საყვარელ ბებიკოს და მამიდიკოს!

წერილი დაგიგვიანეთ – კონვერტები არ მაქვს და არც ვიცი, ეს მეხუთე ჩემი წერილი რო-
დის გამოფრინდება თქვენსკენ. არც ის ვიცი, წინა წერილებს რა ბედი ეწიათ, თქვენგან არფერი
პასუხი ისმის და ეს ცოტა მაღელვებს. ძალიან გთხოვთ, თუკი აქამდე ვერ მოახერხეთ, აწი მა-
ინც ნუ დაიზარებთ პასუხის მოწერას. მამიკო კი ალბათ ერთ კვირაში ჩამოვა და ის მაინც გა-
მაგებინებს თქვენს ამბავს.

ახლა ჩემი ამბები უნდა მოგახსენოთ. ფერი ვიცვალე, სოფლური ჯანსაღი იერი მაქვს – სა-
ხეზე, უფრო ზუსტად – ლოყებზე, ვარდისფერი გადაამკრავს. ჰო, ტყავი გადაამკვრა ლოყებზე! დი-
ახ, ბევრი რამ პირველად ვნახე აქ – ციციანთალებით აკვესებული საღამოები, წმიდა ესტატეს
ტაძრის სახურავზე მტრედთა ღუღუნის, ნიაგით აშრიალებული თუთის ტოტები ლურჯ ცას რომ
ეთამაშებიან, თუთის გემოც ვიცი, მაშ! სხვები თუ კილოგრამობით შეექცევა, მე რომ 3-4 ცალი
შევსანსლო დღეში, აბა, რა სათვალავში ჩასაგდება! სხვათა შორის, დედოკომ კაკლის მურაბა
გააკეთა (2 სამლიტრიანი ბალონი!) და მეც გამასინჯეს წვენი.

ვაგრძელებ მეორე დღეს წერილს, რადგან წავედით პეპლების საჭერად. მამიკომ გააკეთა პეპ-
ლების საჭერი, დედოკომ დოლბანდის ძაბრი მიაბა და დავიწყეთ ნადირობა ჩვენი კოლექციის გა-
სამდიდრებლად. შუადღეზე გავედით სოფლის თავში ჭარხლის ყანის გვერდით. საშინელი სიცხე

კი იყო (და ქარიც ქროდა), მაგრამ სწორედ ამ დროსაა პეპლების გამოფრენის დრო. მე და დელიკო მივჯექით ღობესთან ტყემლის ჩრდილში, წელზევით გაშიშვლებული მამიკო კი დაჯირითობდა ზევით-ქვევით და იქნევდა პეპლების საჭერს. სულ დაახლოებით ნახევარ საათში დავიჭირეთ 8 პეპელა: 1 ღურჯი (პატარა), 1 თეთრი, 2 ყავისფერი, 1 შავი – წითელწინწკლებიანი, 2 ჭრელი და, სულ ბოლოს, ყველაზე ღამაზი – ყვითელი, რომელიც მე და მამიკომ ერთად დავიჭირეთ: ხელში ვყავდი აყვანილი და გამასეირნა, ხელში პეპლების საჭერი ჰქონდა და ჩემი ყისმათის წყალბოთით მოვიპოვეთ ყვითელი ღამაზიანი. ადრე მამიკო დიდხანს ამოდ დასდევდა სწორედ ასეთ ყვითელ პეპლებს, მაგრამ ჩემი დახმარების გარეშე არაფერი გამოუვიდა. მერე მე ჩავისევლე საფუძვლიანად (ფენსაცმელებშიც კი ჩაუწვდინე), მერე გამომიცვალეს, მერე აშრეს ასკილის ბუჩქზე ჩემი ავლადიდება და მერე კი წამოვცუნცულდით შინისკენ, რადგან ისე მეძინებოდა, რომ მეტი არ შეიძლება.

ახლა ვაპირებთ სოფელ ახალქალაქში საკვირაო ბაზრობის მონახულებას და კონვერტსაც ალბათ იქ ვიშოვით. ჰო, კინაღამ დამავიწყდა: 2 დღის უკან გავიცანი ერთი მხატვარი – რუსუდან ჯაგრიშვილი და მას ძალიან მოვეწონე. დაძინება მინდოდა და ცოტას ვჭირვეულობდი, მაგრამ მაინც მოვხიბლე. საერთოდ ქალებში დიდი წარმატებით ვსარგებლობ.

ძალიან მომენატრეთ, გოცნით მრავალს,
თქვენი ბესარიონი.

წერილი № 6.

1977 წლის 26 ივლისი, სოფ. ერთაწმინდა

საყვარელო ბებიკო და მამიდიკო!

კაი გამარჯობა თქვენი! ერთგვარად ვაგრძელებ წინა წერილს. ფაგნისის ეკლესიის დასაფურთხავად არის ასეთი წარწერა ლითონის ფირფიტაზე:

ფაგნისი

შუა საუკუნეთა ძეგლი. აგებულია არაუგვიანეს X ს-ისა.
საყურადღებოა თავისი მოხატულობით, რომელიც
XII ს-ის შუა წლებით თარიღდება. სამხრეთის მინაშენი
გვიანი ფეოდალური ხანისაა.

დღეს მამიკოს ისევ მოუწია ახალქალაქში გასეირნება და ისევ შეისვენა ფაგნისის ეკლესიის ჩრდილში. აქედან დიდებულად მოჩანს ზევით ფერდობზე შეფენილი სოფელი ერთაწმინდა, უკან კი ფონად მუქი ტყიანი ქედია. არ ვიცი, რამდენად შეამჩნევთ ერთაწმინდის ტაძარს; ყოველ შემთხვევაში, მამიკომ მისი გუმბათი დახატა. ხატვის დროს ფაგნისის ეკლესიის კედლების გამონაშვებებზე მოკალათებული ბელურები ჰყიპინებდნენ დილის სიმღერას, ნიავეს კი მოჰქონდა ავშანის გამაბრუებელი სურნელი. ელვარე მზის სხივები ეფინებოდნენ მთა-ველს და ათასფრად აფერადებდნენ.

ახლა კი გემშვიდობებით. დღეს ბევრი ხალხი უნდა გავიცნო – 4 საათზე რუსუდან ჯაგრიშვილთან ვარ სხვებთან ერთად დაპატიჟებული.

გოცნით თქვენი პატარა ბესარიონი.

წერილი № 7

1977 წლის 29 ივლისი, სოფ. ერთაწმინდა

სალამი საყვარელო ბებიკო და მამიდიკო გულიკო!

ხომ ხართ გვარიანად? ჩვენ რა გვიშავს, ვშავდებით ნელ-ნელა, ვისუნთქავთ გრილ ჰაერს და გიგონებთ თქვენ, თბილისის 33-გრადუსიან სიცხეში მყოფთ. ისე, ხანდახან ჩვენც გვცხვება. მაგალითად, გუშინ, როცა ზედაჯვრის სალოცავის მოსანახულებლად წავედით. თუ ჩვენი შუშაბანდიდან აღმოსავლეთით გაიხედავთ, დაახლოებით ასეთ სურათს დაინახავთ:

წინა პლანზე თქვენი მონა-მორჩილის გასაშრობად გაფენილი რამე-რუმეებია, მერე – მესერი, მის უკან – თუთის ხე (ჩვენი ხართუთა არ გეგონოთ! ამას წერილი, მოწითალო და ძალიან ტკბილი თუთა ასხია, ჩვენს ხართუთებს კი – მსხვილი, თეთრი), თუთის ხის უკან სოფლის სახლებია, ჰორიზონტზე კი – ერთ-ერთ გორაკზე წამოსკუპებული ზედაჯვრის სალოცავი. სურათზე რომ ასე ახლო ჩანს, აბა, გაგანია სიცხეში 3-4 კილომეტრი გიარე აღმა-დაღმა ბორცვიან მიდამოზე! მე, ცხადია, ერთი ნაბიჯიც არ გამიკეთებია, ყველაფერს ხარბად ვაკვირდებოდი, განსაკუთრებით – ყანის ასაღებად გამოსულ ხალხს და მანქანებს – მათი გუგუნი კარგა ხანია, არ

მსმენია და ახლა როგორც კარგ მუსიკას, ისე აღვიქვამდი. ერთი სული მაქვს, როდის ჩამოვალ თბილისს და გნახავთ თქვენც და ბევრ-ბევრ მანქანებსაც.

ვიარეთ, ვიარეთ და რამდენიმე დიდი ხევის შემდეგ ავობობდით ზედაჯვართან. სამაგიეროდ, იქ ისეთი ნიაგი დაგვხვდა, რომ სამოთხეში ვიგრძენით თავი, გადასახედს ხომ ნულარ იკითხავ; აქეთ, დასავლეთ ფერდობზე შეფენილი ერთაწმინდის სახლები ჩანდა, შუაში ამართული წმიდა ესტატეს ტაძრით; ჩრდილოეთით – მტკვრის ხეობა იყო ჩაწოლილი ფერად-ფერადი ყანა-ბაღებით, სოფლებით და მტკვარგალმა კვერნაქის ხრიოკი ქედით; აღმოსავლეთით – სოფელი ახალციხე სოფლის განაპირას ძველი ციხით, უფრო ზევით – სოფელი ნოსტე, გიორგი სააკაძის კოშკიც კარგად ჩანდა, ნაცრისფრად ამართული; სამხრეთით – გოსტიბეს ტყით შემოსილი მთები.

წამოვგორდით საყდრის ჩრდილში გაფენილ თხელ საბანზე და გემოზე ვისაუბმეთ. მერე ჩემი დაძინება მოინდომეს, მაგრამ ამ სილამაზის შემყურეს რა დამაძინებდა. სამაგიეროდ, ორი საათის შემდეგ, უკან დაბრუნებისას, ხელში ატატებულს ჩამეძინა, თავი მამიკოს მხარზე მედო და ნებიერად ვფშინავდი, ასე რომ, უკანა გზობაზე რა მოხდა, ვერაფერს მოგახსენებთ. ერთი კია, რომ ცალ ყურში მესმოდა, როგორ ბუზღუნებდა დედოკო, რომ ასეთ შორეულ გზაზე აწი არას-გზით წავიდოდა, თუნდაც ამაზე უფრო ლამაზი ადგილის სანახავად, თანაც ასეთ მწველ სიცხეში.

ასეთ იყო ეს ანბავი. მამიკო აპირებს ცოტა ხანში თქვენს მონახულებას – ალბთ 3 აგვისტოს ჩამოვა, თან რაღაცებს წამოიღებს თბილისში, თან ჯამაგირსაც აიღებს, თან რაღაც-რაღაცებს იყიდის აქეთ წამოსაღებად და ამავე დღეს, საღამოს დაბრუნდება ჩემთან, თუკი ყველაფერი კეთილად დასრულდა.

ახლა კი გემშვიდობებით 11 თვის ბესარიონა, ძალზე გაცულდულტებული ამ ბოლო დროს, მაგრამ მაინც კაქი ბიჭი. გეოცნით მრავალს, ჯერ თვლა არ ვიცი, თორემ გეტყოდით, რამდენს. მოგვიკითხეთ ჩვენი კეთილი ნაცნობები.

თქვენი პატარა ბესარიონი.

წერილი № 8.

1977 წლის 29 ივლისი, სოფ. ერთაწმინდა

გამარჯვება და დღეგრძელობა ბებიკოს და მამიდიკოს!

ისევ თქვენმა პატარა ქუცუნამ გაგისხენათ. ისე, ხანდახან ბეკეკოსაც მეძახიან, რადგან სიცინი მაქვს ისეთი – ისეთი-ისეთი, რომ ბეკეკოს კიკინს წააგავს.

გუშინ მე, დედოკო და მამიკო სასეირნოდ განვეწყვეთ ისევ და ერთწმინდის სამხრეთით გაგუყვით აღმართს უსტარაულის წყაროსკენ, ოღონდ ამჯერად ცუცუბნის ნახევრად დანგრეულ კელესიასთან შეგჩერდით პატარა გორაკზე. გავშალეთ წითელი საბანი (მამიდიკოს უგორავია მასზედ ტიტლიკანას თავის დროზე – მიხვდით, რომელი საბანიცაა?), მოგაკალათდით ზედ მე და დედოკო და ცუცუბნის დაფხავებულ კედლებს ვათვალიერებდით, შიგნითაც შევძვერით (სურათზე დიდი ლოდიანის ქვეშ კედელში რომ შავი ოთხკუთხედი მოჩანს, ისაა შესასვლელი). დედოკო მამიკოს ეუბნებოდა, შენს ნახატზე ვერაფერს მიაგვანებს კაცი და დააწერე, რა რა არის, მაგრამ მე მგონია, მაინც მიხვდებით, რომ სალოცავს სახურავი არ აქვს და შიგნით რაღაც მცენარეულობა ხარობს – ესაა თუთის ხე, რომელსაც წერილი მწიფე ნაყოფიც ბლომად ესხა. აქედან დაასკენით, რომ სალოცავი კარგა ხნის უნდა იყოს – სოფელში დრმად მოხუცებსაც კი არ ახსოვთ იგი სახურავაშუქვევლი. გვერდზე იგივე სალოცავია, მამიკოს მიერ ჩახატული ოდნავ სხვა მხრიდან.

პეპლები ამჯერად მხოლოდ ორი დავიჭირეთ, დრო არ გვეყო. საღამოს კი ვიყავით მიპატიჟებული ჩაიზე ია რამიშვილთან – დავით ჯავახიშვილის მეუღლესთან, სადაც ჩინებული ტორტი მივირთვით. უფრო სწორედ, მე ვუყურებდი მხოლოდ, როგორ მიირთმევდნენ სხვები; მე გამასინჯეს ძალზე თხელი (ლავაშზე უფრო) ხაჭაპური, მაგრამ ვერ გავღეჭე (მხოლოდ ოთხი კიჭი მაქვს, ისიც ყველა წინ, – კურდღელივით, – საჭრელი, საღეჭი არ მაქვს და რა ვქნა).

ახლა კი გემშვიდობებით და ხელსაც ვაწერ, როგორც ხედავთ: პირველად მარცხენა ხელი დამადებინეს ქაღალდზე, მაგრამ ვიუკადრისე – მარცხენა რატომ? და მაგრად მოგჭმუჭუნე ქაღალდი, რასაც ალბათ შეამჩნევთ – ძლივს გამაშვებინეს ხელიდან, თორემ ამჯერად ნახატიან წერილს ვეღარ მიიღებდით.

გეოცნით თქვენი პატარა ბიჭი
ბესარიონ ომაძე.

წერილი № 9
1977 წლის 7 აგვისტო, სოფ. ერთაწმინდა

სალამი საყვარელო ბებიკო და მამიდიკო გულიკო!

მთელი კვირა გავიდა, რაც თქვენთვის წერილი არ მომიწერია. ერთადერთი საფოსტო ყუთი სოფლის ჯეილებმა ჩამოაგდეს და ფეხბურთისთვის უნდოდან გამოეყენებინათ, მაგრამ ფოსტალიონმა წაიღო და ჯერჯერობით არ ვიცი, ამ წერის რა ვუყო. ისე კი სიხარულით უნდა გაუწყოთ, რომ ყველანი ჯანზე ვართ, ჭამის მადა მშვენიერი გვაქვს. მე გავეყოჩადი, გავცუღლუტდი კიდევ – ჩემს საწოლში დაამჯდარს და, მით უმეტეს, წამოწოლილს თითქმის ვერ მნახავთ – როგორც კი ჩამსვამენ, მაინვე ფეხზე უნდა წამოვიჭრა და ასე ვდგავარ ხიშტივით გამართული. როცა უნდა ჩამსვან ძალათი, დიოდი გაჭირვებით მომხრიან ჯავყსავით და თან ჩემს საპროტესტო განცხადებებს ისმენენ. ფეხზე მდგომი, ვარ ჩაფრენილი საწოლის მოაჯირს, ვბრიალებ თვალებს და “ტა-ტა-და-და-ბა-ბა”-ს ვაუწყებ მსოფლიოს. ზოგჯერ ბაჯბაჯით მივუყვები ამ რიკულს, თან თუ ტირილი რ გამდის, ღიმილით ვცდილობ, მივიპყრო ყურადღება – ოთხივე კიჭს ვაეღვარებ.

ახლა კი ნახვამდის, მოკითხვა ყველას,
თქვენი მოსიყვარულე ბესარიონი.

წერილი № 10
1977 წლის 8 აგვისტო, სოფ. ერთაწმინდა

გამარჯვება, ჩემო საყვარელო ბებიკო და მამიდიკო!

თქვენ ალბათ იკითხავთ, რაღაც შორეულ პატარა სალოცავებს რომ გვაცნობს, რატომ ერთაწმინდის ტაძარი არ დაგვიხატაო, რომელიც თანაც ცვენგან, ბოდიში და – ერთი გადაფურთხების მანძილზეა. მამიო ვარჯიშობდა და იმიტომ ალბათ. ახლა გთავაზობთ ხედს ჩვენი სახლის ეზოდან. იმედი მაქვს, რომ გააჩნევთ ხეს სახლისგან და ალგებს ტაძრისგან. ერთი იაღლიში (ერთი მხოლოდ?) მაინც თვალში საცემია – წმიდა ესტატეს გუმბათის ყელი ნამეტანი დაბალი დახატა მამიკოს ხელმა, მაგრამ ამ ამბავს აღარაფერი ეშველება. თუ ღვთის ნება იქნება, მამიკოს ვთხოვ და ხელმეორედ უკეთესად შეეცდება, ეასრულოს ნახატი.

წინა წერილი ერთგვარად დაუმთავრებელი არჩა, რაგან ფოსტალიონი მოგვადგა მოტოროლერით კარზე და საჩქაროდ გადავეცილ წერილი, მოკითხვა მივაწერეთ მხოლოდ. ჩვენი ამბავი თუ გაინტერესებთ, მოგახსენებთ: ვრთ მშვენივად, ვჭამთ და ვსვამთ მშვენივრად, საერთოდ ვისვენებთ მშვენივრად. მამიკოს კოლეგები თითქმის სუყველა წავიდნენ აქედან, მხოლოდ ერთი ოჯახი დარჩა. სადამოობით სოფელგარეთ ვსეირნობთ. გუშინ, მაგალითად, წავედით დასაველეთის მიმართულებით, ვიარეთ ყანებში (პური ჯერ აუღებელია ალაგ-ალაგ და მწყერების ქვითქვითი ისმის), ხუთი პეპელაც დავიჭირეთ ჩვენი კლექციისთვის, შეგკარით მშვენიერი თაიგული მინდვრის ყვავილებისა და ერთი საათი ვიკოტრიალეთ წით ლ საბანზე. თან გვახელით დედიკოს გაკეთებული დვეზლები, თან ვუყურებდით ჩამავალი მზის სხივებით ნაფერ მდინარე თემის ხეობას, შორეულ ქედთა გრეხილებს. მერე გამოვცუნცულდით ნელ-ნელა შინისკენ, მივირთვით საჭმელი, ძილის წინ კიდევ ერთხელ გავისეირნეთ სოფელში – სადამოს წამოწვიმა საკმაოდ ბარაქიანა და ბლლად ვზილეთ ტალახი. მერე, როცა დაბნელდა, მე მივირთვი მანანას ფაფა, ორჯერ გამოვაცვლევი საფენები მამიკოს (აბა, რა ეგონა, ასკილის ნაყენს რომ მასმევდა!), მერე გვერდზე გადავბრუნდი და სიზმრების სამეფოში შევტოპე.

ახლა კი გემშვიდობებით და ყოველივე კეთილს გისურვებთ. ველით თქვენს წერილებს. მივიღეთ თქვენი №3 წერილი, პირველი ორი წერილი ჯერ არ ჩნს. გთხოვთ, უფრო გარკვეით წეროთ, აუჩქარებლად და უფრო მსხვილი ასოებით. ჩვენ ალბათ თვის ბოლომდე დავგრჩებით აქ, რაღამც დედიკოს 1 სექტემბრამდე ჰქონია შვებულება.

ბაკონით ბევრს თქვენი პატარა ბესარიონი.

წერილი № 11
1977 წლის 10 აგვისტო, სოფ. ერთაწმინდა

სალამი ჩემს საყვარელ და დიდად სანატრელ ბებიკოს და მამიდიკო გულიკოს!

წერილით ისევ და ისევ არ გასვენებთ თქვენი კარგი ნაცნობი ბესარიონ ერთაწმინდელი. როგორც გპირდებოდით, მამიკოს დაგახატვინებთ ისევ წმიდა ესტატეს ტაძარი, ოღონდ ამჯერად დასავლეთის მხრიდან, ელისაბედაშვილების უბნიდან, წინა ნახატი კი იყო ხედი კარგარეთლების უბნიდან.

ელისაბედაშვილთან უბანში იდგნენ ჩვენი ნაცნობები, მამიკოს კოლეგები და მათი სახლის მეორე სართულის აივანიდან ჩანს ეს ხედი. (წერილის წერა გაგრძელდა 11 აგვისტოს) სხვათა შორის, ზუსტად იგივე წერილიდან იგივე ხედი ფერწერულად გადაიღო რუსუდან ჯარიშვილმა, 9 და 10 აგვისტოს მუშაობდა შუადღის შემდეგ და ორ სენსში მოასწრო მთლიანდ სურათის დასრულება. თუ გამოფენაზე შეგხვდებით, შეადარეთ მამიკოს ნახატს და იცნობთ, მე მგონია.

სხვა მხრივ არა გვიშავ რა. რღეს ღმზად მაბანგეს და ახლა ტკბილად მძინავს; წრილს როგორღა ვწერ? ეს ჩემი საიდუმლოა.

თუთა ნელ-ნელა მოილია, თუმცა თითო-ოროლა ნახევარლიტრიან ქილას კი ათავებს დღეში დღეიკო. სამაგიეროდ, ქლიაგები შეფერადნენ და ახლა მათ გაგვრავთ ხოლმე კბილს. ჩემს კბილებზე ჯერ არ მოგახსენებთ, რადგან სულ 4 კიჭი მაქვს – ორ-ორი ზეით და ქვევით. ახლა კიდევ ორი ამომდის ზეით და საკმაოდ მაწვალებს, განსაკუთრებით საღამოობით, ძილის წინ. სულ ვბორგავ და ვტრიალებ, ხანდახან წავიტირებ კიდევ, მერე წავიძინებ – ზოგჯერ ერთი საათის წვალების შემდეგ. ისე, ძალიან გავფოჩაღდი: ჩემს საწოლში მჯდომარეს იშვიათა მნახეთ – სულ ფეხზე ვდგავარ და ზოგჯერ საწოლის მოაჯირის ხელების ცეცებით გავუყვები კიდევ თუ რაღაც განსაკუთრებით დამაინტერესებს და უშუალოდ ხელით ვერ მივწვდები.

ახლა კი გემშვიდობებათ თქვენი პატრა ტუნტულია, ტაკუცუნა, ბეკეკო, ტიკტორა, რომელიც საგსეა კისკისით, ტვალების ბრიალით, ფუნთუშა ხელების და ფეხების ფართხალით, აგრეთვე ზოგიერთი სხცვა რამითაც, რაც დროდადრო გარეთ გამოედინება მამიკოს და დღეიკოს გასახარად. რაც მთავარია, ეს პატრა ტიკტორა საგსეა თქვენი სიყვარულით და გოცნით ბევრს, ბევრს.

წერილი № 12 1977 წლის 14 აგვისტო, სოფ. ერთაწმინდა

სალამი საყვარელო ბებიკო და მამიდიკო!

რა სწრაფად გარბის დრო! ორი კვირაც და უკვე ერთი წლის ბაცაცუნა მაგრად-მაგრად გაკოცებთ ორთავეს და ბევრ-ბევრ საალერსო სიტყვებს გეტყვით, რომლებსაც ახლა გულდასმით ვსწავლობ. გულდასმით ვაგროვებ, აგრეთვე, პეპლების კოლექციას, ზოგიერთი ისეთი ღამაზი გგხვდება, რომ ძალაუნებურად ეჭვი შეგეპარება მარქსისტების მტკიცებაში – ღმერთი არ არსებობსო. ზემოთ დახატული სურთი, თუკი მას სურათი შეიძლება ეწოდოს, გაკეთებულია სწორედ ერთ-ერთი პეპლებზე სანადირო ადგილიდან სოფელ ერთაწმინდის დასავლეთ მხარეს. შემდგომ, თუ ყველაფერი მშვიდობით იქნა, შემოგთავაზებთ ერთაწმინდის ხედს აღმოსავლეთი მხრიდანაც. იქ ვიყავით, მაგრამ გვიანი იყო უკვე, დამდებოდა და მამიკომ ვერ მოსწრო ჩახატვა.

სხვა მხრივ ვართ ჩვეულებრივად. გუშინ, შაბათს, მამიკო იყო კასპში, ბაზარი მოინახულა და ზოგ-ზოგი სანოვაგეთი მოგვამარაგა, ასე რომ, ჯერჯერობით ჩვენი კუჭები პრეტენზიას არ გვიცხადებენ. ხილი ადგილობრივაც არის: თუთა (რომელიც იღვევა), ქლიაგები სხვადასხვა ჯურის (რომლებიც მწიფს) და ვაშლი (რომელიც ჯერ უმწიფარია, მაგრამ საჭმელად ვარგისი). ყველაფერ ამას მამიკო გვიზიდავს ახლომახლო ადგილებიდან.

ჩემს დაბდებიდან პირველ წლისთავს ვხვდები შემდეგი წარმატებებით: ვდგები საწოლში და მოაჯირს მიყვები, თუკი მჭირდება, რასავირველია; როცა რამეს ვიდებ პირში და “უმფროსებს” მიაჩნიათ, რომ ის არ ვარგა საჭმელად და დამიცაცხანებენ, უმალვე გამოვიდებ; როცა დღეიკო მეუბნება: “ტაში-ტაში!”, მართლაც ვუტყაპუნებ ხელისგულებს ერთმანეთს, ხოლო როცა მიმღერებს: “კანჭი-კანჭი-კანჭებიო!”, ხელებს ვათამაშებ, ვცეკვავ. ვიცი, აგრეთვე, წყლის მოთხოვნა; როცა მეუბნებიან: “აბა, ზიზია სად არის?”, მე მაშინვე ყვავილებს შევხედავ, რომელებიც მამიკომ და დღეიკომ სოფელგარეთ ხეტიალის დროს მოაგროვეს, მერე დღეიკომ კედელზე ჩამოჰკიდა და ახლა გამხმარია, მაგრამ მაინც ღამაზი. სხვათა შორის, ჩვენს ეზოშიც ხარობს ბევრი ღამაზი ყვავილი ველისა, რომელთა სახელები არ ვიცი.

ნახვამდის, მოკითხვას გითვლით მამიკო და დღეიკო. მალე თბილისში შეხვედრამდე. თქვენი პატარა ბაცაცუნა.

წერილის წერა დაგასრულეთ 16 აგვისტოს და დაგვიანებით ვგზავნით, რისთვისაც ბოდიშს ვიხდით.

წერილი № 13 1977 წლის 20 აგვისტო, სოფ. ერთაწმინდა

სალამი საყვარელო ბებიკო და მამიდიკო გულიკო!

იმედია, კეთილად ბრძანდებით, ჩვენც არა გვიშავს. ვისვენებთ, ცოტას ვშრომობთ კიდევ. ყველაზე მეტს, ცხადია, მე ვმუშაობ, დატვირთვა დიდი მაქვს, მაგრამ ვაჟკაცურად ვუმკლავდები, სხვაგვარად როგორ შეიძლება! ჯერ დღეში ხუთჯერ ჭამას არ იკითხავთ? მერე კიდევ – სხვა

მნიშვნელოვან საქმეებს. რაც კი მოხვდება ჩემი გაწვდილი ხელის არეში, ყველაფერი უნდა გაე-
 სინჯო ჯერ ხელით, მერე – პირში ვიტაკო გემოს გასაგებად. მამიკოს ვუჩითავ ჯიბეებს, როცა
 ხელში ამიყვანს და ვაცლი სათვალეს, კალმისტარს, ცხვირსახოცს, თქვენდამი მოსაწერ ქა-
 ლაღდს და, ასე გასინჯეთ – შარვალზე ქამრის მოხსნაც კი მწადია. ყველაფერ ამას თან ახ-
 ლავს ჩემი ბურტყუნი, ჭიჭყინი (თუ არ მაძლევენ), ჟივვივი (თუ ხელთ ვიგდე საოცნებო საგანი),
 ზოგჯერ კი კისკისიც (როცა მეაღერსებიან); ზოგჯერაც ვარ გასუსული, მეტისმეტად დადინჯე-
 ბული, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მამიკოსა და დედიკოს ვანიშნებ – მე ხომ ვიშრომე და ახ-
 ლა თქვენც გაისარჯეთ, გამომიცვალეთ საჩქაროდ-მეთქი. როცა ჩემს საწოლში ჩამსვამენ, ვიჭყ-
 იტები გისოსებიდან პატიმარივით, ვილიმები, ტაშს ვცემ – იქნებ ვინმემ ხელში ამიყვანოს, ეს
 არის ჩემი ყველაზე დიდი დღესასწაული. ხელში აყვანილი მზად ვარ ვითამაშო – ხელების
 მტევნები კარგ მოცეკვავესავით ავამოძრაო. ისე, ცოდვას ვერ ვიტყვი – მამიკო და დედიკოც
 შრომობენ ცოტ-ცოტას. გუშინ, მაგალითად, მამიკო იყო თეძმის ხეობაში, მაყვალიც დაკრიფა,
 ჭანჭურიც მოგვიტანა, სხვადასხვა მცენარეთა ტოტებიც – ღვიისა, შინდისა, ჩიტავაშლასი, ქა-
 ვის, კოწახურის – ყველანი მსხმირე, აგრეთვე, ერთი დაბურღული ძეძვის ეკლიანი ტოტიც, სი-
 ნამდვილეში – რომელიღაც პატარა ჩიტის ბუდე, მეტად ოსტატურად “შეკერილი” ძეძვის წვერი-
 ლი, მოკლე ტოტებისგან. თუ თბილისამდე ჩამოაღწია, თქვენ თვით დარწმუნდებით და ალბათ
 გაოცდებით კიდევ. დედიკომ მაყვლისგან მურაბა მოაღწია, ისეთი გამოვიდა, რომ უკეთესი არ
 შეძლება – ფერითაც და გემოთიც. სულ კილონახევარი იქნება, მაგრამ თუ შევძელით, კიდევ
 გვინდა, დავამატოთ და სამლიტრიანი ქილა გავავსოთ. სხვა რამის ბევრის, მურაბისა და კომპო-
 ტის, გაკეთებაც შეიძლება აქ, მაგრამ ქილები რომ არ გვაქვს? ამ მხრივ დიდი გასაჭირია აქ.

სხვა მხრივ, მოგახსენებთ, რომ ყველაფერი რიგზეა. კეთილ მოკითხვას გითვლით ყველას,
 ვისაც ვახსოვართ, ჩემს მამიდიკოს და ბებიკოს ვკოცნი ბევრს და იმედს გამოვთქვამ, რომ მარ-
 ტო წერილით არ მექნება ამის საშუალება – მოკლე ხანში ჩამოვბრძანდები თბილისში და ყვე-
 ლას ჩაგესუტუნებით

თქვენი პატარა ბესარიონი.

ჰო, დამავიწყდა, ამ წერილის დასაწყისში რომ ნახატია, მამიკომ დახატა (როგორც შესძლო)
 ერთაწმინდის ხედი აღმოსავლეთიდან. დღეს გავისეირნეთ სოფელგარეთ და კარგად მოფერიანე-
 ბულნი დაგებრუნდით შინ.

წერილი № 14
 1977 წლის 24 აგვისტო, სოფ. ერთაწმინდა

სალამი და გამარჯვება, ჩემო საყვარელო ბებიკო და მამიდიკო! თქვენ გესალმებათ უკვე ერ-
 თი წლის და ერთი დღის ბესარიონ ერთაწმინდელი! გუშინ გავხედი ერთი წლისა და მამიკომ სა-
 ჩუქარი მიყიდა კასპში – პატარა დოქი, რომელსაც წააწერა: “1977 წ. 23 აგვისტო, ბესარიონ ომა-
 ძე, ერთაწმინდა”. სხვა მხრივ, ქეიფი არ ყოფილა, მხოლოდ ქალაქგარეთ გავედით სამთავენი და
 იქ ვიპურმარილეთ, თან ვუყურებდით თეძმის ხეობას, მზის ჩამავალი სხივებით დაფერილს.

წერილის წერას ვაგრძელებ 25 აგვისტოს. მამიკო გუშინ წავიდა თეძმის ხეობაში და დაგიხა-
 ტათ აი, ეს ხედი, რომელიც წერილის თავშია. აქ საქრისის ხევი უერთდება მდინარე თეძამს.
 შორს კალოზნის ქედის წვეროკინაზე კალოზნის ეკლესიის ნანგრევებია, მარჯვენა ზევითა
 კუთხეში კი – საქრისის წმიდა გიორგის ეკლესიაა. ამ მიდამოებში დაკრიფეს დედიკომ და მამი-
 კომ მაყვალი, რომლის მურაბის გემოს ალბათ მოიწონებთ. მამიკომ აგრეთვე ცოტა ქაცვის ნაყო-
 ფიც მოაგროვა.

დილაობით ჩვენი სახლის წინ მავთულებზე მერცხლები შექუჩდებიან და აქვთ ერთი ჟღერ-
 ტულობანა გამართული, ალბათ შორს გამგზავრების გეგმებს აწყობენ, საღამოობით კი ციციწა-
 თელები, რა ხანია, აღარ გვინახავს. მოდის, მოდის შემოდგომა და მასთან ერთად – ჩვენი შეხ-
 ვედრის დღეც. როგორც მოგეხსენებათ, მე ერთაწმინდა ერთობ მომიხდა და საკმაოდ მოვმძლავ-
 რდი, თუმცა ბევრი ნაკლი მაქვს ჯერ დასაძლევეი. სახელდობრ, ჯერჯერობით, ბევრი ხვეწნის მი-
 უხედავად, ფისი-ფისი და იმისი უფროსი მხანაგი ჩემს ნებაზე მინდა ჩავატარო, როცა მომეხასი-
 ათება. პირობას გაძლევთ, თბილისში მაინც მოვჭკვიანდე და უმოკლეს ვადაში ავითვისო ქოთან-
 ზე ჯდომის ხელოვნება. არ ვიცი, ეს წერილი ბოლო იქნება თუ არა ერთაწმინდიდან, იქნებ არც
 ღირდეს მისი გამოგზავნა, რადგან, შესაძლოა, უახლოეს შაბათს წამოვიდეთ თბილისში. თუ არა
 და, თვის ბოლოს მაინც ვიქნებით მანდ და ჩაგეკონებით. ჩვენი გენგემამ-მინიმუმი შესრულებ-
 ლად შეიძლება, ჩაითვალოს, თუმცა მურაბები შეიძლებოდა, მეტი დაგვემზადებინა, ასევე, ქლია-
 ვის ხიფაფაც, მაგრამ ჭურჭლის არქონა გვაბრკოლებს. დანარჩენს თბილისში მოვანერხებთ.

მაშ ასე, ნახვამდის, მალე შეხვედრამდე თბილისში, ბევრ-ბევრ კოცნას გიგზავნით
 თქვენი პატარა, მაგრამ უკვე არც ისე, ბესარიონი.

წერილი № 15
1977 წლის 27 აგვისტო, სოფ. ერთაწმინდა

სალამი, საყვარელო ბებიკო და მამიდიკო!

აჰა, კიდევ ერთი წერილიც, ალბათ უკანასკნელი ამ წელს სოფელ ერთაწმინდიდან, რადგან ხვალ ვაპირებთ გამოგზავრებას თბილისში. მამიკოს დიდი ხანია, უნდოდა, თქვენთვის დაეხატა ერთაწმინდის “მთავარი მოედანი” და ათ-თხუთმეტ წუთში მოახლოვრთა რადაც. მიახლოებით მაინც წამოიდგენთ იმ ადგილს, სადაც ყველაზე მეტი ხალხი იყრის თავს დილა-საღამოს. აქაა სახლების წინ სკამები, სადაც საღამოობით სხედან დიდ-პატარა, ათგალიერებენ გამგელ-გამომგელვით, ასეირნებენ პატარებს, აკნატუნებენ მზესუმზირას, ავსებენ სურებს წყაროზე (გალაგანში რომ შესასვლელი მოჩანს, იმის მარცხნივ დახატული). ცოტა ჩვენსკენ, წინა პლანზე რომ მესერია, იმაზე ახლოს, ხალხი უცდის ავტობუსს, სხედან კედლებთან ჩამწკრივებულ ქვებზე; აქვე ჩერდება საღამოობით მანქანა, რომლის ძარიდანაც ჩამობობდებიან ხუმრობა-კისკისით ჭრელ-ხალათიანი, თავსაფრიანი დედაკაცები, მინდორში მუშაობიდან დაბრუნებულნი, აქ ჩაივლის საღამოობითვე კამეჩებისა და პროხების ნახირი, ამტვერიანებს შარას და დატოვებს მძაფრ სუნს... ხელმარჯვნივ, ეკლესიის სამრეკლო რომ ჩანს, იმის უკან სოფლის კლუბია, სადაც ყოველ საღამოს კინოს უჩვენებენ (ისე ხმამაღლა, რომ ჩვენც კი გვაწუხებს შინ). წყაროსა და გალაგანის შესასვლელს შორის ჩამოდის სარწყავი რუ, რომლის მდინარების შხუილი დამდამობით ჩვენს სახლშიც ისმის ხოლმე. გალაგანის შიგნით გოგო-ბიჭები თამაშობენ ბურთს, დაჭერობანას, დასეირნობს ხალხი. ჩვენი აქ ჩამოსვლისას, ივლისის დასაწყისში, ჰყვოდნენ ცაცხვები და ფუტკრების ბზუილი ავსებდა აქაურობას.

წერილს ცოტა კიდევ გავაგრძელებდი, მაგრამ არ მცალია – დიდი ხვეწის შემდეგ მამიკომ ხელში უნდა ამიყვანოს, ეს მოვლენა კი ყველაზე სასურველი და სასიამოვნოა ჩემთვის.

მაშ ასე, მალე შეხვედრამდე და ბევრ კოცნამდე,

თქვენი ბესარიონ ერთაწმინდელი.

დათუნას დაბადება
1977 წლის 26 ოქტომბერი – 2 ნოემბერი
(ღია ისევ თბილისის IV სამშობიაროში იწვა)

1.

1977 წლის 26 ოქტომბერი, სოსო – ლიას

სალამი, საყვარელო ლია!

როგორაა საქმე? დღეს დილით დაგრეკე და მითხრეს, შეიძლება, მშობირობა გაჭიანურდესო, ტკივილები პატარა აქვსო.

მოიწერე, რა მოგიტანო, რა გენატრება.

თუ გაჭირდეს საქმე, მანდ უთხარი, თუშიშვილს დაუძახონ, ნუ მოგერიდება ამ დროს.

ტუნტულია [ბესო] კარგად არის და გოცნის ბევრს, ისევე, როგორც ჩვენ ყველანი. ველი წერილზე პასუხს.

შენი სოსო.

იქნებ წიგნი გინდა?

ან სხვა რამ? ფული?

პასუხი გამოატანე, ვიცდი.

2.

1977 წლის 26 ოქტომბერი, ლია – სოსოს

სოსო, ძალიან მტკიავა, ეხლა უნდა გამსინჯონ და შეიძლება დღეს ვიმშობიარო. ექიმი ამბობს, დღეს იმშობიარებო.

3.

1977 წლის 26 ოქტომბერი, სოსო – ლიას

საყვარელო ლია!

მოუთმენლად ველი შენს ამბავს, როგორ გრძნობ თავს, ბავშვი როგორაა; გავიგე, რომ მეორე ბიჭის დედა გახდი, მომილოცავს გაბედნიერება.

ხომ ყველაფერმა ნორმალურად ჩაიარა? ხვალ რა მოგიტანო? თუ დაწერა ვერ შეძლო, სიტყვიერად უთხარი და გადმომცემს.

გეოცნით ორთავებს, შენი სოსო.

ბაღანას თვალები როგორი აქვს?

[ფურცლის მეორე მხარეს აწერია: “ლია ყანაშვილი-თმაძე”].

4.

1977 წლის 26 ოქტომბერი, ლია – სოსოს

სოსო, მეორე ბიჭის მამა გახდი, გილოცავ!

მე ერთი ნაკერი მაქვს, ცოტა მუცელი მაწუხებს.

ამ ქალს 3-5 მანეთი მიეცი.

შენი ლია.

32 პალატა, III სართული.

5.

1977 წლის 26 ოქტომბერი, ლია – სოსოს

სოსო, ბიჭი 3 კილო და 200 გრამია, სიგრძე 49 სმ. ბეარიონასნაირი არ არის, მაგრამ ჯერ არ ვიცი. დიდი ტუჩები და ლოყები აქვს, თვალები ჯერ არ ვიცი.

ლია.

აკოცე ყველას.

6.

1977 წლის 27 ოქტომბერი, ლია – სოსოს

სოსო, გუშინ არაფრის თავი არ მქონდა, რომ ნორმალურად მომეწერა, ეხლა არა მიშავს. ბავშვი დაიბადა 3 კილო და 200 გრამი, სიგრძე 49 სმ-ია, ლოყები და ტუჩები დიდი აქვს, თვალები – ჯერ არ ვიცი. ბესარიონას დარდი მაქვს, თუ ჭამს, ხომ არ ჭირვეულობს. თუ მშვიდობაა, რა უჭირს, ძმა გვერდში ეყოლება.

ბავშვს ჭიპლარი ჰქონდა შემოხვეული და კინაღამ გაიგუდა; თქვეს, ცოტა დაგვიანებული მშობიარობააო.

სოსო, ხუთი თუმანი გამომიგზავნე, სალაროდან გამოიტანე 100 მანეთი და დეკრეტს რომ ავიღებ, შევიტანოთ; თუ არ დამჭირდა, არ დავხარჯავ. 3 ათმანეთიანი, დანარჩენი – 3-მანეთიანები და მანეთიანები. ხომ იცი, აქ რომ გამიჭირდეს ან ბავშვს რამე დასჭირდეს, ისე არ მოგხედავენ

სოსო, ცელოფანში რომაა ჩემი ჩასაცმელები, ის წამომიღე; სახლში რომ მეცვა ბამბის ჩულქი, იმაზე რეზინებია და ისინიც ჩააწეე. წამომიღე საპონი, კბილის ჯაგრისი, საგარცხელი. ფანქარი გამომიგზავნე, აქ პასტა არავისი არ წერს და ძალიან გწავლობ.

ხვალ შეიძლება ადგომა, ერთი ნაკერი მაქვს – შიდა. სიტყვიერად გუშინ მქონდა, დღეს არ მაქვს, მარტო მუცელი მაწუხებს.

აკოცე ყველას.

ბესარიონა როგორაა?

7.

1977 წლის 27 ოქტომბერი, სოსო – ლიას

სალამი, საყვარელო ლია!

დღეს 27 ოქტომბერი ყოფილა, მე კი რატომღაც 28 მეგონა. ჩვენი პატარა 26 ოქტომბერს არის დაბადებული.

გიგზანნი ფულს. არ ვიცი, ჩვეულებრივი პური გეჭმევა თუ არა? იზრუნე იმაზე, რომ კუჭში არ შეიკრა, ამისთვის კი კარგად უნდა ჭამო. ძუძუ თუ აწოვე? როგორ წოვს, თუ არის აქტიური?

დღეს უნივერსიტეტში ვიყავი და შენს ძმას შევატყობინე ყველაფერი. დღესვე ნათელა ყოფილა დიდობაში და გაუგია შენი ამბავი.

აბა, ჭკვიანად იყავი, რაც მთავარია, ყველაზე ძნელი პერიოდი კეთილად დასრულდა. მოგიკითხეს ჩვენებმა, აგრეთვე – ქეთო ალექსიძემ.

შენი სოსო.

თუ გინდა, რადიომიმღებს მოგიტან. მოიწერე, რაც გინდა. რა გეჭმევა?

[ფურცლის მეორე მხარეს აწერია: “III სართული, №32 პალატა ომაძე ლია”].

8.

1977 წლის 28 ოქტომბერი, სოსო – ლიას

სალამი, საყვარელო ლია!

როგორ ხარ შენ და ბავშვი? გთხოვ, დაწერილებით მოიწერო თქვენი ამბავი. წერილი წინდაწინ გქონდეს დაწერილი და სადამოსპირს როცა მოვალ (ქათმის ბუღიონს მოგიტან), მაშინ გადაეცი წერილების მომტანს.

ვაშლიან პარკში შენი საათი ჩავდე, დაქოქვა არ დაგავიწყდეს ყოველ სადამოს. აქვია ფულიც.

თუ რამე გინდა, მოიწერე.

მოგიკითხათ ორთავე ყველამ.

ტუნტულია-ქუცუნია-ბაცაცუნა მშვენივრად არის და მოუთმენლად ელის ძამიკოს გაცნობას. ნეტა როგორია? ჩვენს მაგივრადაც აკოცე.

გკოცნით, შენი სოსო.

ძალიან გთხოვ, ფულის ეკონომიას ნუ დაიწყებ, თუ დაგჭირდა – კიდევ გამოგიგზანნი.

[ფურცლის მეორე მხარეს აწერია: “ლია ყანაშვილი-ომაძე, III სართული, 32 პალატა”].

9.

1977 წლის 28 ოქტომბერი, ლია – სოსოს

სოსო, შემოვლათ ახლა.

ბავშვს ალბათ 12 საათზე მოიყვანენ, ექიმები რომ მოვლენ.

ამბავს ხვალ გაგაგებინებ.

გკოცნით, ლია.

[ფურცლის მეორე მხარეს აწერია: “ომაძე”].

10.

1977 წლის 28 ოქტომბერი, სოსო – ლიას

სალამი, საყვარელო ლიას და პატარა დაეითს(?)

როგორ არის ჩვენი ღოყებფუმფულა დრუნჩა? რძე თუ მოგივიდა?

ძალიან გთხოვ ორ რამეს: ლოგინიდან ადგომას ნუ აჩქარდები და, როცა ადგები, ჭურჭლის რეცხვას ნუ დაიწყებ.

ჩვენ ყველანი მშვენივრად ვართ, ბაცაცუნა კარგად ჭამს და საუცხოო ხასიათზეა, ალბათ უხარია, რომ უფროსი ძმის საპატიო წოდება მიენიჭა.

თუ რამე გენატრება, მოიწერე.

გოცნის შენი სოსო.

[ფურცლის მეორე მხარეს აწერია: “III სართული, 32 პალატა, ომაძე ღია”].

11.

1977 წლის 28 ოქტომბერი, ღია – სოსოს

სოსო, დღეს ვერა იყო, ქვეყნის რამე მომიტანა. არც იცოდა, სად ვიყავი ან რა მყავდა, მე მივწერე. გაიღობის დაურეკია და ვერ გაუგია.

სოსო, შენ თავს და ბავშვს მიხედე, დღეში ერთხელ რომ მოხვიდე, მეტი არ გინდა, ნუ წვალთბ ზედმეტად. თუ რამე დამჭირდა, მოგწერ, როცა მოხვალ ხოლმე.

ბავშვს ალბათ ხვალ მომიყვანენ, თუ ყველაფერი ნორმალურად იქნება. რძე ჯერჯერობით არ ვიცი, არ ჩანს, ალბათ მომივა. დღეს ბევრი სიტყვები მივიღე: ჩაი, რძე, მაწონი, ბორში.

ეს სუხარი ვერამაც მომიტანა, ორი არ მინდა, ბავშვს წაუღე. ჯერ ვერ ვდგები და არ ვრეცხავ. ამ ქალს ეჩქარება.

გოცნით ყველას,
თქვენი ღია.

12.

1977 წლის 28 ოქტომბერი, სოსო – ღიას

საყვარელო ღია!

დღეს დიდომ-ქალაქში ავწიეთ პატარას სადღეგრძელო – კახური “ახაშენით”, ვუსურვეთ, კარგი ბიჭი გაიზარდოს და ასახელოს გვარი.

პატარა ქილაში არაქანიანი სტაფილოა გახეხილი და დღესვე უნდა მიირთვა.

ხვალ დილისთვის გთხოვ, წერილი დაწერო და დაწვრილებით მცნობო ყველაფერი. საღამოს ალბათ გეღარ მოვალ – ფეხბურთია და გაჭირდება მგზავრობა.

გოცნით ორთავეს,

თქვენი სოსო.

[ფურცლის მეორე მხარეს აწერია: “III სართული, 32 პალატა, ომაძე ღია”].

13.

1977 წლის 29 ოქტომბერი, ღია – სოსოს

სოსო, ძალიან ეჩქარება, შემოვლას და არაფერი არ მინდა დღეს, ხვალ მოდი.

გოცნით.

[ფურცლის მეორე მხარეს აწერია: “ომაძე”].

14.

1977 წლის 29 ოქტომბერი, სოსო – ღიას

საყვარელო ღია!

ცოტა დამაგინდა, რადგან მამაში აქტების გამფორმებელი გვიან მოვიდა.

დღეს აღარ მოვალ, თუ რამე გინდა ხვალისთვის, დაწერე და ან ამ ქალს გამოატანე, ან ფანჯრიდან ისროლე.

ვაშლი თუ გაქვს?

ბავშვი რომ ცოტას ჭამს, ნუ გეშინია. მაგის კუჭი ჯერ სუსტია, განუვითარებელია და მეტს ალბათ ვერც მოერევა.

მოგილოცა ქრისტესია ლეზანიძემ.

აბა, ბედნიერად. მომწერე თქვენი ამბები.

გოცნით ორთავეს,
თქვენი სოსო.

[ფურცლის მეორე მხარეს აწერია: “III სართული, 32 პალატა, ომაძე ლია”].

15.

1977 წლის 30 ოქტომბერი, სოსო – ლიას

სალამი საყვარელო ლია!

აი, უკვე პატარა დათო 4 დღისაა, მე კი მის სესახებ არაფერი ვიცი. გთხოვ, დაწვრილებით მოიწერო თქვენი ამბავი. ნუთუ ასე გაგიძნელდა ერთი ხეირიანი ბარათის მოწერა? თუ შენ არ შეგიძლია, ვინმეს თხოვე და კარნახით დააწერინე. ბესარიონა კარგად არის, ჩვენც ვართ რიგიანად. სალამოს რა მოგიტანო?

გოცნის ორთავეს, თქვენი სოსო.

16.

1977 წლის 30 ოქტომბერი, ლია – სოსოს

სოსო, რომ მსაყვედურობ, დაწოლილი წერა, თანაც ასეთ საწოლში, ადვილი კი არ არის, თანაც ისეთ დროს მოდიხარ, რომ ან შემოვლას ან სხვა რამე. ეხლა კარანტინია, გრიპი ყოფილა ქალაქში და დაბლაც არ უშვებენ.

ბიჭი, როგორც იცი, ლოყებფუმფულაა, თვალებით ჩინელს გავს, სულ სხვანაირია, ბესარიონა სხვანაირი იყო. აზრზე არ ვარ, ვის გავს. თმები შავი აქვს, ლოყები წითელი, ქვედა ტუჩი დიდი და შუაში ცოტა გაყოფილი; მოკლედ, შენ ნახავ, მეზურნეს გავს.

ძუძუ, რაც მთავარია, ჩაგუდე, მაგრამ ცოტა ხანს წოვს: პირველად – ხუთი წუთი, ეხლა – 10-15 წუთი. მე, როგორც ყოველთვის, ბევრი რძე მაქვს. ერთხელ გამოვაწვევლინე, ეხლა კიდევ უნდა გამოვაწვევლინო, თორემ დილას რომ უნდა მიმეცა, ისე იყო გადიდებული, თავი ვერ ჩაიღო და ისევე იგივე ძუძუ მივეცი. ეხლა უფრო გადიდდა და ექთანმა მითხრა, სანამ აჭმევ, დაგირბილებ და ჩაიდებსო.

გასაწერად ახალი [წესი] შემოუღიათ: 200 გრამი სისხლი უნდა მისცეს მამამ, მაგრამ აქ ყველა 20 მანეთს აძლევს და ისე იღებენ ცნობას; ალბათ ვინც აღებინებს სისხლს, იმას 200 მაგიერ 400-სს აუღებენ. მეც მივცემ და ისე ავიღებ ცნობას, აბა, რა ვქნა, ისე არ უშვებენ. თუ კარგად ვიქენით, შეიძლება სამშაბათს გამოგვწერონ, ხვალ გავიგებ.

ბესარიონას მაგრად აკოცე.

მოკითხვა ყველას

შენი ლია.

17.

1977 წლის 30 ოქტომბერი, სოსო – ლიას

საყვარელო ლია!

არამც და არამც მაგ აფერისტებს არ მისცე ფული ვითომდა სისხლისთვის. როცა მოვა გა-მოწერის დრო, მე მაგათ ველაპარაკები, როგორც საჭიროა. არ არსებობს კანონი, რომელითაც ვინმე ვალდებული იყოს, სისხლი გაიღოს, ეს მაგათი მოგონილია და ფულს აკეთებენ.

პური, ვაშლი და ა. შ., რა გინდა, მოგიტანო?

შენი სოსო.

ბაცაცუნას როგორი თვალები აქვს?

[ფურცლის ქვევით აწერია: “III სართული, 32 პალატა, ომაძე ლია”].

18.

1977 წლის 30 ოქტომბერი, ლია – სოსოს

სოსო, მაშინ მიდი ლაბორატორიაში და მოელაპარაკე, უცნობოდ არ გამწერენ და გამოართვი. იცოდე, 20 მანეთის გულისთვის ამდენი სისხლი არ ააღებინო.

ყველაფერი მაქვს, არაფერი არ გინდა. რძე მაქვს და ბევრი საჭმელი უფრო გაამაგრებს. ვაშლი ვერამაც მომიტანა.

ის ძუძუ მოვაწოვე, ექთანმა გამიკეთა მასაჟი და დარბილდა.
სამშაბათს თუ გამომწერეს, ხვალ ცნობას მომცემენ ექიმის მოყვანისთვის და გაგატან.

გოცნით ყველას,
შენი ღია.

19.

1977 წლის 31 ოქტომბერი, სოსო – ღია

საყვარელო ღია და პატარა დათო!

მოგახსენებთ, რომ ვართ გვარინად. მოუთმენლად ველით თვენთან შეხვედრას და ჩვენი ახალი წევრის პირადად გაცნობას.

ღია, ქილები შემოგვაკლდა და ამიტომ მაწონი ბოთლშია. შენ ჭამას ნუ მოუკლებ, რძე ბევრი მექნებაო – ცოტა რომ მიირთვა, რძე მაინც ბევრი გექნება, შენ კი დასუსტდები. მანდ გაჭირვებული არავინაა, ვის ბავშვსაც რძე არ ჰყოფნის?

მზიანი დარი დგას და, მე მგონი, ჩვენს ბაცაცუნას მოუწევს კარგ ამინდში მგზავრობა შინსკენ. მოიწერე, თუ რამე დაგჭირდეს.

გოცნით, თქვენი სოსო.

[ფურცლის მეორე მხარეს აწერია: “III სართული, 32 პალატა, ომაძე ღია”].

20.

1977 წლის 31 ოქტომბერი, სოსო – ღია

სალამი საყვარელო ღია!

მაშ, ხვალ შინ იქნებით ორთავენი? ერთი დამეც მოითმინე და ამოისუნთქავ. გადმოიხედე ფანჯარაში და დანარჩენს ისე ვილაპარაკებთ.

გოცნით ორთავეს, თქვენი სოსო.

თუ რამე ზედმეტი გაქვს, ჩანთაში და ბადეში ჩაალაგე.

[ფურცლის მეორე მხარეს აწერია: “III სართული, 32 პალატა, ომაძე ღია”].

21.

1977 წლის 31 ოქტომბერი, ღია – სოსოს\

სოსო, დღეს შემოვიდა გაიოზის მეზობელი და მითხრა, ხვალისთვის გაგწერო. არ ვიცი ცნობაზე რას გვეტყვიან. შენ საიდან გაიგე? ამ პალატაში ერთი შტერი გოგოა და ალბათ იმან გითხრა, მანდ არის ჩამოსული.

22.

1977 წლის 31 ოქტომბერი, ღია – სოსოს

სოსო, დღეს შემოვიდა პალატის ექიმი და სთქვა, მეცხრე დღემდე არავის გავუშვებო. რა გაძლებს იქამდე, აქ სულ ვერ ვიძინებ. ბავშვი მომატებისკენ წავიდა უკვე. რომ დაიბადა 3 კილო და 200 [გრამი იყო], მერე დაიკლო და იყო 3 კილო და 60 [გრამი], ეხლა არის 3 კილო და 150 [გრამი].

აქ გაცივების მეშინია, ბავშვს პირველ დღეს სულ ცინგლები ჩამოსდიოდა. ძუძუს წოვა რომ დაიწყო, ცოტა გაუარა, მაგრამ ხუთი წუთი რომ ჭამოს, ჰყოფნის, ხშირად აღებინებს და მეუბნებიან, ბევრი რძე გქვს და უცბად ბევრს სწოვსო.

ნეტა როლის ვნახავ ბესარიონას?

გოცნით ყველას.

23.

1977 წლის 31 ოქტომბერი, ღია – სოსოს

სოსო, ჩემთვის წამოიღე კაბა, გულიკომ რომ მომიქსოვა, გარდერობში კიდია, პერანგი დღის, მე რომ დავდე ჩემ პერანგებთან, ჟაკეტი და პლაში. ჩემი მოსახვევიც გარდერობშია.

ბავშვისთვის, იქ რომ გაგამზადე, ისინი, ცხელი უთო გაუსვი თეთრეულს და მოსახვევი ფანელეები რომაა, დაუთოვებულები, იმის თავზე აწყვიდა, შუბლზე მოახვევენ ბავშვს. ის “ადილაც” წამოიღე, ცივა და არ გაცივდეს, გარეთ გაყვანის დროს მოვახვიოთ.

24.

1977 წლის 1 ნოემბერი, სოსო – ლიას

სალამი საყვარელო ლია!

დღეს დილით ვიყავი ბავშვთა პოლიკლინიკაში და მითხრეს, რომ ჩვენი ექიმის შემცვლელი იქნება 1 საათიდან, ამიტომ მეჩქარება, სამსახურშიც უნდა გავიარო, შოთამ დამიბარა. საერთოდ მეორე დღეს გამოგვყავს შეტყობინების შემდეგ, მაგრამ მე იქნებ დავიყოლიო და დღეს წამოვიყვანო. შენი ლაბადა არ წამომიღია, წამოსაყვანად როცა მოვალ, მაშინ წამოვიღებ, ასევე, ბავშვის რამერუმებიც დავტოვე ჯერჯერობით.

ბავშვი როგორ არის?

თუ სისხლის ცნობა გთხოვებს, უთხარი, რომ ქმარს გრიპი აქვს და ვერ მოვა-თქო.

ლიფი არ გინდა?

ბაღურა დაიტოვე, დაგჭირდება.

შენი სოსო.

[ფურცლის მეორე მხარეს აწერია: “III სართული, 32 ოთახი, ომაძე ლია”].

25.

1977 წლის 2 ნოემბერი [სოსო – ლიას]

სალამი საყვარელო ლია და პატარა დავით!

მგონი, დღეს ეშველება და გაკოცვით ორთავეს: 12-დან 1 საათამდე უნდა მოვიდეს ბავშვთა პოლიკლინიკიდან ექიმი, პაპუაშვილია გვარად. ხანშიშესული ქალია, საკმაოდ სიმპათიური. მე მოვალ უფრო მოგვიანებით, თუ მოვახერხებ, ჩემი ამხანაგის მანქანით და წაგასრიალებთ შინისკენ.

ბესარიონა (და, ცხადია, ყველა დანარჩენები) გითვლიან მოკითხვას.

ზედმეტი რამე-რუმე გამოატანე ამ ქალს.

გკოცნით, თქვენი სოსო.

მე დაგიძახებ ეზოდან.

[ფურცლის მეორე მხარეს აწერია: “III სართული, 32 პალატა, ომაძე ლია”].

დათუნა – ბებია ვენერასა და მამიდა გულიკოს,

1977 წლის 9 ნოემბერი – 6 დეკემბერი

(ადრესატი: თბილისი, ახმეტელის ქუჩა №6)

წერილი № 1

1977 წლის 9 ნოემბერი

სალამი თქვენდა – საყვარელო ბებიკო, მამიდა გულიკო და

ჩემო დიდად პატივცემულო უფროსო ძმაო ბესარიონ!

გესალმებით თქვენ და გისურვებთ ჩემთან მალე შეხვედრას და პირად ნაცნობობას. მართალია, უმეტეს დროს ან მძინავს, ან რძეს მივირთმევ, მაგრამ ამ ღირსშესანიშნავი მოვლენისთვის როგორმე გამოვნახავ დროს. ალბათ უკვე მიხვდით, ვინც გწერთ ამ წერილს – ერთი პატარა მოცუცქნული ბიჭი ვარ – შავტუხა, მუქთვალეა, ხანდახან – მტირალა და უფრო კი – მძინარა.

სახელად მქვია დავით დიდი, გვარად ომაძე ვარ, ზედმეტსახელად მენახშირეს მიწოდებენ.

კარგა ხნის წინ მინდოდა პირველი ბარათის გამოგზავნა თქვენთვის, მაგრამ: ჯერ ერთი, მხოლოდ ორი კვირის წინათ განვთავისუფლდი და მანამდე რომც დამეწერა, მაინც ვერ გამოგზავნიდი; მეორეც – ისეთი ორთმტრიალი ჰქონდათ დედიკოს და მამიკოს, რომ წერილისთვის ვიდას სცხელოდა. იმედია, აწი შედარებით გამოსწორდება მდგომარეობა და ჩემს წერილებსაც უფრო ხშირად მიიღებთ. ახლა კი გკოცნით ყველას,

თქვენი დათო.

წერილი № 2
1977 წლის 6 დეკემბერი

გამარჯვება, ჩემო საყვარელო ჯერ უნახავო ბებიკო
და მამიდა გულიკო!

პატარა დავითმა გაგიხსენათ ისევ, აბა, თქვენ სულ დამივიწყეთ და! კარგა გვარიანად გავი-
ზარდე იმ 40 დღეში, ჩემი ამქვეყნად მობრძანების დღიდან რომ გავიდა. ოჯახის დანარჩენ წევ-
რებს შეგეწვევა, გასაყოფი ჯერჯერობით არაფერი გვაქვს. ეს იყო ოღონდ, როცა ჩემი უფროსი
ძმა, პატივცემული ბესარიონი, მობრძანდა თქვენთან ხანმოკლე მივლინებიდან, ფრიად ეუცხოვა,
რომ მის საწოლში მე ვიყავი ნებიერად გაშოტილი. მაგრამ კონფლიქტი არ წარმოიშვა, რადგან
მე თავიდანვე დამყვა უფროსებისადმი პატივისცემა და მაშინვე დავცალე ასპარეზი, გადავბარ-
გდი სასეირნო ეტლში, რომელიც ამჟამად ჩემს მუდმივ რეზიდენციას წარმოადგენს, ოღონდ, ჩა-
მოწერილი გემივით, ეტლიც ერთ ადგილას არის გაჩერებული. მეც ვარ გაკოჭლი და განძრევის
საშუალებას არ მაძლევენ, მაგრამ მე მაინც ვახერხებ და მარჯვენა ხელს ზოგჯერ ამოვყოფ
ხოლმე – გამარჯობა, ჩემო კეთილებო! კაცი ვარ, ვაჟკაცი და თუ ზოგჯერ ქალის ცახოცით
მაქვს თავი წაკრული, გოგო ნუ გეგონებით! მართალია, თავდაპირველად გოგოდ ვიყავი ვითომ
დაპროექტებული, მაგრამ ნურას უკაცრავად, ჯერ ბიჭების გეგმა უნდა შესრულდეს!

ჯერ პატარა ვარ მაინც და დიდ წერილებს ვერ ვერევი. ბებიკო, ჩემს შესახებ შემდეგს მო-
გახსენებ: ამჟამად ვარ დაახლოებით 4 კილოგრამი წონით, მაქვს, აგრეთვე, დიდი-დიდი თვალები
მუქი ფერისა, დიდი-დიდი მადა – დღეში 5-ჯერ მივირთმევე დედიკოს რძეს, თითო მიღებაზე 100-
170 გრამს, ხმაც მაქვს, დიას! ზოგჯერ რომ გავაბამ კახური მრავალჯამიერივით, დამიდექ თუ ბი-
ჭი ხარ! ისე, მაინცდამაინც ჭინჭელი არ გეგონოთ, მხოლოდ ხანდახან მიყვარს ფილტვების გა-
ვარჯიშება, მეტი არაფერი; ზოგჯერ კი ჩემს უფროს ძამიკოს ავუბამ ხოლმე მხარს, როცა ერ-
თხმად გადავწყვეტთ პატარა კონცერტის გამართვას. უფრო ხშირად კი მძინავს ტკბილად და ფე-
რად-ფერად სიზმრებს ვხედავ – თითქოს ბებიკომ მნახა, დაიხარა ჩემი საწოლისკენ და... და
თქვა... რა თქვა? ბებიკო, ეს შენ უკეთ გეცოდინება.

მომავალ შეხვედრამდე, გოცნით,
თქვენი პატარა დავითი.

ბესარიონი — ბებია ვერასა და მამიდა გულიკოს,
1978 wl is 22 Teber val i da 5 april i
(adr esat is mi samar Ti: Tbil isi, axmet el is quCa №6)

weril i № 1
1978 wl is 22 Teber val i

წერილი პატარა ბიჭის ბესარიონასგან:

სალამი, საყვარელო ბებიკო და მამიდიკო გულიკო!

რა ხანია, თქვენთვის წერილი არ მომიწერია, მაგრამ მგონია, ეჭვი არ გეპარებათ, რომ მუდამ
მახსოვხართ. ძალიან მინდა, ჩაგესუტოთ და ბევრი-ბევრი გაკოცოთ, რასაც, იმედია, მოკლე ხანში
შევისრულებ. უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ბოლო დროს ძლიერ გავცულდულვდი. ძალიან მიყვარს
დედიკოს და მამიკოს მოხმრება. ის ამბავი უკვე იცით, რომ დედიკოს თხოვნით მამიკოს მივუტა-
ნე ფოსტლები, როცა დედიკოს არ ეცალა – პატარა დათოს ძუძუს აწოვებდა. მე ამ წარმატებამ
თავბრუ არ დამახვია, მიღწეულით არ დავკმაყოფილებულვარ – რასაც კი ჩემი ხელი მიწვდება
და მოერევა, ყველაფერი მინდა, ერთი ადგილიდან მეორეზე გადავიტანო. თუკი არ ვარ ჩამწვედუ-
ული ჩემს საწოლში, სრული დატირთვით ვსაქმიანობ და მიკვირს, როცა მიწყრებიან, – ველარა-
ფერს ვპოულობთ სახლშიო. მე რომ მკითხოთ, სახალისოც კი გახდა ჩვენთან ცხოვრება: როცა,
მაგალითად, გინდა, ფეხსაცმელი იპოვო, მთელი საათი უნდა ეძებო ჯერ ერთი ცალი და მერე –
მეორე. ამ დროს, შეიძლება, გზადგზა ბევრი სხვა რამეც იპოვო, რომელსაც ადრე ეძებდი და
ვერ ნახე. უკვე ლაპარაკიც მეხერხება, ვიმეორებ უფროსების ნალაპარაკებს; რასაც მეუბნებიან,
თითქმის ყველაფერი მესმის, მაგრამ, ცხადია, ყველაფერს არ ვასრულებ. მაგალითად, მეუბნები-
ან, ჩასველებამდე გვითხარი, რომ გიჭირსო და გიშველითო, მე კი მსიამოვნებს, როცა მხლიან და
მაცმევენ, ხლაფორთობენ ჩემს გარშემო.

როცა ცოტა დათბება, პირადად მოგახსენებ ბევრ სხვა ამბავს. ახლა კი გემშვიდობებით,
თქვენი ბესარიონი.

წერილი № 2
1978 წლის 5 აპრილი

სალამი და კარგად ყოფნა საყვარელ ბებიას და მამიდა გულიკოს!

კარგა ხანია, თქვენთვის წერილი არ მომიწერია: ხან კიჭები მაწუნებს, ხან ასაცრელად და-
მაწანწალავენ (ვერ იქნა და ვერა ყვავილის აცრა!), ხანაც, ხომ იცით, წერის ხასიათზე სულ არ
ხარ კაცი; ზოგჯერ მამიკოსაც გამოუჩნდება რაღაც საქმე (რაღა ზოგჯერ – სულ მუდამ საქმეს
უკირკიტებს).

ჩვენი პატარა ბაია, თქვენ თვითონაც ნახეთ, როგორ წამოჩიტულა. ისეთი ცნობისმოყვარეა,
რომ პატარა ფაჩუნზეც კი ყურები დაცქვეტილი აქვს და თუკი ამ დროს საჭმელს მიირთმევს,
ძუძუს თავს ანებებს. ხელ-ფეხის კლაკენა ხომ მისი მოგონილია, ძალიან ხშირად საბანს ფეხე-
ბით იცილებს და გღია ტიტლიკანა. არც ხმას იღებს, თუმცა როგორ არა – სიამოვნებისგან ღუ-
ღუნებს და ხელ-ფეხს ასხმარტალებს. ამას წინათ დედიკო შინ არ იყო, მამიკო კი საჭმელს მიმ-
ზადებდა სამზარეულოში. ბატონმა დავითმა უკვე დამუშავებული იდეებით გადაიძრო გემრიე-
ლად საბანი და იყო ერთ ამბავში. მე ეს, ცხადია, არ გამომჩენია მხედველობის არედან და მა-
შინვე საშველად ვუხმე მამიკოს. მამიკოც იქიდან გამეხმინა, მე აქედან გავეშვიორე – სასწრა-
ფოდ მოდი-მეთქი, მამიკომ ვერ გამიგო, ეგონა, ვეთამაშებოდი. მე სულ უფრო დაბეჯითებით
მივანიშნებდი, ბაღანა გაშიშვლებულია-მეთქი, მაგრამ სანამ მამიკომ არ დაამთავრა ჩემთვის საჭ-
მლის კეთება, არ მოვიდა. როცა, ბოლოს, დააყენა საშველი და მობრძანდა, ნახა, რა მდგომარე-
ობაც იყო და ძალიან გაუკვირდა ჩემი მხრიდან ასეთი ჭკვიანური მოქმედება. მიკვირს მეც, რა
არის ჩემს საქციელში ისეთი განსაკუთრებული? ცოტაც მაცალეთ და სხვისი დაძახება სულ არ
დამჭირდება, ჩემით დავახურავ.

გწერთ ამ წერილს თქვენი პატარა ტაკუცუნა ქუცუნა ბესარიონი. ნახვამდის.

ბესარიონი – ბებია ვენერასა და მამიდა გულიკოს,
ანანური, 1978 წლის 20 ივლისი – 27 აგვისტო
(ადრესატის მისამართი: თბილისი, ახმეტელის ქუჩა №6)

წერილი № 1
1978 წლის 20-21 ივლისი

გამარჯვება და დიდხანს სიცოცხლე

ჩემს საყვარელ ბებიას-დიდედას და გუა მამიდას!

რადგანაც ჩემი ჟივილ-ხივილი ანანურიდან თქვენამდე ვერ მოაღწევს, ამიტომ ვიხსენებ ძველ
ჩვეულებას და გიგზანით უსტარს, რომელიც უპირველესად გატყობინებთ, რომ ჩვენი დიდი გ-
დასახლება წარმატებით დასრულდა და ჩავეშვით ღუზა, ესე იგი, ჩამოყვარეთ ჩვენი ბარგი-ბარ-
ხანა და ჩამოგხტით ჩვენც, სახელგანსა სოფელსა ანანურს (რამდენიმე წელიწადში ალბათ აქ
მართლაც შესაძლებელი გახდება ღუზის ჩაშვება, როცა ჟინვალის წყალსაცავს გაავსებენ). ამ
წერილის წერას ვიწყებ დამით, როცა ყველა საქმეები, რითაც მთელი დღე გადატვირთული ვარ,
ასე თუ ისე მოთავსებული მაქვს (ამ საქმეებში, მიხედვით ალბათ, რაც შედის: 5-ჯერ პურისჭამა,
ქართლურად რომ ვთქვათ, შემდგომ ამისა, 10-15-20-ჯერ ჩასველება – ხასიათისდა მიხედვით, 50-
60-70 ან მეტჯერ ყვირილი: “დედა!”, “მამა!”, 80-90-100-ჯერ თითის გაშვება და გარშემო მყოფი
საზოგადოებისთვის თვალის ახელა: “აი, პიპი!”, ან “აი, აუა!”, ან “აი, ბაია!” და ასე შემდეგ.
წერილმანებს აღარ ჩამოვთვლი, როგორცაა, მაგალითად, გაღიმება, წატირება, სხვებისთვის
თვალების შეფოფინება, ქუჩაში მიმავალი მანქანებისთვის თვალის გაყოლება და მისთანანი, –
ესეც ხომ საქმეა, ჩემგან შრომას მოითხოვს და არანაკლებს, ვიდრე “თუთა გინდაა-უ!”, ან “პი-პი
გინდაა-უ!”, ან “მნია-მნია გინდაა-უ!..”, ან “ნწა გინდაა-უ-უ!”.

ვაგრძელებ წერილს მეორე დილით, როცა გაჩახჩახებული მზე ახალისებს მთა-ხეობებს. საკ-
მაოდ გრილა – დამით ცოტაოდენი წვიმა მოსულა და იმ ხუთიოდე თუთას, რომელიც მამიკომ
დილით მაჭამა, ცვარივით ეპკურა გამჭვირვალე წყლის წვეთები. პატარა ნიავიც ქრის, ასე რომ,
სიცხეს არ ვუჩივით. ის კი არა და, სადამოობით ტანსაცმელსაც კი ვიმატებთ. ნასიცხი რომ
გვქონდა გამოყრილი, უკვე გაგვიარა, ოღნავლა გვეტყობა.

როგორც ხედავთ, ვართ გვარიანად. საჭმელ-სასმელი არ გვაკლია, წყალი ეზოშია ოციოდე
მეტრში, დედიკო და მამიკო გვერდზე გყავს, ბებია საჭმელებს არ გვაკლებს – მეტი რაღა უნდა
კაცს?

წერილს უკვე სადამოს, უფრო ზუსტად, ღამე ვამთავრებ. ამ ღამეს ღრუბლებითაა ცა გადაშავებული და შორეული ჭექა-ქუხილიც ისმის; ორი დღეა, ბაყაყების ხმა არ გვსმენია, ამ სადამოს კი საამო კონცერტით გაგვახარეს – წვიმს და მთვარე სად არის, მხოლოდ გუმანით შეიძლება, მიაკვლიო. წერილის დასაწყისში მამიკოს მიერ დაჯღაბნილი სურათი წინა ღამითაა შესრულებული. მასზე კარგად ჩანს, როგორ ამობრძანდება სპილენძის ტაშტის ხელა ბადრი მთვარე და მოგორავს, თითქმის ქედის თხემს მიჰყვება, მერე ცოტა დააკლდება, რომ ანანურის ეკლესიის ჯვარზე წამოეცვას (ალბათ მიხვდით, სწორედ მუქი პირამიდაა გუმბათის სახურავი).

ღანარჩენი – სხვა წერილში. ახლა კი პატარა ცელქი ონავარი, ბატონი ბესარიონი, გემშვიდობებათ, ბევრს გეოცნით და ყოველივე სიკეთეს გისურვებთ.

ბესარიონ ომაძე.

წერილი № 2 1978 წლის 23 ივლისი

კაი გამარჯობა თქვენი!

საყვარელი ბებიკო და გულიკო მამიდა არ ავიწყდება პატარა ყაჩაღს, ბესარიონას. როგორც ხედავთ, სხვა მრავალ საქმესთან ერთად, წერილის მოწერასაც ვახერხებ, რათა გახაროთ, რომ ყოველიფერი ისეთ მიდის, რავარაც წესრიგი და კანონია.

ზევით რომ სურათია, მამიკომ დახატა დედიკოს ბაღს ოდნავ ზევით რომ პეპლების კაი საჭერი ადგილია, იქიდან. ჯერჯერობით მამიკო ფორმაში ვერ არის და მაინცდამაინც კარგი ვერ გამოუდის. მიხვდით ალბათ, რომ გამოსახულია ანანურის ციხის კომპლექსი. ყველაზე მაღალი, ოთხკუთხა კოშკი რომ არის, იმას “შეუპოვარი” ეწოდება (თუ რატომ, ამას სხვა დროს მოგახსენებთ).

ხანდახან სადამოლობით მაგ “შეუპოვარისკენ” გავისეირნებთ ხოლმე, საიდანაც მშვენიერი გადასახედა არაგვის ხეობაზე ზევით და ქვევით, აგრეთვე, მდინარე არყალას ხეობაზე, რომელიც არაგვის ერთვის ციხის ცოტა ქვემოთ, მას შემდეგ, რაც გვერდზე ჩაუვლის. საამო ნიაგი ჰქრის მუღამუჟამ აქ და მგლის მადას უღვიძებს ყველას. ცოტა საშიში კი არის, ჩვენც მგლებად არ გადავიქცეთ.

პეპლების ჭერის სეზონი დაიწყო ჩვენთვის და დღეს პირველ ნადირობაზე ათიოდე მოვიპოვეთ. უმეტესობა ძველი ნაცნობებია ერთაწმინდიდან.

აქ ნაცნობ-მეგობრები გაიჩინე. ერთი გოგო 11 წლისა, სახელად ჰქვია ლია. მას ვეძახი “ბაის”, მეორე 4 წლისაა, სახელად – თეა. ორივენი დიდ ამბავში არიან, დამაპროწიალებენ ზევით-ქვევით, თუმცა მათ მამიკო მაინცდამაინც არ ანებივრებს. დღეს კიდევ ერთი გოგო გამოჩნდა, 6-7 წლის, იმასაც ლია ჰქვია. სხვა ბიჭ-ბუჭობაც და გოგოებიც ბევრია ანანურში, ბატონ დავითის ტოლებიც მრავლადაა, მაგრამ მათთან ურთიერთობა არ გვაკავშირებს.

წინა წერილში დამავიწყდა: ჩვენი სახლის წინ ორი ნეკერჩხალი დგას, სამწუხაროდ, უკვე თითქმის მოიყვავილეს, თუმცა საამო სურნელს ჯერ კიდევ აფრქვევენ. საავტომობილო გზა, რომელსაც უფროსები სამხედროს უწოდებენ, სულ ათიოდე მეტრზეა ჩვენი სახლიდან და გარეთ გაუსვლელადაც ადვილად შეიძლება ყოველი ჩაველი ავტომობილის დათვლა. მართალია, ჯერ თვლა არ ვიცი, მაგრამ აქედან გამომეზარების დროისთვის, იმედია, ამ ხარვეზს აღმოვფხვრი. ახლა კი დაუთვლელადაც ცხადია ჩემთვის, რომ მეტისმეტად დიდი მოძრაობაა მანქანებისა და ზოგჯერ ისეთი ღრიალით ჩაივლიან უზარმაზარი სატვირთოები, რომ მთელი სახლი აზანზარდებ. ერთხელ მამიკო დაფეთებული წამოვარდა ლოგინიდან – მიწისძვრა ეგონა. ეს ისე მოგახსენეთ, სალაპარაკო შემომეღია, თორემ დარდი ნურაფრისა გაქვთ.

ერთ დიდ სატვირთო ავტომობილს, პირთამდე კოცნებით დატვირთულს, გიგზავნით თქვენი მოსიყვარულე და ნახვის მონატრული

ბესარიონი.

წერილი № 3 1978 წლის 25 ივლისი

ჯაგრცხილა, მუხა, შინდი, კუნელი, ზღმარტლი, ნეკერჩხალი (ცოტა),
წიფელი (ცოტა), მაჟალო, თხილი, პანტა, იფანი (ცოტა), ცაცხვი (ცოტა)...

სალამი და გამარჯვება ყოველ კეთილ საქმეში

საყვარელ ბებიკოს და გულიკო მამიდიკოს!

ალბათ გაიკვირებთ, ზევით რომ მცენარეულობაა, რად წერიაო. მოგახსენებთ: როცა მე გემოზე მივირთვი ქათმის სუპი იყო თუ ბულიონი (ბაბომ მიყიდა გასულ კვირას დუშეთში 4 ვარია და 4 წიწილა), მერე ეზოში გავტანტალდი და ერთ მწერთან ახლო ნაცნობობა განვიზრახე –

ფუტკარი გამოდგა დ თითში მიკინა და მადრიალა, მერე, დადლილ-დაქანცულს ამდენი გმირობით, ტკბილად ჩამეძინა, აი, სწორედ ამ დროს მამიკომ დრო იხელთა და გაგვეპარა, რათა თქვენთვის ზემოთ მოთავსებული სურათი მოეხლაფორთებინა. გზა-გზა იწერდა შეხვედრილ ხეთა ჯიშებს. შინდს (და სხვა ხილსაც) კარგად ასხია, მაყვალცი მომავალში ბლომად იქნება. ასე მიდიოდა მადლა-მადლა მამიკო, რათა კარგი ხელი დაეხატა თქვენთვის და გაეიდა ტრაქტორით ნავალ ფერდზე (გაზსადენი გაჰყავთ, მგონი), მერე მიღს გაუყვა. ერთ ადგილას გზა შეწყდა ღრმა ხევთან, მილი კი ჰაერში დაკიდებულად იყო გდებული. ერთი პირობა მამიკომ გადაწყვიტა, მიღზე გასულიყო (მილი საკმაოდ დიდი დიამეტრისაა), მერე შეშინდა და არჩია, ხევში ჩასულიყო. არც ეს გამოდგა ადვილი, ბოლოს კი ღორების ნავალი ციცაბო ბილიკი შეამჩნია (ღამით წვიმა იყო ძლიერი და სველ მიწაზე ნაფეხურები კარგად ჩანდა) და იმას ჩაუყვა. თან იფიქრა: “ვინ თქვა, რომ ღორები შტერი ცხოველებია, აგერ, რა მოხერხებულად მოუძებნიათ ჩასასვლელი”, თან ახსენდებოდა ის ორი ღორი (ერთი ძალიან დიდი – დედალი, მეორე – საშუალო, მამალი) და ორი-სამი გოჭი, რომლებიც თითქმის აგერ ამ ხევამდე წინ მიუძღებოდნენ მამიკოს და მერე სადღაც გვერდზე გაუხვიეს ღრუტუნით და მიწის ჩიჩქნით; არც მამიკოს ეჩქარებოდა, მიღამოს ნება-ნება ათვალეიერებდა. ჰოდა, ამოძვრა ამ ღრმა, ხეებისგან გადახურულ-ჩაბნელებული ხევიდან დიდი გაჭირვებით და რას ხედავს: ოდნავ ზევით ისევ ის ღორ-გოჭები მისეირნობენ ნებიერი ღრუტუნით და დინგით მიწის ჩიჩქნით – სანამ მამიკო ნაშალში მიიფხოტებოდა (ფეხსაცმელები ღორლით აეცსო), ღრუტუნებმა ამ ადგილს შემოუარეს მშვენიერი სატრაქტორო გზით. აი, ასეთი კომედიებიც ხდება ხოლმე.

ახლა ცოტა სერიოზულადაც ვილაპარაკოთ. როგორც მოგახსენეთ, ღამე მაგრად იწვიდა და დილას დაგროვილი სველი საფენელ-ტანსაცმელი ძნელი გასაშრობი შეიქნა, რადგან დღისითაც მოღრუბლული იყო და საკმაოდ ციოდა კიდევ. მაშინ ავანთეთ ღუმელი თუნუქის შეშით, კარგად დავაგუზუნეთ და მის გვერდზე მიდგმულ სკამლოვინზე, აგრეთვე, სახელდახელოდ გაჭიმულ თოკზე გაგაფიცხეთ სველი სარეცხი. ჩვენს საძინებელ ოთახშიც ისე დაცხა, რომ საჩქაროდ გარეთ გამოგვეფინეთ, სუფთა ჰაერზე.

გამთავრებ ამ ძალზე არასერიოზულ წერილს. ჩვენ მშვენივრად ვართ: ჭამა-სმა არ გვაკლია, ჰაერი ხომ შეიძლება, თქვენც გამოგიგზავნოთ გულით.

ახლა კი მოკითხვას გითვლით ყველანი, ბესარიონ ომაძე კი გოცნით მრავალს.

წერილი № 4 1978 წლის 30 ივლისი

გამარჯვება, გამარჯვება!

როგორ ხართ მაგ გახურებულ თონეში, რომელსაც ქალაქი თბილისი ეწოდება? თქვენგან არცერთი წერილი არ ჩანს, ჩვენ კი არ გვიწყებთ და უკვე მეოთხეჯერ გწერთ. ქე ვართ გვარიანად. საჭმელ-სასმელი არ გვაკლია, არც სიცხე გვაწუხებს მაინცდამაინც, ის კი არა, და, ხანდახან საკმაოდ გრილა კიდევ. დილა-საღამოს ხშირად ვსეირნობთ, ერთი-ორჯერ არაგვის ნაპირზე დაც ვიყავით (ზემოთ რომ სურათია, ის მამიკომ სწორედ არაგვის მხრიდან დახატა). არაგვი ამჟამად სულ მთლად დაწმენდილი არ არის, მაგრამ არც ადიდებულია. მისი ლამაზი ნაპირები და უმწიკველია რიყეში გაჩენილი უზარმაზარი ორმოებით, საიდანაც ქვიშას ეზიდებიან მანქანებით მშენებლობისთვის. ერთხელ მამიკომ გემრიელად იბანა კიდევ მდინარეში, მზეზეც ცოტა გაიხუხა (ჩვენ დანარჩენებს ისევ თბილისური ჭუჭყი გეჭამს, თუმცა აქ სულ არ ვოფლიანდებით). ბარემ არაგვსაც გაგაცნობთ. ანანურთან იგი საკმაოდ ვიწრო და დაკლავნილ ხეობაში მიედინება, ასე რომ, სოფლიდან საითაც კი გაიხედავ, მხარეთქოზე წამოწოლილი დევებივით წამომართულან მთები, მთები, მთები... არც ისეთი მაღალნი და გორბონი, როგორც მთავარ კავკასიონზეა, ფოთლოვანი ტყით გადახუჭუჭებულნი, – მთელი დღე მათ გუმზერთ. არაგვის მეორე ნაპირიდან ერთი წოწოლა, სამკუთხა პირამიდის ფორმის ზურმუხტისფერი მთა დასცქერის სოფელს; მისი სახელი სოფელში ვერავინ გვითხრა, ამიტომ პირველად მომჩინების უფლებით მას დავითის მთას ვუწოდებთ, ბატონ დავით ომაძის პატივსაცემად, რომელიც ჯერჯერობით მადლობას მხოლოდ ღუღუნით, ღიმილით და თვალების ბრიალით გვიხდის.

დავუბრუნდეთ არაგვს. მთელი ღამე გვესმის მისი შხუილი (დღისით სხვა ხმაურები ნთქავს). მის ნაპირებზე დღისით ბლომად იხილავთ ტიტლიკანა ბიჭებს, რომლებიც დროდადრო გაბერილი კამერებით მიჭენაობენ ტაღლებზე. ხანდახან მებადურებიც გამოჩნდებიან არაგვზე, ვისაც მურწა და ფიჩხული მონატრებია (კალმახი იშვიათი ყოფილა, უფრო ზემო წელში შეხვედები, სადაც წყალი უფრო წმინდაა და ცივი). ალაგ-ალაგ, მყუდრო ადგილებში, სოფლებებს ბაღ-ბოსტნები გაუჩენიათ, მესრებით შემოურაგვავთ და სარწყავი რუებიც გაუყვანიათ არაგვის რიყნარზე. უმეტესი ადგილი კი სულ ქვიშნარ-როჭკანარია, რომელზეც ვერავითარი მცენარეულობა ვერ იკიდებს ფეხს, გარდა იალღუნისა და ქაცვისა, ალაგ-ალაგ ტირიფებიც არის. მეორე ნაპირზე ზოგან ჭალის ტყეები ჩანს მუქად; მათში ნიავისგან ავერცხილი ვერხვები ყველაზე მაღლა იზრდებიან. აი, ასეთია ჩვენი არაგვი, ხან – ოდნავ სირბილშენელებული, ხან – ხმაურით აჩქერებუ-

ლი; ისე სულსწრაფია, რომ, მტკვრისკენ აჩქარებული, ტოტებად იშლება, ისევე ერთდება, კუნძულებს აჩენს ქვიშიანს, დროებითს; ხან ერთ ნაპირს მიასკდება და ნაპირს ურეცხავს, ფლატეს ჭამს, ხან პირს იბრუნებს, მიიკლაკნ-მოიკლაკნება და ახლა მეორე ნაპირს მიადგება, მიასილავს, ქვიშასაც მიაყოლებს – ყველაფერი ეს დროებითია, ცვალებადია: უცებ არაგვს ზნე შეეცვლება, წვიმებისგან გაგიჟებული, მოვარდება, რათა სულ ახალი გზით იაროს, ახლად დაიბადოს...

ეს წერილიც არაგვივითაა, დაიწყებს კაცი და არ იცი, რა გზით წაიყვან აზრს, რომელ ნაპირებს მიწვდება და მოლოკავს, თავის ტალღებში ჩაითრევს ხან ფოთლებშიაღა ხეს, ან ჩიტისბუდიან ბუჩქს, ხან მაღლიდან, პიტალოდან ჩამოვარდნილ და ნაპირთან გაჩერებულ კლდის ნატეხს, ხავსით დაფარულს – ჩრდილის მხარეს და მზით გამოსუნებულს – მეორე მხარეს...

რადგან ამ წერილში სულ წყალზეა საუბარი, ბარემ წყალითვე დავამთავროთ. მოხარული ვარ, მოგახსენოთ, რომ სანამ ეს წერილი სვენებ-სვენებით იწერებოდა, მე მოვასწარი ტანის დაბანვა, უფრო ზუსტად – დამბანეს თითქმის ძალით, ბოლოში წავიტირე კიდევ, ახლა კი ტკბილად მძინავს ჩემს საწოლში და ძილშიც კი არ გივიწყებთ და ბევრს გკოცნით თქვენი პატარა ბესარიონი.

წერილი № 5 დაიწერა 1978 წლის 1 აგვისტოს,

ბესარიონ ომაძის მიერ, რომელიც მიესალმება და

ყოველივე სიკეთეს უსურვებს საყვარელ ბებიკოს და სანატრელ მამიდიკოს!

ჩვენთან ყველაფერი ძველებურადაა. ორი ვარია უკვე აღარ დასეირნობს ეზოში სხვებთან ერთად – ჩვენს კუჭებს მიაკითხეს. დილაობით დედიკოს მიჰყავს ბატონი დავითი არაგვის პირას გასასეირნებლად. საღამოობით ზოგჯერ ჩამოვსხდებით ჩვენი ეზოს წინ მესერთან დადგმულ სკამზე და ვათვალიერებთ ჩავლილ მანქანებს და ხალხს. თუთასაც მივირთმევთ – მეზობლების ეზოდან აქვს ტოტები გადმოშვერილი და ჩვენი სახლის კიბიდან ვეპოტინებით. სხვა ხილი ანაზურში არაფერია, სამაგიეროდ, კიტრი შემოგვივიდა საკუთარი, ერთ თვეში კი პომიდორიც იქნება (რადღა დროს!). ასე მიდის ჩვენი ცხოვრება, მეტი – ლხინი და ცოტა – ჭირი.

ამით დავამთავრებ ამ მინი-წერილს, რადგან მამიკოს დავებარებ დანარჩენს და ის გაიმბობთ ყველაფერს 3 აგვისტოს.

გკოცნით ბევრს,

თქვენი დიდი ყაჩაღი და ასეთივე ქვეშაფსია
ბესარიონ ომაძე.

წერილი № 6 1978 წლის 8 აგვისტო

გამარჯვება თქუენი!

ბოდიშს ვიხდი, რომ უსტარი შემაგვიანდა. მამიკოს ჩამოსვლის შემდგომ ბევრი არაფერი მომხდარა. მამიკოს აქ დახვდნენ ანაზურს ჩამობრძანებულნი: ვერა, კოტე და მალხაზი. ვერა დეიდა მესამე დღეს, ე. ი. კვირას, წავიდა თბილისს ქალაქსა, დაგრჩით დანარჩენები. მოგეხსენებათ, ბიჭებთან დრო უფრო მხიარულად მიდის. ბევრს დავსეირნობთ, განსაკუთრებით – საღამოობით, დაგდევეთ პეპლებს, ვებერათ ფერად ბუშტებს და ასე შემდეგ. მე ქე ვარ კენჭივით, ნელ-ნელა ვიხუნებები მზეზე, თუმცა მამიკოს ვერ დავეწვევი ალბათ. ბატონი დავითი უმეტესად მშვენიერ გუნებაზეა, მომაგრდა. დედიკო დილ-დილაობით დიდხანს ასეირნებს, სუფთა ჰაერს აყლაპებს. მამიკო ერთი დღით გაგვექცა ყაზბეგში – ერთი თანამშრომლის მამის ორმოცი იყო და შოთა კიტოვანმა გამოუარა ცოლით, ქალიშვილით და კიდევ ორი თანამშრომლით. უფრო სწორედ, მამიკო სოფ. არშაში იყო, ყაზბეგიდან რამდენიმე კილომეტრში.

ირგველივ ისეთი ზვიადი და ლამაზი მთებია, რომ კაცს ზღაპარში ეგონება თავი. სამწუხაროდ, მამიკომ ვერ დაგიხატათ ერთი ხედი მაინც, რადგან ეს მის უნარს აღემატება. ამის არც სიტყვებით გადმოცემა ძალუძს და ამიტომ ჩუმდება.

დღეს შედარებით მზიანი, თბილი ამინდია და წერილის დასაწერადაც ამიტომ განვეწყვე უწინ სულ წვიმდა, ციოდა.

მოიწერეთ მაქაური ამბები, ნუ დაგვივიწყებთ.

პატარა ყაჩაღი ბესარიონი გემშვიდობებათ დროებით და ყოველივე სიკეთეს გისურვებთ.

ბესარიონ ომაძე.

ეს ჩემი მარჯვენა თათია.*

* – ფურცელზე შემოხაზულია ბესოს ხელის მტევანი.

წერილი № 7 1978 წლის 15 აგვისტო

გამარჯვება, ჩემო კარგებო!

გესალმებათ და ყოველივე სიკეთეს გისურვებთ თქვენი პატარა ბიჭუკელა ბესარიონი. ვართ ძველებურად, გვარიანად. ცოტა მოგეწინდა, ძალიან მოგვენატრეთ. აქეთ დროდადრო საკმაოდ ცხელა და მაშინ წყალი ჩვენს ეზომდე ვერ აღწევს და მოგვექვს აქ მარცხნივ დახატული რომ არის, იმ წყაროდან. ზევით დახატული სურათი კი მამიკომ შეასრულა არაგვის პირას, ბანაობის შემდეგ ნაპირზე რომ შრებოდა. მზე ჩადიოდა, მალე სულაც ჩაიკარგა ღრუბლებში. აგრილდა, ნახირი მიედინებოდა არაგვის ნაპირით სოფლისკენ. წყნარი საღამო იყო, მარტო არაგვის ხმაური არღვევდა მყუდროებას. (სხვათა შორის, მდინარის მეორე ნაპირზე მწვანე კედელივით აღმართული ვერხვნარი ჭალა არ ირეკლება გარკვევით არაგვში, რადგან სწრაფი მდინარეა და, აბა, აქოჩრილ ტალღებში ხომ ყველაფერი ითქვიფება). სურათზე ანანურის ციხე-სიმაგრის მარცხნივ ჩანს ახალი უდიდესი ხიდი (ჯერ დაუმთავრებელია) და ახალი გზა დატბორვის შემდეგ ციხე-კომპლექსის ზევიდან გადაივლის. მაგ დიდ (არცთუ იმდენად) მთას რა ჰქვია, არ ვიცით. ხიდი კი გადებულია მდინარე არაგვზე, რომელიც სწორედ აქ, ანანურთან, უერთდება არაგვს.

ახლა ცოტაოდენს ბატონ დავითზე მოგახსენებთ. ქე არის გოჭივით ჩამრგვალებული; თუ მოისურვა, ფეხსაც მართავს და ბუქნავს, ისწავლა ტაშისცემა და ხელებით ცეკვის ილეთებსაც ნელ-ნელა ითვისებს. წელში ნელ-ნელა მაგრდება, ხელში უფრო თამამად გვიჭერია. მე ოდნავ გაეშავდი, განსაკუთრებით ხელები და კისერი გამიმუქდა. ისე გაგცელქდი, რომ მუდმივად ერთი კაცი ყარაულად მინდა. მუხლები სულ დაკაწრული მაქვს, მოკლედ, სოფლურ იერს ვიღებ.

ასე მიდის ჩვენი დღეები. ხალხი ნელ-ნელა იკრიფება თბილისისკენ. ჩვენ ჯერ არ ვაპირებთ, გართული ვართ მურაბების ხარშვით (კაკლის და თუთის, სხვა არაფერია აქ)

გოცნით მრავალს თქვენი პატარა ბესარიონი.

წერილი № 8 1978 წლის 24 აგვისტო

სალამი, ჩემო საყვარლებო!

ამჯერად ნახატის მაგივრად ანანურის ვითომ-გეგმას გთავაზობთ, სადაც ნაჩვენებია მეკომურთა გვარები. უნდა მოგახსენოთ, რომ ერთი ამდენი ამ ფურცლის გვრძელებაზე არის – ანანურის ახალი უბანი არაგვის აყობებით გაშენდა ბოლო წლებში და ძველი ნაწილის მაცხოვრებლებიც ახლო მომავალში იქ დაიდებენ ბინას, რომლებიც უკვე შენდება სახელმწიფოს მიერ.

გუშინ ჩემი დაბადების დღე იყო, გავხდი 2 წლის და დედამ და მამიკომ ისევ სურა მიყიდეს სამახსოვროდ, ამჯერად დვინისა, ვითომ დიდი მოყვარული ვიყო ლოთობისა. ბაბუმ (“ბაბოს” მაგივრად “ბაბუს” ვამბობ, რადგან ყველა სიტყვაში “ ” ბგერის ნაცვლად “უ”ბგერას ვამბობ) კარტოფილის ხინკლები გააკეთა (მე არცერთი არ მაჭამეს), საღამოს კი გუას ნაყიდი საზამთრო გაეჭურით (პირადად დავრწმუნდი – ღიახაც კარგი ამორჩევა სცოდნია!). ამით დასრულდა ეს ღირსშესანიშნავი დღე.

სხვა ახალი ამბები რა მოგახსენოთ. ბატონი დავითი კარგად გახლავთ, ნამცხვარს ჩემზე უკეთ მიირთმევს. თუკი გამძღარია, მშვენიერ ხასიათზეა, მაგრამ ვაი თუ ხელიდან გაუვარდა საჭმლის ნაჭერი – საშინელ ღრიალს მორთავს. მე ვვარჯიშობ ნელ-ნელა ახალ-ახალი სიტყვების წარმოთქმაში. გუშინწინ კოტე და მალხზი წაიყვანა დედამისმა თბილისში და მომაკლდა რეპეტიტორები. აქეთ ნელ-ნელა აცივდა (განსაკუთრებით – დამე და ღრუბლიან დღეს, როგორ დღესაა, მაგალითად), ხალხი ნელ-ნელა გაიკრიფა თბილისისკენ და ერთი კვირის შემდეგ ჩვენც ყველანი მაქვთ გადმოვბარდებით. მაშინ პირადად გაეკოცებთ, ამჟამად კი გიგზავნით საპაერო კოცნას და გისურვებთ ყოველივე სიკეთეს.

თქვენი პატარა ბესარიონი.

წერილი № 9 1978 წლის 27 აგვისტო

სალამი, საყვარელო ბებკიო და უკვე ალბათ მოსკოვში მყოფო მამიდიკო!

გწერთ ალბათ ბოლო წერილს, რადგან ხვალ მამიკო გამოემგზავრება თბილის-ქალაქს და რამდენიმე დღეში ჩვენც ყველანი, აქ დარჩენილები, პირადად გეახლებით. ანანურში აგრილდა,

დამ-დამობით ცივა კიდევ, მერცხლებმა გაუტიეს უკვე თბილი აფრიკისკენ, ჩვენ კი დროა, თბილისისკენ ავიღოთ გეზი. ცოტა კი გვენანება აქაურობის დატოვება – ახლა იწყებს მწიფობას შინდი (ერთი ვედროს დაკრეფა მაინც მოვასწართ), მაყვლის დამზადების გახურებული დროა (შორს იყო – კვირიკეში – და მამიკომ და დედამ ვერ მოახერხეს იქ ასვლა: აღმართ-აღმართ უნდა იარო ტყეში რამდენიმე კილომეტრი). ასკილი ახლა იწყებს შეფერვას და ორ-სამ კვირაში დამწიფდება ალბათ. მაყვლის ძებნაში მამიკომ და დედამ მდინარე არყალის აღმა სოფელ ზოტიკიანთკარში ნახეს ეს ხედი, რომელიც მამიკომ ამ წერილის თავეში მოახლათფორთა (ნახატის შუაში ეკლესიაა პატარა).

ჩვენ ვართ გვარიანად. ერთი პირობა გრიპის თუ სურდოს მაგვარმა რაღაცამ დაგვრია ხელი (მხოლოდ ბატონი დავითი გადურჩა, საბედნიეროდ), ახლა არაფერი გვიჭირს. თუ როგორი ბიჭები დავდექით, ამას სულ მალე, რამდენიმე დღეში, შეიტყობთ, როცა ჩვენც ჩამოვალთ.

ახლა კი გემშვიდობებით და ყოველივე სიკეთეს გისურვებთ.

მალე შეხვედრამდე!

თქვენი პატარა ბესარიონი.

დათუნას წერილი – ბებიკო ვენერას, თბილისი, 1978 წლის 27 ოქტომბერი (ადრესატის მისამართი: თბილისი, ახმეტელის ქუჩა №6)

სალამი, საყვარელო ბებიკო!

გწერს პატარა ლიფსიტა, თუმცა რაღა ლიფსიტობაა – წლის შევსრული გუშინ და ძალიან მინდოდა, შენთან ერთად გადაგვეხადა დიდი იუბილე, მაგრამ არა უშავს – მაგასაც მოვესწრებით. მიხვდი ალბათ, რომ ბატონი დავითი მოგმართავს. არა გვიშავს, ვართ გვარიანად, მე პირადად ფრიად კმაყოფილი ვარ ცხოვრებისა, საჭმელ-სასმელი არ მაკლია, სახლსაც არა უშავს – წყალი არ ატანს სახურავში. ერთია მხოლოდ, რომ სულ მუთაქასავით ვგორავარ და ხელში იშვიათად ამიყვანენ ხოლმე. ერთი სული მაქვს, როდის წამოვდგები ფეხზე და ჩემს ძმას მხარს ავუბამ ანუ ფეხს ავუწყო. არეგ-დარევა ჩვენს სახლს არ აკლია და კიდევ ერთი ამრევის ხელი ბევრს არაფერს შეცვლის.

ახლა კი გემშვიდობები, გეოცნი ბევრს და ყველაფერს საუკეთესოს გისურვებ, მათ შორის – ჩემთან სულ მოკლე ხანში შეხვედრას.

ნახვამდის, შენი დათო.

სოსო – ლიასა და ბავშვებს, ბორჯომი, ლიკანი, 1979 წლის თებერვალი (ადრესატის მისამართი: თბილისი, დიდუბის ქუჩა № 24/26)

წერილი № 2 1979 წლის 14 თებერვალი

სალამი საყვარელო ლია და ბავშვებო!

გწერთ თქვენი მამიკო, რომელიც აგერ უკვე მეხუთე დღეა, ნებივრობს აქ, ბორჯომში და თქვენ კი მიგატოვებთ ბედის ანაბარად. ვსვირნობ დილით, საღამოს და დღევ, ვნახულობ კინოს, გარდა ამისა, ვყლაპავ ზონდებს, აკეთებენ ანალიზებს, ვნებივრობ მინერალური წყლის თბილ აბაზანებში, ხვალ პირველად გამიკეთებენ კუჭისა და ღვიძლის პარაფინოთერაპიას, რამდენიმე დღეში კი გამირეცხენ კუჭს. მოკლედ, სრული კაპიტლური რემონტი უნდა ჩავიტარო. ახლა აქ სანატორიუმის მთელი რიგი კორპუსების შეკეთება მიმდინარეობს და 260 კაცის ნაცვლად ორმოცდაათიოდე თუ იქნება სამკურნალოდ ჩამოსული. ამიტომ არსად რიგი არაა პროცედურების ჩატრების დროს, სასადილოშიც ხალვათობაა.

ბავშვებო! დილით როცა გამოვდივარ პარკში, ჩიტები ჟღერტულდებენ სხვადასხვა ხმაზე ერთხელ შავი შაშვიც დავინახე, ორჯერ კი – კოდალა, რომელიც ხმამაღლა უკაკუნებდა მაგარ ნისკარტს ფიჭვის კანს. ერთხელ ძალიან ღამზი ბელურასხელა ჩიტიც დავინახე, რომელსაც სულ მომწვანო-მოლურჯოდ ულივლივებდა ფრთები.

ჰო! დიდ სასაღილო დარბაზში შადრევნიანი აუზიც არის, რომლის ფსკერზე მოზაიკით არის გაკეთებული ფერად-ფერადი თევზები. ერთ პატარა გოგოს, ბასარიონას ხნის არც კი იქნებოდა, სირბილისა და ცელქობის დროს მოუნდა ალბათ ამ თევზებთან უფრო ახლოს დანაცნობება და დგაფუნით გადაეშვა წყალში. უკან რომ მისი მამიკო მისდევდა, ისიც საჩქაროდ ჩახტა აუზში და გაწუწული და ატირებული გოგოცუნა ამოიყვანა.

სხვა ღირსშესანიშნავი ამბები აქეთ არაფერია.

ბავშვებო! დედის თხოვეთ, რომ მამიკოს წერილი გამოუგზავნოს, თქვენი ამბები შემატყობინოს.

ახლა კი გემშვიდობებით, გოცნით ბევრს, ბევრს,
თქვენი სოსო მამიკო.

წერილი № 3 1979 წლის 16 თებერვალი

სალამი საყვარელო ლია და ბავშვებო – ბესარიონ და დავით!

გწერთ თქვენი მამიკო. რომ იცოდეთ, ოცნებაში რამდენს გეფერებით... მინდოდა, თქვენთვის პატარა სურათი დამეხატა, მაგრამ დღეს წვიმს, ნისლი დაბობლავს მთების კალთებზე და ეს საქმე შემდეგისთვის გადავდე. ახლა ვისვენებ პარაფინოთერაპიის შემდეგ და გიგონებთ თქვენ. გასტრიტის გარდა, აღმომაჩნდა ქოლერისტიტი, რაც მოსალოდნელიც იყო – ეს ორი ავადობა ძმაკაცები არიან. ვნახეთ, როგორ ჩაივლის მკურნალობა.

დღეები აქ ერთიმეორეს ჰგავს, განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ფილმები იცვლება საღამოობით. მე ხან მივიღივარ და ხან – არა. ნელ-ნელა ვზივარ და ვჩაღიჩობ რაღაცას, სამუშაო ჯერჯერობით საშუალოდ მიდის. უფრო მეტად კი დავხეტიალობ სანატორიუმის ბაღის უზარმაზარ ტერიტორიაზე. ზამთარია, მაგრამ იმდენი წიწვოვნებია, რომ ყველაფერი გადამწვანებულია.

მადა კარგი მაქვს. ამდენი ჩემს სიცოცხლეში არასდროს მიჭამია. პეფსინს არ ვსვამ, მაგრამ კუჭი მაინც ნორმალურად მოქმედებს. ასე რომ, ყველაფერი წესიერად მიდის.

ახლა კი გემშვიდობებით, გოცნით ბევრს, ბევრს,
თქვენი მამიკო სოსო.

წერილი № 6 1979 წლის 21 თებერვალი

სალამი საყვარელო ლია, ბებო ვიქტორია და

ბავშვებო – ბესარიონ და დავით!

როგორ გაახარა მამიკო თქვენმა თათების ხილვამ წერილზე, პირდაპირ მზე ამოვიდა ჩემთვის ამ ღრუბლიან დღეს და ყველაფერი გაანათა. მთელი დღე ასეთი ამადლებული, სასიხარულო განწყობილება მექნება.

დედის [ვენერას] ორი წერილი მივიღე ერთად. მწერს, რომ გულიკო ყოფილა თქვენთან და სულ იმას უყვებოდა დედას, როგორ დაბაჯბაჯებს ბატონი დავითი თავის საწოლში და ბატონი ბესარიონი კი “სოსო მამიკოს” კითხულობს და დიღომში წასვლას ეხვეწება. შენ კი, ლია, ამის შესახებ არაფერს იწერები.

აქეთ თბილა, თოვლი მოდის და ორი დღეა, უქარო ამინდია, სასეირნოდ ზედგამოჭრილი. მეც სხვა საქმე რა უნდა მქონდეს – პროცედურებისგან თავისუფალ დროს დავსეირნობ ან ოთახში ვმუშაობ, თუმცა საქმე ნელა მიიწევს წინ. ალბათ ჩვეულ გარემოს რომ ვარ მოწყვეტილი, ფსიქოლოგიურად ჯერ ვერ შევეწვევ ახალ მდგომარეობას, სულ თქვენ გიხსენებთ. აქ სიმყუდროვე კია, მაგრამ ერთგვარი ერთფეროვნება და მოწყენილობაცაა.

მინდოდა, თქვენთვის ცოტა რაღაც დამეხატა, მაგრამ ყველაფერი თოვლით არის დაფარული, მე კი მისი ხატვა კალმით არ მეხერხება.

სხვა მხრივ კი გარეგნულად ჯანზე მაგრად ვარ, არაფერი მაწუხებს თითქოს.

კარგად და ბედნიერად ყოფნას თქვენც გისურვებთ და გოცნით ბევრს,
თქვენი მამიკო სოსო.

წერილი № 9 1979 წლის 26 თებერვალი

გამარჯობა ყველას – ქუცუნიებსაც, ტუნტულიებსაც, ფუმფულიებსაც,

კუნკულიებსაც, ბაცაცუნებსაც და ასე შემდეგ.

რატომ დაივიწყეთ მამიკო, რომ ერთი წერილის მეტი ვერ გაიმეტეთ, მე კი ყოველდღე ველოდი. გულიკოს ველაპარაკე ტელეფონით და ბავშვებს პატარა სურდოსავით ჰქონდათ რაღაცაო. ცუდად ისმოდა და კარგად ვერ გავიგე ყველაფერი. ისე, აწი თქვენი წერილის მოწერას აზრი აღარ ექნება, რადგან ერთ კვირაში უკვე წამოვალ აქედან, 6 მარტს ალბათ გვიან საღამოს შინ ვიქნები პატარა ყაჩაღებთან.

მე კარგად ვარ, არაფერი მაწუხებს მაინცდამაინც. დაგსეირნობ, ბორჯომის წყალს ვსვამ და მყუდროებით ვტკბები. ამ ბოლო დროს თითქმის ყოველდღე თოვს ცოტ-ცოტას, მერე მზე გამოიჩეყიტავს. ქარი ერთხელაც არ ყოფილა. ერთ კვირაში ალბათ ბევრი რამ აყვავილდება, თხილი კი უკვე ჰყვავის – გაზაფხულის სუნი დატრიალდა ირგვლივ.

გოცნით ყველას,

თქვენი მამიკო სოსო.

წერილი № 10 1979 წლის 1 მარტი

გამარჯობა, ბაცაცუნებო და ქალბატონებო!

გილოცავთ გაზაფხულის დადგომას, ჩიტებო და გვრიტებო. აქ თბილა, თოვლი ნელ-ნელა დნება, თუმცა დილაობით ყინავს. ამ სურათზე რომ სახლია, იქ სტალინი ისვენებდა, რეჟოლუციამდე კი მეფის ოჯახის აგარაკი იყო.* ჩემი კორპუსი ამ შენობის უკანაა, ალბათ წინათ მომსახურე პერსონალისთვის იყო განკუთვნილი.

მე კარგად ვარ, ჩამოვალ 6 მარტს, მატარებელი გვიან ჩამოდის, საღამოს 11 საათზე.

გოცნით ბევრს,

თქვენი მამიკო სოსო.

* – დაწერილია ღია ბარათზე, რომლის წინა მხარეზე მოთავსებულია ლიკანის სანატორიუმის ფოტო.

ბესარიონი და დათუნა – ბებია ვენერასა და მამიდა გულიკოს, არშა (ყაზბეგის რაიონი), 1979 წლის 13 აგვისტო – 4 სექტემბერი (ადრესატის მისამართი: თბილისი, ახმეტელის ქუჩა №6)

წერილი № 2 1979 წლის 13 აგვისტო, [არშა]

სალამი და გამარჯვება ჩვენს საყვარელ ბებიას და მამიდას!

გწერთ გოჭები – ბესარიონი და დათუნა. თითქმის ერთი კვირა გავიდა ჩვენი სოფელში გადმოსახლებიდან. ერთ-ერთი ჩვენთაგანი, ბატონი ბესარიონი, კი სულ კითხულობს – ეს არის სოფელი, სად არის სოფელიო. თურმე მთელი სოფელი ყოფილა შუადღის მცხუნვრე მზე, სულ რომ წითელ-მოყავისფროდ აგვილაპლაპა ლოყები, მკლავები და ფეხები, აგრეთვე – გრილი ნიავი, დილა-საღამოს რომ თბილად ჩაცმას გვაიძულებს, პიპიებზე უმეტესი რაოდენობა ძროხებისა, საღამოს რომ ზმუილით ჩამოვივლიან ორღობებში და ჩამორიგდებიან ეზოებში. ჩვენ ძალიან გვიყვარს ცქერა, როგორ წველის ბებია ნატაშა კაკალასა და ირემას. ისე, მართალი რომ ითქვას, ძალიან შეგვეშინდა, როცა ერთხელ ერთ-ერთმა მათგანმა კუდი მოიქნია. მეორე დღეს ირემა აღარ დაბრუნებულა საღამოს შინ და ჩვენ ყველას ძალიან შეგვეცოცოდა; შემდეგ დილას კი გამოცხადდა მისი ბრწყინვალეობა – თურმე ერთ ბუღასთან ერთად გაპარულიყო სხვა სოფლისკენ.

ახლა ჩვენი ამბავი. ვართ ღომებივით. ხანდახან ვჭყვიპინებთ ბელურებივით, ხან წავიტირებთ ცოტას, როცა ყველა ჩვენს ხუშტურებს არ გვისრულებენ, გვიბნავს გემრიელად, გჭამთ, ასევე, გემრიელად (თუმცა ბატონი ბესარიონი ხშირად ჭინჭყლობს ხოლმე), მეტი რაღა გვინდა? თქვენი კარგად ყოფნა და ბედნიერება, კეთილად ბრძანდებოდეთ, მომავალ წერილამდე.

თქვენი ბესარიონი და დათუნა.

მოგიკითხათ დედოკომ და მამიკომ.

წერილი № 3
1979 წლის 17 აგვისტო, [არშა]

გამარჯობა, ჩვენო საყვარელო ბებიკო და მამიდა!

გწერთ პატარა ცუდლუტი ბიჭი დათო, რომელიც მზეზე რიგიანად გაიხუხა, სურდო ჭირს და ცხვირს ათხიპინებს, მაგრამ ჯანზე მაინც კარგად არის – დასდევს ბურთს, დაჰყვება მამიკოს წყლის მოსატანად (ბესარიონთან ერთად) ოცდაათიოდ მეტრზე და მერე კი შინ შესვლა აღარ უნდა, რადგან ხან ძროხის ფუნაში ჩაჰკრავს ფეხს და ხარობს, ხან ჭინჭარს მოუცაცუნებს ხელს ღობის ძირში და ტუნგადმობრუნებული წაიდნავლებს, ხან კი (საღამოობით) – ორღობეში ზანტად მიმავალ ძროხებს შესცქერის – თან ეშინია და მამიკოს ხელს ჩაჰფრენია და არც წასვლა უნდა შინ. ორღობეო, ისე ვთქვი, თორემ ჩვეულებრივი ღობე აქ იშვიათია, უფრო ანდეზიტის მუქი ლოდებისგან მტკიცედ ნაშენი კედლები საზღვრავს ასევე ამ ქვისგან აშენებულ სახლებს – ცინესიმაგრე გეგონება კაცს აქაური ეზო-მიდამო. მტრის თავდასხმისა კი არ ეშინიათ, ქვაა აქ თავზე საყრელად და თერგის მეორე ნაპირზე უზარმაზარი ქარაფები რომ არის, იქ ერთი ხნის წინ ანდეზიტის ქვის კარიერებიც კი იყო. ერთ-ერთი ასეთი ქარაფოვანი კლდე მამიკომ ამ ფურცელზე დახატა – ეს არის არშის ციხე, რომელსაც თითქმის ყველა მხრიდან სალი კლდეები იცავდა მიუგვლად, მხოლოდ ერთ ადგილას ჰქონია კარები. ასე რომ, ამ ციხეს კედლები არც ჭირდებოდა თურმე.

წინა წერილში რომ პეიზაჟია, მამიკოს დაავიწყდა დაეწერა, რომ იმ მთას ჰქვია ქაბარჯინა; ყოველდღე ჩვენი ეზოდან ვუცქერით მის სიღამაზეს. შემდეგ გეგმაში გვქონდა მეორე მხარეს ამართული მწვერვალი ყურო დაგვეხატა, მაგრამ ხან დანისლულია ეს რუხი და ზვიადი გოლიათი, ხან კი მზე ისე ანათებს, რომ მხოლოდ სილუეტი მოჩანს ხეირიანად.

ჩვენ ყველანი კარგად ვართ “სოფელში”, როგორ მოხევეები ამბობენ – “რად არ ვიქნებით”. საჭმელ-სასმელი აქ ყველანაირი იშოვება თითქმის – კარაქი, პური, შაქარი, პომიდორი და ასე შემდეგ. ყაზბეგის ტურისტული ბაზა არშაშია და მის წინ პატარა ბაზარიცაა, სადაც ადვილად იშოვი ხილსაც და მწვანეხადაც. დედიკომ დღეს ხორციც იყიდა საწყობში, კილო 2 მანეთად, ხოლო რაც შეეხება რძეს, ყველს და კვერცხს, საკუთარი უღლევი გვაქვს – გეყავს 2 ძროხა და დღეში 2 ლიტრი რძე ჩვენია, გინდა რძედ გეახლებით და გინდა – მაწვანად. დღეს და გუშინ დედიკო იყო ყაზბეგში (სულ 4-5 კილომეტრშია და ავტობუსები ხშირად დადის) და მოხიბლული დარჩა მყინვარწვერისა და სამების ეკლესიის ხილვით.

ახლა კი გიგზავნი უამრავ კოცნას და გემშვიდობებთ სოფლელი ბიჭი დათო. მოკითხვას გითვლით დანარჩენები. თვის ბოლომდე ალბათ ჩამოვალთ და მაშინ საჰაერო კოცნას არ დაგჯერდებით. ნახვამდის,

თქვენს წერილს მონატრული დათო.

წერილი № 4
1979 წლის 23 აგვისტო, [არშა]

გამარჯობა თქვენ!

საყვარელ ბებიკოს და მამიდა გულიკოს ბარათს წერს ბატონი ბესარიონი, რომელიც დღეს გახლავთ 3 წლისა და 0 დღისა. წერილი ცოტა დამიგვიანდა, მაგრამ თქვენ კიდევ უფრო დააგვიანეთ ჩვენთვის თქვენი ამბების გაგებინება, ერთი ბარათიც კი არ მიგვიღია თქვენი.

ჩვენ ყველანი კარგად ვართ.

ზევით სტრიქონში მამიკოს ვეხმარებოდი წერაში – ჩემს თითებში მქონდა მომწყვდეული კალამი და ერთად ვწერდით, მაგრამ ბოლოში მე თვით მოვინდომე დაუხმარებლად მოღვაწეობა და შედეგი თქვენც კარგად მოგეხსენებათ.

ზევით მამიკომ დაგიხატათ მთა ყურო, მაგრამ არ გამოუვიდა მაინცდამაინც ხეირიანად – მე და ბატონი დავითი აქტიურად ვცდილობდით დახმარებას, ორი მხრიდან ვებღატებოდით მუხლებზე და მამიკომაც სასწრაფოდ მოახლაფორთა. სინამდვილეში ეს მთა, ძალიან ციცაბო და კლდოვანი, თითქმის ყოველთვის მეტისმეტად კუმტად გამოიყურება. გუშინ კი საღამოსპირს მეტად ლამაზი იყო: მისი ძირი და ქვედა კალთები დაბურუსებული იყო, ზედა ნაწილი და წვერი – ჩამავალი მზით იყო განათებული, სულ ზევით კი ღრუბლები ვარდისფერ ქულებად დაფანტულიყო.

ჩვენი დღეები მეტად ერთფეროვნად მიდის – ვჭამთ, დავრბივართ ეზოში, ვშავდებით მზეზე; შუადღეზე ვიძინებთ, საღამოს ისევ ვჭამთ, ვუყურებთ, ბებო როგორ წველის ძროხებს, ბოლოს, რძეში ჩაფხვნილ ჭვავის ნამცხვარს მივირთმევთ და, როგორც მე ვამბობ ხოლმე, “მზე წავიდა, ღამე მოვიდა” – მზის ისევ ამოსვლამდე ბედნიერ სიზმარეთის ქვეყანას ვესტუმრებით. შუადღეზე, სანამ გვეძინა, დედიკო და მამიკო რამდენჯერმე გაგვეპარნენ, ნახეს სოფელი სიონი (ეკლე-

სია – ბაზილიკა და კოშკი), სოფელი სნო, ცნობილი სნოს ციხე-კოშკით. მამიკოს დრო არ ეყო, თორემ სურათებს დაგიხატავდათ, ფოტოს კი გაჩვენებთ, როცა ჩამოვალთ.

ახლა კი გოცნით ბევრს და გემშვიდობებით,
თქვენი ბესარიონი.

მოგიკითხათ დანარჩენებმა.

წერილი № 5 1979 წლის 29 აგვისტო, [არშა]

სალამი საყვარელ ბებიკოს და მამიდიკოს!

გწერთ ორი პატარა ყურცქვიტა – ბესარიონი და დავითი, რომელთაც, იმედია, კარგად იცნობთ. თუმცადა, ამჟამად ისე ვართ შეცვლილები, რომ იქნებ გაგიჭირდეთ კიდევ ჩვენი ცნობა. გავიხუხეთ მზეზე, ჯან-ღონე მოგვემატა და, რაც მთავრია, ისე გავცუდლუტდით, რომ დედიკო და მამიკო დიდად შეშფოთებულნი არიან. ორ-სამ დღეში თქვენ თვითონ შეგეძლებათ, დარწმუნდეთ ჩვენს ფერისცვალებაში. მამიკო და დედიკოც კარგად არიან.

სანამ ფურცლის მეორე გვერდზე გადავიდოდეთ, მოგახსენებთ, რომ მამიკომ ამ წერილისთვის დაგიხატათ სოფელი გაიბოტენი, რომელიც არშის საწინააღმდეგო მხარეს თერგის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. უფრო სწორედ, იქ ახლა ნასოფლარია, სულ რამდენიმე სახლი დარჩა საცხოვრებლად ვარგისი, იმაშიც მხოლოდ ზაფხულობით არიან.

გავიგეთ, თბილისში მაგარი სიცხეებიაო. აქ კი მზე მაგრად აჭერს, მაგრამ სიცხეს ვერ ვგრძნობთ, უფრო სწორედ, დახუთულობა არ იგრძნობა, ნიაგიც გრილი იცის. თქვენი ამბავი ვერაფერი გავიგეთ, არცერთი წერილი არ მიგვიღია, მხოლოდ ბატონ ბესარიონის მისალაცი დეპეშა მოვიდა, რამაც ძლიერ გაგვახარა.

გუშინ მარიამობა იყო და მთელ ხეში დრეობა იყო გამართული.

მეტი რა მოგწეროთ. მალე ჩაგეკონებით და ყველაფერს უფრო გემრიელად გიამბობთ.

გოცნით ბევრს, თქვენი პატარა კაცები ბესარიონი და დავითი.

წერილი № 6 1979 წლის 3 სექტემბერი, [არშა]

გაგიმარჯვოთ ბებიკო და მამიდა!

დაგვიანებული წერილია, რადგან, როცა მას მიიღებთ, უკვე თბილისში ვიქნებით და მაგრად ჩაგეხუტებით. რა ვქნათ, თუ ეს დრო ცოტათი დაგვიანდა, მანქანამ ჯერჯერობით არ მოგვაკითხა და ჩვენც ველით. ამინდები კი აქ, თბილისურისგან განსხვავებით, გრილია, შემოდგომის ელფერიც კია და დილა-საღამოს უკვე საკმაოდ თბილად ვიცვამთ.

ზემოთ სურათზე მამიკომ დაგიხატათ სნოსწყლის ხეობა, როგორც ის ჩანს არშის ციხის ძირიდან.* მეორე სურათზე კი ფანშეტის კოშკია ასახული.** ეს სურათი დაუმთავრებელია, რადგან მამიკოს ძალიან აგვიანდებოდა და თანაც საკმაოდ ციოდა – უკვე საღამო იყო. ორივე ეს სურათი ნახევარი საათის ინტერვალით ერთ დროს არის შესრულებული.

ახლა კი გემშვიდობებით, რადგან წერილზე ადრე ჩვენს ამბებს ჩვენვე პირადად გიამბობთ. გოცნით.

ბესარიონი და დავითი.

* – ჩანახატი ვაჩუქე მხატვარ გივი კასრაძეს.

** – იხილეთ წერილი №7.

წერილი № 7 1979 წლის 4 სექტემბერი, [არშა]

კიდევ კარგი გამარჯობა თქვენი!

ესეც ნამდვილად ბოლო წერილი! ვერა და ვერ გამოვეცი, რადგან მანქანა არ ჩანს და არ ვიცით, რა ვიღონოთ. ხვალ, თუ დმერთმა ქნა და მნქანა მოვიდა ჩვენი, ხომ წამოვლთ, თუ არა და ჩვენ და დედიკო ავტობუსით გამოვემგზავრებით, მამიკო კი – დაქირავებული მანქანით.

დღე მაგრად მოწვიმა, ხოშაკაალაც დაგვაყარა, თითქოს გვაფრთხილებს – არიქა, მოუსვით აქედან, ზამთარი კარს მოგდგათო. აცივდა და ჩვენი ცხვირებიდანაც ნელ-ნელა დაიწყო დენა, ისევე თბილისური პაპანება თუ გვიშველი. ცოტ არ იყოს და, მოგეწვიინდა კიდევ ქ, სულ ერთთავად მონოტონურად ვცხოვრობთ; საბავშვო ბაღში მეტი მრავალფეროვნება გველის. უვე გაფრთხი-

ლებული ვართ, რომ იქ დამოუკიდებლად უნდა ვჯამოთ; ბატონი ბესარიონი ცოდვილობს რაღაცა ამ მიმართულებით, მაგრამ მამიკოს და დედის მითმინება არ ჰყოფნით და ყველაფერი ისევ ძველებური გზით მიედინება. ძველებურადვე ვცეკვობთ, უფრო მეტადაც კი, გაერთიანებული ძალებით სულ ახალ-ახალ ვარიანტებს ვიგონებთ. ერთი შეველა საბავშვო ბაღშია, თორემ ჩვენი დედიკო და მამიკო წელში გაწყდებიან. აი, ახლაც, მაგალითად, ბატონი ბესარიონი ცდილობს, აძერეს რაფაზე ფანჯრისა, რათა, როგორც თვითონ ამბობს, უსუნოს პიტნას; ეს ველის პიტნა მამიკომ მოაგროვა, ამბობენ, გაცივებულზე მისწრებააო. ამის ერე ბატონი ბესარიონი მიძვრება ფეხებით მღალ ლოგინზე, რისთვისა იმსახურებს ყურების აწევას. მერე პატარა ბურთს ესვრის ბატონ დავითს თავში, მერე მამიკოს ხელს უშლის წერაში იმით, რომ დიდ ბურთს აგორავენს მაგიდაზე, ხოლო როცა ბურთს არ აძებნენ, მამიკოს ეჭიდებენ... ა ასე შემდეგ დაუსრულებლად. დიდად საკვირველია, რომ ამ სტუმართმოყვარე სხლიდან მივდივართ ისე, რომ ფუძე-საძირკვლიანად და კედლებიანად არ მოვშალებთ, არ დავშალებთ და ნაცარტუტად არ ვაქციეთ. მოკლე დროში ჩვენს ნაყოფიერ მოღვაწეობას დედაქალაქში გადავიტანთ და აგარაკზე ყოფნით ჯან-მოცემულები, მეტი ენერგიით განვაგრძობთ საქმიანობას.

ახლა კი გემშვიდობებით და ბევრს გკოცით თქვენი ბესარიონი და დავითი. (სხვათა შორის, მთელი ჩვენი ტანსაცმელი გადმოვალაგეთ იატაკზე და ახლებურად ვაწყობთ, ასე რომ, წერილისთვის აღარ გვცხელა).

**ბესარიონი და დათუნა –
ბებია ვენერასა და მამიდა გულიკოს,
ბაკურიანი, 1980 წლის 11 ივლისი – 13 აგვისტო
(ადრესატის მისამართი: თბილისი, ახმეტელის ქუჩა №6)**

**წერილი № 2
1980 წლის 11 ივლისი [ბაკურიანი]**

სალამი ჩვენო უკვე მონატრებულ ბებიკო და მამიდა გულიკო!

ჩვენ ვართ გვარიანად. აქ ხან ბურუსია და წვრილად სცრის წვიმა, მეორე დღეს კი მზე აღვარდვალებს თვალს და ქარია. საჭმელი იმდენი ჩამოვიტანეთ, რომ ჯერჯერობით, პურის გარდა, არაფრის ყიდვის საჭიროება არ გვაქვს, თანაც მამიკო დილით მიდის და ფერმის რძე მოაქვს 2-3 ლიტრი. 1 ლიტრით ფაფას ვაკეთებთ და მივირთმევთ, მეორეთი კი – მაწონს, რომელსაც იგივე ბელი ეწევა, ოღონდ – სალამოს. ბაზარიც არის, ოღონდ ჯერ ოფიციალურ ვიზიტად არ გვწვევი-ვართ. ცოტა კარაქის გასაჭირია, სხვა მხრივ ყველაფრის შოვნა შეიძლება. იმედია, როცა რამდენიმე კვირაში გვიხილავთ, ლოყები დაბრაწული გვექნება და ამ პატარა ხველასაც მოვიცილებთ. დილა-სალამოს ორთავეს სიცხეს გვიზომავენ და ხანდახან ვაწბილებთ დედიკო-მამიკოს – 37,2 გრადუსის ფარგლებში გვაქვს. რაც მთავარია, მადა უკეთესი გვაქვს და მომავალს ოპტიმიზმით შეგყურებთ. აქ უამრავი ბავშვია, ზოგი ჩვენზე ცელქია, ზოგს – ჩვენ ვჯობივართ. გვაქვს შეჯიბრი, დაეჯლიგინობთ აღმა-დაღმა და მამიკო კი გეყარაულობს. მერე მამიკო და დედიკო დაგვდევენ, რომ როგორმე შინ შეგვრეკონ საჭმლის საჭმელად; ამ ჭამაშიც კაი დიდი ომია გადასახდელი... მხოლოდ ორი-სამი საათით ვაძლევთ მათ შესვენებას, როცა შუადღისას გვიძინავს. დამე კი იმდენჯერ ვიძობთ საბანს, რომ დათვლაც კი გაგიჭირდებათ და ამ სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლა ჯერჯერობით წარუმატებელია. ბესოსა და დათოს ერთ საწოლში გვიძინავს, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის ხელჩართული ბრძოლების საწარმოებლად: ხან – ფეხებით და ხანაც – ყველა სახის ილეთებით. ჩვენი საომარი ველი ანუ საწოლი მუდმივად აქოჩრილ-აზვირთებულ ზღვას ჰგავს, ისეთივე მუდმივად მბორგავია და შფოთით აღსავსე.

სხვა ახალი ამბები აქეთ ნაკლებადია. რადიოს მოკლებული ვართ, გაზეთებს ვერ ვმოულობთ და ხანდახან თვის რიცხვის გასაგებადაც კი დიდი გაკითხვ-გამოკითხვა გჭირდება. ამით იყო გამოწვეული ცდომილება ჩვენი პირველი წერილის დათარიღებაში. ის დაიწერა არა 10 ივლისს, როგორც აწერია, არამედ 9-ში. თუმცა ამას არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რადგან, მეტად მდგრადი პროვინციული ადათ-წესების მიხედვით, მაღაზიებს, ფოსტას, აფთიაქს და ასე შემდეგ, ადებენ და კეტავენ, როცა მოესურვებათ; ამიტომ ჩვენს წერილებს როდის გამოგზავნიან, დემეტმა უწყის და ნუ დაგვემდურებით.

ახლა კი ორი პატარა ცუდლუტი ემშვიდობება გულითადად ვენერა ბებიასა და გულიკო მამიდას და ყოველივე სიკეთეს უსურვებს.

თქვენი ბესარიონ და დავით ომაძეები გკოცნიან ბევრს.

წერილი № 3 1980 წლის 15 ივლისი [ბაკურიანი]

სალამი და კარგად ყოფნა ჩვენს საყვარელ ბებიასა
და მამიდიკო გულიკოს!

ცოტა დაგიგვიანეთ წერილი, მაგრამ ეს იმით აიხსნება, რომ ჩვენი ცხოვრება ისეთი მონოტონურია, რომ ახალს ბევრს ვერაფერს მოგახსენებთ. ყოველდღე იგივე მეორდება – მზე ამოდის, ნათდება, მერე ჩვენც ვდგებით ყოველივე სულდგმულთან ერთად, ვჭამთ, ვსვამთ, დავრბივართ, ხანდახან – დედიკოსა და მამიკოს ვაბრაზებთ. მერე მზე ჩადის, ბნელდება და ჩვენც ვისვენებთ და ვასვენებთ მშობლებსაც. ეს რამდენიმე დღეა, მზე თვალთ არ გვინახია, გუშინ წვიმამ მოუსწირა, დღეს დილით კოკისპირულად დასცხო, ახლა კი, შუადღეზე, სქელი ბურუსი ფარავს ახლომახლო ყველაფერს. ჩვენში დარჩეს და, გარემო არც ისე მიმზიდველია, რომ მისი უხილველობით გული დაგვწყდეს. ისე კი, რა თქმა უნდა, დარი სჯობს – მამიკო ცოტა გაცივებულია და არც ჩვენ გვაწყენდა მზით გამთბარი ჰაერი. საკმაოდ ვიცვალეთ ფერი ორთავემ, გავმუქდით, ამასთანავე, კიდევ უფრო გავცუდლუტდით, განსაკუთრებით – ბატონი ბესარიონი. სულ გარეთ გვინდა ცუნცული, დიდი ხვეწნა-მუდართით და ხანდახან წელქვევით ხელის მოტყაპუნებითაც თუ შემოგვრეკავენ შინ საჭმელად ან დასაძინებლად. საჭმელი ჯერჯერობით არ გვაკლია, მოკლე ხანში მხოლოდ კარაქის საჭიროება შეგვექმნება. ბაზარი ისეთი ძვირია აქ, რომ წარმოდგენაც კი ჭირს. ჯერჯერობით მხოლოდ მწვანინდს ვყიდულობთ იქ. რძე, რამდენიმე დღეა, არ გვერგო, დედიკოს ტყუილად შერჩა დილით რიგში დგომა.

ასე მიდის ჩვენი მოსაწყენი ცხოვრება. ყველაპავეთ მაღალი მთის ჰაერს და მხოლოდ ამით შეიძლება გაგამართლოთ ჩვენი აქ ყოფნა. და ისეთი ნესტიანი ამინდია, რომ წერილის გაგრძელების ხალისიც კი არ გვაქვს. ამიტომ ამით ვამთავრებთ. მომავალში უკეთესს და უფრო მხიარულ წერილს გპირდებით.

ნახვამდის, გოცნით ბევრს,
თქვენი პატარა ბესარიონი
და
დავითი.

წერილი № 4 1980 წლის 17 ივლისი [ბაკურიანი]

სალამი თქვენდა!

საყვარელო ბებიკო და მამიდა გულიკო, უკვე რამდენიმე დღეა ამ დალოცვილ ბაკურიანში სულ წვიმს, მთებზე ნისლეები დაბობდავენ და ძალაუნებურად სულ შინ ვისხედით. დღეს ბრდღვიალა მზემ გამოგვაღვიძა და გუნებაც გაგვიხალისდა. იძულებული უმოქმედობის ჟამს მამიკომ მაღაზიაში იყიდა სასკოლო ალბომი და იაფფასიანი აკვარელი, უსახური პატარა ფუნჯი და დაიწყო ჩვენი გართობა. იქნება, წამით თქვენც გაერთოთ ამ პატარა ნაცოდვილარს რომ შეხედავთ. მერე სხვებსაც გამოგიზაფრით, ცოტა ამაზე უკეთესებს. დედიკომაც მოსინჯა თავისი ძაღვები და იმან ხომ სულ მთლად შედეგრი შექმნა.

სხვა, ჩვენ ქე ვართ გვარიანად. ბავშვები აქ მრავლადაა, იქნება ოცდაათამდე, თითქმის მხოლოდ ბიჭებია რატომღაც. ყველაზე დიდი მოსავალია გიორგებისა (გია, გოგა და ასე შემდეგ), არის რამდენიმე დათოც, ხოლო ბესარიონი მხოლოდ ერთია.

ამ ღვთისგან დალოცვილ დაბაში ბევრი არაფერია ღირსშესანიშნავი. ტაქსების მაგივრად აქ დადიან ორცხენიანი ფაეტონები, რომლითაც მგზავრობა ნახევარ კილომეტრზე იმდენივე და უფრო ძვირიც კი ღირს, ვიდრე ბაკურიანიდან თბილისამდე ავტობუსით მგზავრობა.

კარაქი ვიშოვეთ მაღაზიაში, კილო 5 მანეთად, გემოთი მოგვწონს, მომჟავოა (შეგვეშალა, მაღაზიაში კი არა – სასადილოში, ასე რომ, თუ ბაკურიანის სასადილოში კერძი გეუბემურთ, ამაში ჩვენი წვლილიც იქნება).

ახლა კი გარეთ გვეჩქარება, მზეზე, დროებით გემშვიდობებით და გოცნით ბევრს,
თქვენი პატარა ონავრები
ბესარიონი და დათო.

წერილი № 5
1980 წლის 18 ივლისი [ბაკურიანი]

გამარჯვება, გამარჯვება!

ვესალმებით ბებიკოს და მამიდიკო გულიკოს მორიგი წერილით, თუმცა წესიერად არ ვიცით, რაღა უნდა მოვწეროთ. რადგან არც კარგი ლამაზი ხედებით დაიკვებნის ბაკურიანი, მამიკოს ვთხოვეთ, დაგვიხატოს ხოლმე, რაც გაახსენდება. ეს პირველი ცდაა მისთვის ამ დარგში და, იმედია, მოწყალედ შეხედავთ უმწიფარი ხელის პირველ ნაყოფებს.

ამინდები კარგი დაგვიდგა, მაღას არა უშავს, ჩვენც არა გვიჭირს რა. გასართობი ბევრი არაფერი გვაქვს, დაგვრბივართ სუფთა ჰაერზე, მსოფლიო პრობლემებით დიდად არ ვიწუხებთ თავს, არც რადიო გვიწყალებს გულს, არც გაზეთები გვიტყვიან თავს – მხოლოდ დღეებს ვითვლით და განგარიშობთ: ბაკურიანის შემდეგ საით მოვუსვით აგვისტოში. ჯერჯერობით ვერაფერი გადაგვიწყვეტია.

დედიკო დილაობით 6 საათზე მიდის რძის რიგში ჩასადგომად და ზოგჯერ ათის ნახევარზე ბრუნდება. ამიტომ დილის ფაფა დღესაც დაგვიგვიანდა, მხოლოდ 11 საათზე გეახელით, მაგრამ სამაგიეროდ, მანამდე ატამი მივირთვით და გვესიამოვნა ძალიან. თბილსიდან წამოდებული პომიდორი გუშინ გაგვითავდა, კიტრი – გუშინწინ, დანარჩენი ყველაფერი გვაქვს.

ამ დღეებში – სამშაბათს ან ოთხშაბათს – გვინდა, ბორჯომში წავიდეთ, პატარა მატარებლით გავისეირნებთ. ჩვენ ყოველდღე გავისეირნებთ ხოლმე ბაკურიანის ფოსტისკენ და წერილს გიგზავნით. წინა წერილი ბატონ ბესარიონს მოჰქონდა და ყუთშიც იმან ჩაუშვა, დღეს ეს საპატრიო მოვალეობა ბატონ დავითს აკისრია.

დღეს ბარემ მაღაზიაშიც გავივლით და თუ გასაბერი ბუშტები იქნება, დიდად გავიხარებთ. სათამაშოები აქაურ უნივერსიტეტში თითქმის სრულებით არ იშოვება. მამიკომ კიდევ ერთი ყუთი აკვარელის საღებავებისა უნდა იყიდოს, რადგან ფუნჯი ძალიან მალე ფუჭდება (უკვე ორი ცალი ვიხმარეთ).

ტყეში ჯერ არ ვყოფილვართ, თუმცა სულ ახლოსაა – წვიმების შემდეგ სინესტე იქნებოდა. პეპლები არის, მაგრამ სულ ნაცნობები, თანაც – სახეობებით ღარიბი. შეიძლება, შემდეგ გამოჩნდნენ ახლები და ჩვენს კოლექციას შევავსებთ.

ახლა კი გემშვიდობებით, გისურვებთ ყოველივე სიკეთეს და გკოცნით ბევრს.

თქვენი პატარა ყალთაბანდები: ბესარიონი და დავითი.

წერილი № 6
1980 წლის 19 ივლისი [ბაკურიანი]

კიდევ ერთი გამარჯვება,

ჩვენს საყვარელ ბებია გენერასა და მამიდა გულიკოს!

გწერთ თქვენი ძველი ნაცნობები: ბატონი ბესარიონი და ბატონი დავითი. ჩვენ ძალიან კარგად ვართ. ერთი წუთით მამიკო ბატონ ბესარიონს ეხმარებოდა მეზობლის დატოვებულ სათამაშოს გაწყობაში და ამ დროს ბატონმა დავითმა იხელთა დრო და პირადად დაატყო ამ წერილს თავისი ხელი. *(ფურცლის ამ გვერდზე დათუნას ხელით დატოვებული ნაჯღაბნია – მანაც მონიღომა “წერილის მოწერა”).* ალბათ ძალიან საიდუმლოს რასმე გატყობინებთ, რადგან დანარჩენებმა ამ იეროგლიფებს ვერაფერი გაუგებთ.

მაშ ასე: ამინდი მზიანი, ოდნავი ნიავიც ქრის, ფრიად სასიამოვნოდ; სადილამდე ერთი საათი რჩება და ჩვენ წვანე ეზოში დაგკუნტრუშობთ სხვა ბავშვებთან ერთად. პერსპექტივაში გვაქვს გუშინდელი ბორშიის მირთმევა და შუადღის ძილი. შემდეგ – გამოღვიძება, ისევ ბორშიის მირთმევა და გასეირნება ფოსტისკენ ამ წერილის გამოსავგზავნად. შემდგომ ამისა, ვიანცებთ სუფთა ჰაერზე, სანამ მაწვნის მირთმევის დროც მოვა. ამას მოჰყვება ტკბილი ძილი და სასიამოვნო სიზმრები. ასეთია ჩვენი დღის პროგრამა.

ძალიან მოგვენატრეთ, ერთი სული გვაქვს, სანამ ჩამოვალთ. თქვენი წერილი ჯერჯერობით არცერთი მიგვიღია, ნუთუ თქვენ არ მოგვენატრეთ? ბებიკო, რამდენი ხანია, შენთვის არ გვიკოცნია; მამიდა, როცა ჩამოვალთ, ბევრს-ბევრს გაკოცებთ, ახლა კი გემშვიდობებით და ყოველივე სიკეთეს და ჯანმრთელობას გისურვებთ.

თქვენი ბესარიონი და დავითი.

წერილი № 7 1980 წლის 20 ივლისი [ბაკურიანი]

გამარჯობა, საყვარელო და სანატრელო ბებიკო და გულიკო მამიდა!

გუშინ ჩვენ მივიღეთ ბებოს (და ანიკო ბებიასა და ნათელა მამიდას) წერილები, რისთვისაც დიდ მადლობას მოგახსენებთ. ჩვენი წასვლა-წამოსვლის საქმე აგვისტოს თვეში ჯერჯერობით გაურკვეველია და თბილისში ჩამოსვლამდე ალბათ ასევე დარჩება. რა თქმა უნდა, ანასეულში* წასვლა კარგი იქნებოდა, მაგრამ, მეორეს მხრივ, ჩვენ ნამეტანი ცვლქები ვართ და არ გვინდა, იმ პატიოსანი ხალხის შეწუხება. თანაც, დედიკოს მისცემენ თუ არა შვებულებას აგვისტოში, ცნობილი არ არის...

ჩვენ ვართ ძველებურად. დღე დღეს მისდევს, ჩვენ უფრო და უფრო ვშავდებით, უფრო და უფრო ვცვლქდებით.

ძალიან ხშირად ვაბრაზებთ დედიკოსა და მამიკოს, არ ვუჯერებთ, გვიყვარს ჭუჭყიანი ყოფნა, ნაგავს აუცილებლად ვიპოვით და შესაშურ კოლექციასაც მოვაქუჩებთ. მაღე, ათიოდ დღეში, გნახავთ და თვითონ დარწმუნდებით ჩვენს ფერისცვალებაში. დედიკო და მამიკო კარგად არიან. მამიკო ჩვენ გემწყემსავს, დედიკო კი უმეტესად შინ საქმიანობს. აი, ახლაც სადილის დრო მოვიდა და ბორშნი უნდა მივირთვათ. ამიტომ დროებით გემწვიდობებით და ყოველივე სიკეთეს, დღეგრძელობასა და ბედნიერებას გისურვებთ თქვენი პატარა

ბესარიონ და დავით ომაძეები.

* ანასეულში (ოზურგეთთან) იყო გათხოვილი ჩემი დეიდაშვილი ნათელა კალანდაძე.

წერილი № 8 1980 წლის 21 ივლისი [ბაკურიანი]

გესალმებათ ორი პატარა ცვლქი – ბესარიონ და დავით, და ვჩქარობთ მოგახსენოთ ჩვენი კარგად ყოფნის შესახებ. აქ რაღაც არეული ამინდებია და ეს არის ერთადერთი ცვალებადი რამ ჩვენს ცხოვრებაში. სულ რაღაც ათი დღე დარჩა თქვენთან შეხვედრამდე, თუ, რა თქმა უნდა, ვერ მოვახერხებთ რამენაირად ხოტა ხნით კიდევ აქ დარჩენა. აქ ძალიან ბევრი ბავშვია, ბაკურიანი თურმე დიდად პოპულარულია მთელ საქართველოში. თბილისს ვინდა ჩივის, სამტრედიიდან და ქობულეთიდანაც კი არიან; თათრები, სომხები და ვინდა აღარ არის აქ. კერძო ბინის დაქირავება ძალიან ძვირი ღირს – 150-200 მანეთი.

ხვალ, თუ კარგი ამინდი იქნა, ბორჯომს უნდა ვესტუმროთ, პატარა გუგული-მატარებლით უნდა ვიმგზავროთ. გუშინ კი კინოში ვიყავით ჩვენს სიცოცხლეში პირველად და ვნახეთ ჩეხური კომედია “გამოთვლილი ბედნიერება”. დიდი ვერაფერი შვილი იყო, მაგრამ ჩვენ მაინც გავერთეთ – ვნახეთ ძაღლები ბლომად, პიპიების რბოლა, ჭიდაობა და მეტი რაღაც გვინდოდა. დედიკოსა და მამიკოს ძალიან გაუკვირდათ, რომ სეანსის ბოლომდე გაგველით და ბოლომდე ვაყურებივით. ისე კი, იქაც მოახერხა ბატონმა ბესარიონმა ასაწეე სკამში თითის მოჭეკვა და ხანმოკლე წკმუტუნის ასტეხა, მაგრამ მაღე დაშოშმინდა, რადგან ეკრანზე დიდად საინტერესო ამბები დატრიალდა.

კარგად გნახეთ მაღე.

გაოცნით თქვენი პატარა ბესარიონი და დავითი.

წერილი № 9 1980 წლის 23 ივლისი [ბაკურიანი]

სალამი და გამარჯვება – ჩვენს საყვარელ და
სანახავად სანატრელ ბებიკოს და მამიდა გულიკოს!

ჩვენ ვართ სულ უკეთ და უკეთ, რასაკვირველია; დიდი მსოფლიო პრობლემები არ გვაწუხებს, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ხანდახან, როცა ჩვენ გვინდა, ეზოში არ გვიშვებენ და მოვაწყოთ ხოლმე პატარა აჯანყების მსგავსს, რომელიც წარმატებით იშვიათად ბოლოვდება. ხან წვიმს, ხან უნდა გვჯამოთ, ხან ძილის დროა... დანარჩენ დროს კი ეზოში ვატარებთ ვიმრავლებთ გადატყაულ მუხმებს, ხანდახან – წავიტირებთ კიდევ, მაგრამ უმეტეს დროს მაინც მზე ჩახახახებს ჩვენს ცარგვალზე.

გუშინ გუგული მატარებლით ვინახულეთ ბორჯომი, საათნახევარი დაგყავით იქ და ისევ მატარებლით წამოვჩაქაქდით ბაკურიანს. ბორჯომმა ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება ვერ დატოვა, საშინლად ცხელოდა, უფრო მოგვეწონა გზა. უნდა ითქვას, რომ მეტად ნელა მიიზღაზვნება მა-

ტარებელი – ორ საათს უნდება გზას და საკმაოდ კარგად დავათვალიერეთ ტყით შემოსილი მთები და თვითონ ტყეც. ზოგჯერ რომ პირდაპირ რკინიგზას მიუყვება და ტეტებს, შეიძლება ან-ჯვრიდან მისწვდეს. ვიყიდეთ ცოტა ხილი და პომიდორი, ყველი და ხორცი ვერ ვიშოვეთ. ასე და ამგვარად მისის დღეები.

ხანდახან ბესარიონ ბატონს, როცა სადამოს სიცხეს ვუზომავთ და 37,2 გრადუსია, სრულიად არ ნაღვლობდა გვიჩვენებს: დაფეთხეთ თერმომეტრი და ნაკლები იქნებაო. ასეთი შემთხვევები სულ უფრო ნაკლებია, ბატონი ბესარიონი გააკაუბულია კვე სავსებით საკმაარისად, მაგრამ ცოტა ხანს აგვისტოშიც რომ აქ ვიყოთ, ეს იქნება საუკეთესო ამბავი. ბატონი დავითიც გაცუდლუ-ტებულისა: როცა გალახვას დაგუპირებთ, მოფერებას დაგვიწყებს, ჩაგვეხუტება. დღეს ორივე პირველად გავედით მზეზე მხოლოდ მაისურებით. ცოტა ნიაგი კია, მაგრამ მზე მაგრად აცხუნებს და არ გვეშინია.

ნახვამდის, გისურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერებას, გეცნით ტქვენი პატარა ბიჭუკელები

ბესარიონი და დავითი.

წერილი № 10 1980 წლის 24 ივლისი [ბაკურიანი]

სალამი და დღეგრძელობა –

ჩვენს საყვარელ ბებიას და მამიდა გულიკოს!

ვართ ძველებურად, ჩვენებურად, დრო და ჟამი კი მიდის თუ მიდის. გუშინ ვიყავით ტყეში, ვირბინეთ ბლომად წიწვებით მოფენილ რბილ მიწაზე, ვიპოვეთ დიდი სოკო, მაგრამ არ ვიცოდით, საჭმელი იყო თუ არა და ციყვებს დაგუტოვეთ. ციყვები აქ თურმე არის, თუმცა ჩვენ არცერთი დაგვინახავს, სამაგიეროდ, ვნახეთ ცხენები, ღორები ბლომად, ქათმები და ინდაურები, ძროხები და ასე შემდეგ. რაღა ტყეაო, იტყვიან თქვენ და მართალიც იქნებით – იქაურთა მოუფლელია, ნაგვითაა სავსე. სხვა დროს, როცა მეტი ხნით წამოვალთ ტყეში, უფრო დრომად შევალთ, იქ ყოველმხრივ უკეთესია.

დღეიკომ მიიღო წერილი ანანურიდან, უფრო სწორედ – ოთხი წერილი იღო ერთ კონვერტში – ბებია ვიქტორიასი, დეიდა ნათელასი, გიასი და მალხაზის*. ისინი გვეპატიუებიან, ანანურს ავიდეთ აგვისტოში. ვნახოთ, რომელი ვარიანტი გამოგვადგება, ყველაზე უკეთესი კი, რასაკვირველია, ის იქნება, თუკი დაფრჩხებით ბაკურიანში კიდევ ორიოდ კვირა მაინც. აქ ისე გრილა, რომ ასკილი ყვავილობს, ალუბალი ასანთის თავის ოდენაა, ვაშლი – თხილის ოდენაზე ოდნავ დიდი. ჩვენ სილის დიდ გროვას მივავებით და ვიქექებოდით შიგ, სადამოს ლახათიანდ ვართ ამოგანგლულები. აბა, რა ვქნათ, სხვა გასართობი აქ არაფერია – უნდა ირბინო ზევით-ქვევით, მერე კი მაგნეტიზმის ძალით ისევე გვიზიდავს აკრძალული ადგილი, სადაც თითქმის ყველა აქაური ბავშვი დიდი გულმოდგინებით აშენებს სილისგან “ქალაქებს”...

რძეს, კარაქს და ასე შემდეგ ვშოულობთ, ყველი ჯერჯერობით გვაქვს, ასე რომ, ღვთის წყალობით, არაფერი გვიჭირს.

ახლა კი თქვენი პატარა ცუგრუმელები გემშვიდობებით და ყოველივე კეთილს გისურვებთ.

თქვენი
ბესარიონი
და
დავითი.

* ვიქტორია, დეიდა ნათელა, გია და მალხაზი – ლიას დედა, და და დისშვილები.

წერილი № 15 1980 წლის 13 აგვისტო [ბაკურიანი]

სალამი, ჩვენს საყვარელ ბებიას და მამიდა გულიკოს!

რამდენიმე დღე ვერ მოვიცალეთ წერილის მოსაწერად და ბოდიშს ვიხდით. ბატონ ბესარიონს პატარა შეაცვივა (თუ შეაცხელა?) და სიცხე მისცა 39,0 გრადუსი, მაგრამ მეორე დღესვე დაუგარდა და ახლა ყოჩაღად არის. დღეს დილით დედიკო წავიდა ჟოლოს მოსაკრეფად, მოიტანა 1 თუ 1,5 კილო (ილევა უკვე) და ჩვენ კი მამიკომ წავგიყვანა ძველ ეზოში. იქ ბევრი ვირბინეთ, მზეზეც გავიხრუკეთ საკმარისად. ამას წინათ კი კარგა გრძელი გზა გავიარეთ, ვნახეთ მედიების ფერმა, შემდეგ ტყეთი დაგბრუნდით შინ. გაპირებთ, ყოველდღე გავისეირნოთ ტყეში, თუკი ამის საშუალებას ამინდი მოგვცემს. აი, ახლაც, თაკარა მზიანი ამინდის შემდეგ, მოიდრუბლა და დღის ოთხის ნახევარზე დაუშვა შესაპუნა წვიმამ. მამიკომ და დედიკომ უკვე სამჯერ მიირ-

თვეს შემწვარი სოკო, ჩვენ არ გვაჭამეს. აპირებენ, დაამწნილონ კიდევ, მაგრამ რეცეპტი არ იცინ. კიდევ უფრო უკეთესი იქნება, თუ სოკოს მარინადის რეცეპტსაც მოგვწერთ საჩქაროდ. მამამ ამას წინათ მოიტანა 1 კილომდე თელას სოკო, რომელიც შესანიშნავია ამ მიზნით. აქ ყოლოსა და სოკოზე გაცხარებული ნადირობაა, ტყე სავსეა ხალხით. თუ მამილიკო გადაწყვეტს წამოსვლას ჩვენს სანახავად, კარგი იქნება, ძალიან მოგვენატრეთ ორივენი.

ახალ ადგილზე კარგად ვართ, თუმცა ძველზე უკეთ ვიყავით (ერთი რამის გამოკლებით – იქ ისეთი ცუდი საწოლები გვქონდა, რომ ახლა ამის მოგონებაც კი უსიამოვნოა ჩვენთვის). როცა მამიკო მამიდამ გამოაცილა დიდუბის სადგურზე, იმავე ვაგონში ავჯალაში ამოვიდა როინი, ზაქარიასა და ნანულის უფროსი ვაჟი. მას მამიკომ ჩააწერინა ჩვენი ახლანდელი მისამართი და ორი დღის უკან ნანული და როინი ამოვიდნენ ჩვენს სანახავად, საკმაოდ მაგრად დატვირთულნი (საზამთრო, ქლიავი, მსხალი, მწვანე ლობიო, 1 ბოთლი ღვინო, ქათამი – ცოცხალი, მწვანე ღი და კიდევ რაღაც-რაღაცეები). დარჩნენ ჩვენთან ორ საათს და გაბრუნდნენ უკან.

აი, ეს არის ჩვენი უკანასკნელი ახალი ამბები.

ახლა კი გემშვიდობებით, ყოველივე სიკეთეს გისურვებთ და გკოცნით ბევრს თქვენი პატარა ბიჭუკელები: ბესარიონი და დავითი.

გთხოვთ, სოკოს მარინადის და მწნილის რეცეპტები დროულად მოგვწეროთ!

**ბესარიონი და დათუნა –
ბებია ვენერასა და მამიდა გულიკოს,
ბაკურიანი, 1982 წლის 10 ივლისი – 25 აგვისტო**
(ადრესატის მისამართი: თბილისი, ახმეტელის ქუჩა №6)

**წერილი № 1
1982 წლის 10 ივლისი [ბაკურიანი]**

საყვარელო ჩვენო ბებიკო და მამიდა გულიკო!

მოგახსენებთ, რომ ვიმგზავრეთ გვარიანად. ბაკურიანში ვიყავით ოთხის თხუთმეტ წუთზე. ცოტა ბარგის თრევაში გავწვალდით, მაგრამ ყველაფერი კეთილად დასრულდა. აქ კარგი ამინდი დაგვხვდა, დღესაც დილიდანვე მზე ბრდღვიალებს. ცოტა გვიან ავდექით, კარგად გამოვიძინეთ.

გულიკო მამიდა, შენთან რამდენიმე თხოვნა გვაქვს.

1. გერმანე ბიბია გადმოგცემს ჩვენი ბინის და საფოსტო ყუთის გასადებს. როცა მოიცლი ხოლმე, გთხოვთ, გაზეთი ამოიღო (ნანულის ან სხვა ვინმეს თუ დაავალდებ, შარშანდელივით გაზეთებს დაგვიკარგავენ).

2. გთხოვთ, აგრეთვე, მორწყა ხოლმე გვარიანად ყვავილი, რომელიც სამზარეულოში ფანჯრის რაფაზე დგას.

3. საფოსტო ყუთში შეიძლება იყოს ტელეფონით მოსკოვთან ლაპარაკის ორი ქვითარი და გთხოვთ, გადაიხადო.

4. გთხოვთ, იყიდო ბალონი, მწერების საწინაღმდეგო, სამეურნეო მაღაზიაში და კუთხე-კუნჭულებში დეზინფექცია ჩაატარო (განსაკუთრებით – გაზის ქურის რაიონში).

5. მამიკოს დარჩა გადმოუცემელი შენთვის კარაქის 3 ტალონი, რომლებიც დევეს შესასვლელთან რომ ფეხსცმელების შესანახი ყუთია, იმის თავზე, გაზეთის ქვეშ. გთხოვთ, იყიდო კარაქი და შეგვინახო. როცა მამიკო აგვისტოს დასაწყისში ჩამოვა მანდ, წამოიღებს.

ძალიან ბოდიშს ვინდით, რომ ასე გაწუხებთ. დიდი მადლობას მოგახსენებთ ყველაფრისთვის, გისურვებთ ყოველივე სიკეთეს და ჯანმრთელობას. გკოცნით თქვენი პატარა ბიჭუკელები:

ბესარიონი და დათუნა.

ხანდახან, როცა მოიცლით, წერილის მოწერა ნუ დაგეზარებათ. ჩვენი მისამართია:

383736 ბაკურიანი, მთის ქ. №36,

გეორქოვი ვარა

(სოსო ომაძისთვის).

წერილი № 3
1982 წლის 15 ივლისი [ბაკურიანი]

გამარჯვება, ჩვენს საყვარელ ბებიას და მამიდა გულიკოს!

გწერთ პატარა ცუდღუტები და გატყობინებთ ჩვენს ამბავს. თავს მშვენივრად ვგრძნობთ, თუ არ ჩავთვლით ნაფხაჭუნებს მუხლებზე და კიდევ დილაობით ფაფის ჭამას. საჭმელი ჯერჯერობით არ გვაკლია, ვიყიდეთ 10 კილო კარტოფილი და აწი არაფერი გვიჭირს. ცოტა ამინდებს ვუჩივით – თითქმის ყოველდღე ბურუსია, რომელიც, მართალია, შუადღეზე იფანტება და მზე გამოიჭყიტავს, სადამოს კი ისევ იბურება ყველაფერი. ერთი-ორჯერ წვიმამაც “გაგახარა”. თბილისში მაგარი სიცხეები ყოფილა, აქ კი ხანდახან თბილადაც კი ვიცვამთ. ასეთ მიდის ჩვენი საქმეები. მაინც კმაყოფილები ვართ. დავიბრაწეთ მზეზე. სულ ეზოში გვინდა ყოფნა და საჭმელადაც კი დიდი ომით ავყავართ ოთახში. ვიჩიქნებით მიწაში და დღეში სულ ცოტა სამჯერ გვჭირდება ტანსაცმლის გამოცვლა. შუადღეზე ცოტას წავუძინებთ და მერე ისევ განვაგრძობთ ახალი ძალით ჩვენს ცუდღუტობას.

ახლა კი გემშვიდობებით თქვენი ცუდღუტელები და გისურვებთ კარგად ყოფნას და ბედნიერებას.

თქვენი ბესარიონი და დათუნა.

წერილი № 4
1982 წლის 20 ივლისი [ბაკურიანი]

სალამი და გამარჯვება ჩვენს საყვარელ ბებიას
და გულიკო მამიდას!

ვართ ჩვეულებრივად, ოღონდ ამინდებმა მოგვშხამა – სულ ბურუსია, შიგადაშიგ წვიმასაც გამოურევს – მრავალფეროვნებისთვის. ტალახი, ტალახი, ტალახი... სინესტე, სინესტე და სინესტე... ვზივართ წრუწუნებით სოროებში. ჩვენს მეზობლად ბათუმიდან ჩამოსულები ცხოვრობენ 2 ბავშვით და ბატონმა ბესარიონმა უკვე აჭარული კილოთი დაიწყო საუბარი. ორივემ მაინც მოვასწართ დაბრაწვა და დათუნას რომ ზურგზე დაეწვა, იმან მოასწრო მორჩენა. მზე კი არ ჩანს.

საჭმლის მხრივ არა გვიშავს. დედოკომ ორი დღის უკან ხაშურში იყიდა სამი ვარიკა თუ წიწილა. ერთი ცოტა მოზრდილია და ალბათ ამ დღეებში ესტუმრება ჩვენს კუჭებს. კარაქი სამყოფად გვაქვს, ხილიც – ვაშლი, მსხალი, ზოჯერ ალუბლსაც ვყიდულობთ. გასართობი აქ მაინც ცდამაინც ბევრი არაფერია; მთავარი მიმზიდველობა აქაურებისა ტყვა, იქ კი ვერ დავდივართ წვიმების გამო.

ძალიან მოგვენატრეთ, ველით თქვენს წერილს, გკოცნით ბევრს, თქვენი პატარა და დიდი ცუდღუტები

ბესარიონი

და

დათუნა.

(რომელია დიდი და რომელი პატარა, ამაზე შეჯიბრი გვაქვს გაჩაღებული და პაექრობა გარდამავალი უპირტესობით მიმდინარეობს).

წერილი № 5
1982 წლის 22 ივლისი [ბაკურიანი]

სალამი ჩვენს საყვარელ ბებიას
და გულიკო მამიდას!

გწერთ ისევ და ისევ წვიმს ბაკურიანში, ისევ ნისლია, ცივა, მზე მოგვენატრა. ჯანზე კარგად ვართ, გაქანებული ვცუდღუტობთ და ხნდახან მოგვცხებენ კიდევ ერთ ადგილზე წამლად. გუშინ მამიკო ტყეში წვიდა და ცოტა მერცხალასოკო მოიტანა, რომელიც იმავე ს ღამოს შეიწვა. ცოტა ჩვენც გაგვასინჯეს. ზოგიერთი სოკო ორიგინალური ფორმის იყო, ორი მათგანი მამიკომ დაგიხატათ.

ჩვენი დღე ძალიან ერთფეროვნად მიდის: გაღვიძება, ჭამა, დერეფანში თამაში (ეზოში ტალახია და წვიმს), მერე ისევ ჭამა, შუადღის ძილი, გაღვიძება, ჭამა, ცელქობა დერეფანში, ძილის წინ ჩაის დაღვევა ან ვაშლი და ძიი მეორე დილაამდე. ხილი ჩვენი ისევ და ისევ ვაშლია ხანდახან – მსხალი. ტყის ნობათი ჯერჯერობით არაფერია, ისე კი მარწყვი უნდა იყოს უკვე, მაგრამ გადაუღებელ წვიმიანობაში რა დაამწიფებს. გავფურებთ დაბურუსებულ მიდამოს (მთები კი არა,

ახლი სახლები რ ჩანს ზოგჯერ) და თბილისური სითბი გვენატრება. თქვენც ძალიან გვენატრებით.

გოცნით თქვეი პატარა ბიჭუკელები
ბესარიონი
და
დათუნა.

წერილი № 7 1982 წლის 27 ივლისი [ბაკურიანი]

სალამი ჩვენო საყვარელო და სანახავად სანატრელო ბებიკო
და მამიდა გულიკო!

ვართ ჯგირთო, მადლობა ღმერთს, გუშინ და დღეს არ უწვიმია. ჯანზე კარგად ვართ; ეს ერთია, დაუბანლები ვართ ტანზე და ერთი კარგად დათბობას ველით. დამე თბილი საბნები გვასურავს და მაინც არ გვცხელა. დღეში ხუთჯერ ამოვიგანგლებით სოლმე. ხანდახან კი არა და, ძალზე ხშირად წყალი არ მოდის, გაშრობასაც რამდენიმე დღე უნდა ამ უამინდობაში. ჰოდა, წარმოიდგინეთ ჩვენი მდგომარეობა. საჭმელი არ გვაკლია, ჰაერი მშვენიერია – რაღა უნდა კიდევ აღამიანს!

ცოტა მოწყენილები კი ვართ, დღეები ერთფეროვანია და მონოტონური. ამიტომ ნუ გეწყინებათ, თუ ასეთი მოსაწყენი წერილები გამოგვდის.

ახლა კი გემშვიდობებით და ყოველივე სიკეთეს გისურვებთ თქვენი პატარა ყურუმსადები
ბესარიონ
და
დათუნა
ომაძეები.

წერილს რატომ არ გვწერთ?

წერილი № 8 1982 წლის 29 ივლისი [ბაკურიანი]

სალამი ჩვენო საყვარელო!

ისევ ჩვენ ვართ, პატარა ცუგრუმელები, ხანდახან – ცუდლუტები, ხანდახან – ოინბაზები, ხანდახან – ცირკის მასხარები, ხანდახან... და ასე შემდეგ. მივიღეთ თქვენი პირველი წერილი, დიდ მადლობას მოგასხენებთ. პიანინო – გაგვიხარდა, აწი არაფერი გვიჭირს: ჭირშიც და ლხინშიც ვუტყაპუნებთ თითებს და ვიქნებით ბედნიერნი.

ჩვენ ვართ ძველებურად. ისევ ისე: ხან მიგვტყუებენ გმირობისთვის, ხან – მოგვეფერებიან. ხან – წვიმს, ხან – მზე გამოიჭყიტავს – ნუ გეშინიათ, სულ კი არ დაგკარგულვართ. საჭმელსასმელი არ გვაწუხებს, ჯანი – მით უმეტეს, სხვა რაღა გვინდა კიდევ? კიდევ გვინდა ხანდახან თქვენი წერილი მივიღოთ...

ახლა გემშვიდობებით, ჩვენო კარგო ბებიკო და მამიდიკო გულიკო, გოცნით ბევრს, თქვენი პატარა ცუდლუტები

ბესარიონ
და
დათუნა
ომაძეები.

წერილი № 9 1982 წლის 2 აგვისტო [ბაკურიანი]

ჩვენო საყვარელო ბებიკო და მამიდა გულიკო!

დათუნა გვწერთ: მამიკოს გამოატანე შოკოლადები, კამფეტები, სათამაშოები, ბურთები. სურათი ჩამოგვიტანე, სურათი კი არა, დურბინდივით, ორი თვალი რომ აქვს, გასაჭყეტი. ცირკის მამალი ჩამოგვიტანე, ბუთხუზა როა, მამალი ყიყლიყო, კაი სათამაშოები და კაი კამფეტები ჩამოგვიტანე, ციყვი ჩამოგვიტანე და ზაზუნა, გალიაში რომ იჯდა. ორი წითელი პიპია ჩამოგვიტანე და პისტოლეტი.

ბესარიონ გვწერთ: კარგი და ლამაზი და ბევრი სათამაშოები ჩამოგვიტანე და ერთი ლამაზი, დიდი ბურთი გასაბერი, ჩვენ რომ ერთმა გოგამ გაგვიხეთქა, ისეთი. მე კიდევ მინდა სათამაშო

საათი, რომ იქოქებოდეს და ზარი ქონდეს. კიდევ, მე მინდა პატარა სათამაშო მთვარე; კიდევ, მე მინდა, მრგვალი რომ არის და ბრჭყვიალა, კნოპკა რომ აქვს და ნათურა; კნოპკას დააჭერ და განათდება; მე მინდა სათამაშო საბუთები, რომ გაგისინჯონ და თუ შენია – ფულები მოგცენ...

წერილი № 10 1982 წლის 8 აგვისტო

ჩვენო საყვარელო ბებიკო და მამიდა გულიკო!

დიდ მადლობას მოგახსენებთ საჩუქრებისთვის, ძალიან გავიხარეთ და ვერთობით. მით უმეტეს, რომ ისევ წვიმს და წვიმს, ეზოში მუხლამდე ტალახია. მთებზე ნისლია, ხანდახან საკმაოდ ცივა, ზაფხული მოგვენატრა.

სხვა მხრივ ყველაფერი კარგად მიდის – არაფერი გვაკლია (მზისა და თქვენს გარდა); ჯან-ზედაც აუგი არ გვეთქმის. დავხტივრთ და დავრბივართ, თამაშით არ ვიღლებით; ჭამზე ცოტა უკაცრავად ვართ – ვზარმაცობთ: ზოგჯერ ერთი საათი ვუნდებით.

ტყეში სეირნობაზე ლაპარაკი ზედმეტია, ისეთი სინესტია. ჟოლოს აგვიანდება დამწიფება. სოკოები გამოჩნდა. მამიკომ მოიტანა ირემასოკო, ძალიან ლამაზია, გემოთიც არა უშავს (ჩვენ არ გვაჭამეს). სხვა სიახლეები არაფრია.

კარგად გნახეთ, ჩვენო კარგებო, წერილის მოწერა ნუ დაგეზარებათ,
თქვენი ბესარიონი
და
დათუნა.

წერილი № 11 1982 წლის 13 აგვისტო [ბაკურიანი]

სალამი, ჩვენო საყვარელო ბებიკო და მამიდა გულიკო!

კარგა ხანია, წერილი არ მოგვიწერია. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ჟოლოს კრეფის სეზონი დადგა, დიდ-პატარა, სტუმარ-მასპინძელი დაიძრა ჟოლოს “პლანტაციებისკენ”. აქრიაშულდა ტყე-ღრე, მამიკოც სადამოლობით მოდის ჟოლოიანი ვედროთი, ხელებდაჭინჭრული, დაღლილი. ცოტა ჟოლოს ჩვენ გვაჭმევს, ბევრს გადაარჩევენ და შაქარს მოაყრიან მეორე დღეს მურაბის მოსახარშად. რაცხა დმერთია, მზემ წყალობის თვალთ გადმოგვხედა, რამდენიმე დღეა, არ წვიმს.

დღეები როგორღაც ქურდულად შეუმჩნეველად გაიპარა, აგერ ზაფხულიც იწურება – ორიოდვე კვირაც და ამდენი ხნის უნახავეები ერთმანეთს ჩავეკონებით.

ახლა კი გეოცნით და გემშვიდობებით,
თქვენი პატარა ონაგრები ბესარიონი და დათუნა.

წერილი № 12 1982 წლის 17 აგვისტო [ბაკურიანი]

გამარჯვება, გამარჯვება –

ჩვენს საყვარელს ბებიკოს და მამიდა გულიკოს!

ისევ თქვენი პატარები გწერთ. ვართ ჩინებულად. ბატონ ბესარიონს ერთი-ორი დღე ყელი სტიკოდა და სიცხეც ჰქონდა, ახლა კი ყველაფერი რიგზეა. საჭმელი იმდენი გვაქვს, რომ არ ვიცით, შევძლებთ კი წასვლამდე ათვისებას.

ხალხი ნელ-ნელა იკრიფება ბაკურიანიდან. მამიკომ უკვე დაახლოებით 8-9 ლიტრი ჟოლოს მურაბის მასალა მოზიდა და კიდევ აპირებს ამ დღეებში წასვლას, თუ ამინდმა ხელი შეუწყობს. კიდევ ათიოდვე დღე ვაპირებთ დარჩენას, ეს ვადაც ამინდზე ჰკიდია.

თქვენი წერილი რატომ არ ჩანს?

მამიკომ და დედიკომ – დიდი მოკითხვა, გეოცნით ბევრს,
თქვენი პატარები – ბესარიონი და დათუნა.

წერილი № 13
1982 წლის 20 აგვისტო [ბაკურიანი]

გამარჯობა!

სალამი ჩვენს საყვარელს ბებიკოს და მამიდიკო გულიკოს!

გწერთ ისევ და ისევ პატარა ცუდღუტები, რომლებიც უკვე დღეებს ითვლიან თბილისში წამოსასვლელად. ამინდებმა გაგვიმართლა – სულ მზიანი დარებია; ერთი-ორჯერ ტყეშიც ვიყავით და მარწყვი მოვიძიეთ – ნახევარი კილო მურაბა არ გამოგვივა მაინც. სამაგიეროდ, ჟოლო გვაქვს კაი 10 კილოზე მეტი. ახლა პრობლემა გვაქვს, როგორ გამოვემზავროთ ამდენი ტვირთით. ალბათ მამიკოს მოუწევს ერთი გზობა კიდევ ჩამოიტანოს ტვირთი.

ჩვენ თავს მშვენივრად ვგრძნობთ, თუ არ ჩავთვლით ჭამის პერიოდს, როცა ჩვენი გაჭირვების დროა. მაშინაც სულ ცუდღუტობასა და თამაშზე გვაქვს თვალები დაჭყეტილი.

ყველაფერი მონოტონური და ერთფეროვანია აქ, ხანდახან თუ სადმე გავიპარებით და “დავიკარგებით”, მერე მოგვკებნიან და მიგვტყეპავენ. უფრო ხშირად კი ეზოში ვტრიალებთ, ვედებით ღობე-ფორეს..

ასე მიდის დღეები და სულ მალე თქვენ ჩაგეხუტებით,
თქვენი ბესარიონი და დათუნა.

წერილი № 14
1982 წლის 22 აგვისტო [ბაკურიანი]

სალამი, ჩვენს საყვარელს ბებიკო და მამიდიკო გულიკო!

კიდევ ერთი დღე და ექვსი წლის გახდება ამ წერილის ერთ-ერთი გამომგზავნი, ბატონი ბესარიონი! უეცრად უზარმაზარი ნახტომი გააკეთა და ამიერიდან მოემატა ჭკუა უზომოდ, უჯერებს უფროსებს ყველაფერს... სამაგიეროდ, გუშინ გაიმეორა შარშანდელი გმირობა: მეზობლების არყოფნისას შეძვრა, სხვა თანამზრახველებთან ერთად, მათ ბინაში და მოიპარა ყურძენი! რის გამოც მოხვდა, სადაც საჭიროა, იმ ადგილზე, ცოტა ზომაზე მეტი (დათოსთან ერთად).

მანჭკვალა შემოვიდა, გუშინ გეახელით, ტყეში ყველანი ერთად ვიყავით და ერთადვე მოეკრიფეთ. ბესარიონს ცოტა საჩვენებელი თითი სტკივა, მაგრამ ეგ არაფერი – ეგ ბელადი არ არის, მით უმეტეს, რომ თითი მარცხენა ხელისაა.

სხვა მხრივ ყველაფერი წესრიგშია. დღეს ჩვენს მეზობლებს გამოვატანეთ ერთი ჩანთა, მურაბებიანი ქილები გატენილი, ვინძლო გზა ცოტა შეგვიმსუბუქდეს. წინასწარი ვარაუდით, ვპირებთ წამოსვლას მომავლ კვირას, ე. ი. 29 აგვისტოს. ცოტა გვიანაა, მაგრამ არც ადრე წამოსვლა ივარგებს.

თქვენგან წერილი არ ჩანს, რატომ?

ახლა გეოცნით მაგრად,

თქვენი პატარა ყაჩაღები: ბესარიონ ექვსწლიანი და დათუნა, ჯერჯერობით – არახუთ-წლიანი.

წერილი № 15
1982 წლის 25 აგვისტო [ბაკურიანი]

სალამი და გამარჯვება, ჩვენს საყვარელ ბებიკოს და მამიდიკო გულიკოს!

გიხსენებთ ისევ თქვენი პატარა მუტრუკები – ბესარიონ “ნოლიანი” და დათიკო დრუნჩიანი. ბატონ ბესარიონის დაბადების დღემ ჩვეულებრივ დღესავეთ ჩაიარა, მხოლოდ დედიკომ კარტოფილიანი ღვეზლები გამოაცხო, გაგჭერით საზამთრო და მაგრად ვიქეიფეთ. ბესარიონი და მამიკო ყოველ შემთხვევაში დაეხვდით თბილისის ავტობუსს – იქნებ მამიდიკო ჩამოსულიყო. მეორე დღეს კი წავედით ტიმოთესუბანში – წადვერიდან 3-4 კილომეტრი ფეხით ვიარეთ და ვნახეთ ტაძარი. კარგა ხანს ვიყავით იქ და საღამოს ისევ ბაკურინში დაგბრუნდით.

დღეს ვაპირებთ მანჭკვალას საკრეფად წასვლას ტყეში. მანჭკვალა იმდენია, რომ თითქმის ყველა ეზოში მაგიდებზე აფენია გასახმობად და ჩვენც გვინდა, მათ მივბადოთ. კიდევ რამდენიმე დღე და ჩვენც მივბაძავთ ზოგიერთებს, გულდა-ნაბადი რომ უკვე აიკრეს. დღეები მზიანია, სასეირნოდ საამო და, როგორც მოგახსენეთ, ტყეში მიგვეჩქარება.

ამიტომ გემშვიდობებით, ყოველივე სიკეთეს გისურვებთ და მალე შეხვედრამდის.
თქვენი ბესარიონი და დათუნა.

**ბესარიონი და დათუნა –
ბებია ვენერასა და მამიდა გულიკოს,
ბაკურიანი, 1983 წლის ივლისი – აგვისტო**
(ადრესატის მისამართი: თბილისი, ახმეტელის ქუჩა №6)

წერილი № 1
1983 წლის 11 ივლისი [ბაკურიანი]

სალამი და გამარჯვება, ჩვენს საყვარელ ბებიკოს
და მამიდიკო გულიკოს!

ამჯერად მარტო დათუნა გწერთ, რადგან ბატონი ბესარიონი უკვე წერა-კითხვის მცოდნეა და თვითონ მოგახსენებთ თავის სათქმელს ცალკე. მოგახსენებთ, რომ ვიმგზავრეთ მშვიდობით და სალამოს ხუთის ნახევარზე უკვე კოტეჯში ვიყავით. ასე რომ, ლეიბებისა და საბნების მზეზე გაფიცებაც მოვასწართ. ოთახი მზიანია, ფანჯარა პირდაპირ სამხრეთს მისჩერებია; ლეიბები და სკამები ახალთახალი შეგვხვდა. საჭმელს ჯერჯერობით ელექტროქურაზე ვამზადებთ. ამინდები კარგი დაგვხვდა. მე რომ გამონაყარი მქონდა ნასიცხი, დღეს უკვე დამიცხრა. ბარემ ჩემს აღმატებულების შესახებ კიდევ ერთ ამბავს მოგახსენებთ, რომელიც მამიკოს ძალიან მოეწონა. წამოსვლის წინ მამიკომ ბიჭები გააკვირჭა. მე რომ მკრეჭდა, ბლუჯა-ბლუჯა თმები დაიყარა იატაკზე და მამიკოს ვუთხარი: ნახე,
გაგრძელება დაკარგულია.

წერილი № 2
1983 წლის 15 ივლისი [ბაკურიანი]

გამარჯვება, ჩვენს საყვარლებო – ბებია და გულიკო მამიდა!

ჩვენ უკვე მზეზე დავიბრაწეთ, მაშ! ცოტას დავრბივართ, ცოტას ვცელქობთ, ბევრს ვჭამთ და ბევრს დავსეირნობთ. გუშინ მშვენიერი ამინდი იყო და პირველად გავისეირნეთ ტყეში. ბლომად ჭანჭყობი იყო, სინესტე, მაგრამ სოკოს ჭაჭანებაც არ არის ჯერჯერობით. გავშალეთ მშრალ ადგილას საფენი და რამდენიმე საათს ვიგორავეთ ზედ ნაძვების ჩრდილში. რამდენიმე ცალი მარწყვიც მოვიძიეთ. სალამოს ნისლი ჩამოწვა.

ჩვენ ამ რამდენიმე დღეში დიდი ექსპედიციები მოვაწყვეთ სურსათ-სანოვანის შესაძენად და დვთის წყალობით ვიყიდეთ 10 კგ მსხვილი კარტოფილი, კომბოსტო,
გაგრძელება დაკარგულია.

წერილი № 3
1983 წლის 17 ივლისი [ბაკურიანი]

გამარჯვება, ჩვენს საყვარელ ბებიკო და მამიდა გულიკო!

თქვენი წერილი იგვიანებს, როგორა ხართ, რასა იქმთ? გვინდოდა, ერთ სალამოს დაგვერეკა, მაგრამ გვითხრეს, არავენ პასუხობსო.

ჩვენი დღეები მიედინებიან ჩვეულებრივად ერთხელ დადგენილი წესის მიხედვით. ჭამა-სმის დროს და ძილის გარდა სულ გარეთ ვართ, დავიხრუკეთ უბედურად, ტყავი გვძვრება კისერთან, მუხლები

გაგრძელება დაკარგულია.

წერილი № 4
1983 წლის 21 ივლისი [ბაკურიანი]

სალამი და გამარჯვება, ჩვენს საყვარელ ბებიკო
და მამიდა გულიკო!

ვართ ძველებურად – გვარიანად, არც გვშია, არც გვწყურია და არც გვცივა. ისე კი ორი დღეა ამინდი შეიცვალა – ნისლია და შიგადაშიგ წამოჟინჟლავს კიდევ. მე (ე. ი. ბატონმა დათუნამ) ვიკითხე კიდევ ჩემთვის დამახასიათებელი გონებამახვილობით: “ცას კუჭი აეშალა?”.

ყველანი კარგად ვართ, მადასაც არ ვუჩივით. დღეს მამიკომ ტყეში გაისეირნა და მერცხალასოკო მოიტანა (წიფელაზე რომ იზრდება ხის სოკო).

გაგრძელება დაკარგულია.

წერილი № 5 1983 წლის 22 ივლისი [ბაკურიანი]

გამარჯვება, გამარჯვება!

გესალმებით და საუკეთესოს გისურვებთ თქვენი ცელქი დათუნა. ჩემი ძმაც არ აკლებს ხელს – მისი მუხლები ჩემზე ბარაქიანად არის გადატყაული; “ზელიონკას კაცს” ეძახიან, ისეა ბრილიანტის მწვანით გადაღებილი. დღეს ავძვერით ვაშლი ხეზე და გეახელით კაკლის ტოლა მწვანე ნაყოფი, რისთვისაც დაგემწყვდიეს ოთახში, თუმცა მოკლე ხანში ამნისტია გამოგვიცხადეს. ბესარიონ ბატონი დღეში კითხულობს ორ გვერდს, წერა კი ჭირივით ეჯავრება, წერილსაც იმიტომ არ იწერება.

გაგრძელება დაკარგულია.

წერილი № 6 1983 წლის 26 ივლისი [ბაკურიანი]

საყვარელო ბებიკო და მამიდა გულიკო, გამარჯობა!

ჩვენ კარგად ვართ, დავიხრუკეთ, ცოტა გავზარმაცდით კიდევ. თქვენი ამბავი გვინდა გავიგოთ, წერილს ვერ ვეღირსეთ; ტელეფონით რამდენჯერმე დავრეკეთ თქვენთან და ყურმილს არავინ იღებსო. ასეა ჩვენი საქმეები. გეგმას ვასრულებთ ჯვრჯვრობით – ცელქობის, სეირნობის, ჯიუტობის და ბატონი ბესარიონი – წერა-კითხვის ლიკვიდაციისაც. მეც უნდა შევუდგე აგვისტოში ჩემს განათლებაში ამ ხარვეზის მოსპობას, ნელ-ნელა, რასაკვირველია. ვაპირებ ბატონ ბესარიონს ვაჯობო ყოველმხრივ.

გაგრძელება დაკარგულია.

წერილი № 7 1983 წლის 29 ივლისი [ბაკურიანი]

საყვარელო ბებიკო და მამიდა, გამარჯვება!

გწერ, გწერ წერილებს, თქვენგან კი არაფერი ისმის! ერთ კვირაში მამიკო ჩამოვა და მაშინ მაინც შევიტყობთ თქვენს ამბავს. ჩვენ ძველებურად ვართ. შიგადაშიგ საკმაოდ გრილა და ცივა კიდევ, განსაკუთრებით – ღამით. სხვა მხრივ არაფერი შეცვლილა. დღეს გეახლებით მერცხალასოკოს შეჭამანდს, ვნახოთ, როგორი იქნება. ჩვენი ჭამა-სმა ტრადიციულად ასეთია: დილით – ფაფა (ბრინჯის, მანანის, მაკარონის), შუადღეზე – ბორში, მწვანე ან კურკა ლობიო, კატლეტი, სუფი და ასე შემდეგ, საღამოს – შემწვარი

გაგრძელება დაკარგულია.

წერილი № 8 1983 წლის 7 აგვისტო [ბაკურიანი]

გამარჯვება, ჩვენო საყვარელო ბებიკო და გულიკო მამიდა!

დიდი მადლობა, რომ იმდენი კაკები გამოგვიგზავნე. ჩვენ კარგად ვართ. საჭმელ-სასმელი არ გვაკლია, ამინდებსაც არა უშავს. ნელ-ნელა მიდის ზაფხულის დღეები, სამ კვირაში გეახლებით ალბათ თბილის-ქალაქში, ესე იგი, 29 აგვისტოს, ორშაბათს.

გაგრძელება დაკარგულია.

წერილი № 10
1983 წლის 15 აგვისტო [ბაკურიანი]

გამარჯვება, გამარჯვება!

ეს ერთი კვირაც გადაგაგორეთ, ზოგ-ზოგები უკვე მიემგზავრებიან ბაკურიანიდან. ჩვენ ალბათ 29 აგვისტოს ჩამოვალთ, ოღონდ ჯერ ვერ გადაგვიწყვეტია – მატარებლით თუ ავტობუსით. დამზადების ოპერაციები წარმატებით მიმდინარეობს. ყოლოს გარდა, მოვხარშეთ ცოტ-ცოტა შავი მოცხარის და მარწყვის მურაბები. შემოდის მანჭკვალა, ადრინადა კი; ჩვეულებრივ აგვისტოს ბოლოს იცის.

გაგრძელება დაკარგულია.

წერილი № 14
1983 წლის 28 აგვისტო [ბაკურიანი]

სალამი საყვარელ ბებიკოსა და მამიდიკო გულიკოს!

ესეც ბოლო წერილი! გადავწყვიტეთ, ის ჩვენ თვითონ წამოვიღოთ და პირადად ჩაგაბაროთ, რადგან ფოსტას ნამდვილად ჩამოვასწრებთ. სულ წვიმს და წვიმს, წაიღო ძალა, ხალხი უკვე გაკრეფილია. ბავშვებიც თითო-ოროლა კაკალი დაკუნკულობს, მოწყენილობაა.

გაგრძელება დაკარგულია.

ბესარიონი და დათუნა –
ბებია ვენერასა და მამიდა გულიკოს
ბაკურიანი, 1987 წლის ივლისი – აგვისტო
(adr esat i s mi samar Ti : Tbil isi , axmet el i s quCa №6)
(მოვესწარი: ამ წერილებს ბიჭები თითქმის ყოველდღე მორიგეობით თვითონ წერდნენ –
გავარჯიშებდით წერაში, აქა-იქ მხოლოდ სასვენი ნიშნები დაგუსვი. ი. ო.)

წერილი № 5
1987 წლის 21 ივლისი [ბაკურიანი]

გამარჯობა, მამიდა!

მე ამ წერილს გწერ გზაში, კუნძუზე დამჯდარი, როდესაც კონტაგორიდან გბრუნდებოდით. კონტაგორზე ჩვენ საბაგირო გზით ავედით [და] ფეხით ჩამოვედით. იქ ძალიან ბევრი სხვადასხვანაირი ყვავილები იყო. ჩვენ დიდი თაიგული გავაკეთეთ. ჩვენ გზაში ძერანასოკო ვიპოვეთ. ის მინდორი, სადაც ყვავილები დაგკრიფეთ, მამიკოს დახატულ სურათზეა გამოსახული.

შენ როგორ ხარ? მოგვწერე.

შენი ბესუნა.

წერილი № 6
1987 წლის 22 ივლისი [ბაკურიანი]

გამარჯობა, მამიდა!

როგორ ხარ? ჩვენ კარგად ვართ. დღეს ჩვენ ფეხბურთი ვითამაშეთ – ბაკურიანელები თბილისელებზე – და მოვიგეთ.

შენი საყვარელი დათუნა.

წერილი № 8
1987 წლის 24 ივლისი [ბაკურიანი]

გამარჯობა, მამიდა!

როგორა ხარ? ჩვენ კარგად ვართ. დღეს ჩვენ გაფუშვით ბუშტების გასაშვები, ვითამაშეთ და ვჭამეთ.

შენი საყვარელი დათო.

დათუნას წერილს აქვს ჩემი მინაწერი:

სალამი, გულიკო!

ხედავ, გოგო, როგორი გენიოსი ძმისშვილი გეზრდება? უნდა იამაყო! კარგად შეინახე ეს წერილი და დათუნას მომავალ თხზულებათა სრულ კრებულს მარგალიტად დაამშვენებს...

ჩვენ კარგად ვართ მართლაც, ერთადერთი საზრუნავი ჭამა-ყლაპვის საქმეების მოგვარებაა, ბავშვებს ესეც არ აღადრებს. ცოტ-ცოტას კითხულობენ, დიდები – რაც თბილისში დრო არ გვაქვს წასაკითხად, იმას ვინაზღაურებთ.

კარგად იყავი, შენი სოსო.

წერილი № 9

1987 წლის 25 ივლისი [ბაკურიანი]

გამარჯობა, მამიდა!

როგორა ხარ? ჩვენ სუყველანი კარგად ვართ. დღეს ჩვენ ფეხბურთი ვითამაშეთ, სამწუხაროდ, ჩვენმა გუნდმა წააგო. საზებო რომ არ არის, იმიტომ ვწერ [ასე], დაბრეცილად გამომდის. მე “ტომ სოიერი” უკვე ბევრი წავიკითხე, ეხლა იქა ვარ, ინდიელი ჯოს დამალულ განძს რომ იპოვნიან. მეტი რაღა გითხრა,

გოცნის შენი ბესუნა.

წერილი № 10

1987 წლის 26 ივლისი [ბაკურიანი]

გამარჯობა, მამიდა!

როგორა ხარ? ჩვენ კარგადა ვართ. დღეს ჩვენ კარგად დავისვენეთ. შუადღის მერე წავველით ტყეში. იქ ცოტა დავისვენეთ და მარწყვი დავგერიფეთ, ვჭამეთ და წამოველით.

შენი საყვარელი დათუნა. კიდევ იქ ბესოს ბზიკმა უბინა.

წერილი № 11

1987 წლის 26 ივლისი [ბაკურიანი]

გამარჯობა, მამიდა!

როგორა ხარ. ჩვენ ყველანი კარგად ვართ. მე გუშინ “ტომ სოიერი” დავამთავრე და “პელკბერი ფინის თავგადასავალი” დავიწყე. გუშინ მე კრახანამ მიკბინა. მამიდა, თუ შეგხვდება ახლო საჭურჭეტი დურბინდი, მიყიდე. მე ტყეში ძროხა დავხატე. ძროხა დანატყას არ მაცლიდა, ხან ჩემსკენ მოდიოდა, ხან კი სადღაც იქით.

ნახატი გამოგიგზავნე. ნახვამდი.

შენი ბესუნა.

წერილი № 12

1987 წლის 28 ივლისი [ბაკურიანი]

გამარჯობა, მამიდა!

როგორა ხარ? ჩვენ კარგათა ვართ. დღეს ტყეში ვიყავით, ვჭამეთ. მერე მამა წავიდა დასახატავად, იქ ახლოს იყო ერთად მოგროვებული ფიჩხი და სქელი ტოტი იყო გამოშვერილი. მამა იმ ტოტზე დაჯდა, უცებ რაღაც აფათუნდა, მამამ გამოიხედა და კურდღელი დაინახა; იქ ჩვენ ვნახეთ და ბუნავი იყო. ჩვენ იქ კიდევ გადავწყვიტეთ მისვლა

შენი საყვარელი დათო.

wer i l i № 13
1987 w l i s 4 a g v i s t o [b a k u r i a n i]

გამარჯობა, მამიდა!

როგორა ხარ, ჩვენ კარგად ვართ. ამ ბოლო დღეებში სულ წვიმს, ორჯერ სეტყვაც იყო, მხოლოდ დღეს გამოიდარა. მამიდა, მე შენ იმიტომ ვერ გწერდი წერილებს, რომ სულ მაგიწყებოდა: დილას ვამბობდი, სადილის შემდეგ დაეწერ-მეთქი, მაგრამ მაგიწყებოდა. დედა როცა შმას-სენებდა, უკვე ლოგიში ვიწექი. მამა სანამ ჩამოვიდოდა, მე, დათო და სხვა ბაშეები ტყეში დაედოდი; ტყეში ერთი ღორია, რომელსაც ათი გოჭი...

წერილი ბოლო დაკარგულია.

წერილი № 14
1987 წლის 4 აგვისტო [ბაკურიანი]

გამარჯობა, მამიდა!

როგორა ხარ. ჩვენ კარგად ვართ. დღეს ჩვენ ტყეში ვიყავით კურდღლის სანახავად, მაგრამ არ იყო,

შენი საყვარელი დათუნა.

ფურცლის მეორე გვერდზე წერია:

მე ნახატზე დავხატე ძაღლი, პეპელა, კურდღელი და ბუზი. კურდღელი სოროში ზის, ბუზი ძაღლს ცხვირზე აზის.

წერილი № 15
1987 წლის 5 აგვისტო [ბაკურიანი]

გამარჯობა, მამიდა!

როგორ ხარ? ჩვენ კარგად ვართ. გუშინ ჩვენ ტყეში ვიყავით. იქ ბევრი ვითამაშეთ, ცოტა ჟოლოც დაგვკრიფეთ. დღეს ჩვენ მივდივართ ბოლოჯერ კურდღლის დასაჭერად, თუ არ იქნება, აღარ მოვძებნით და თავს დავანებებთ. აქ ძალიან ცხელა და დავიწვით. მოგვწერე, როდის ჩამოსვალ და სად დავხვდეთ – ავტობუსის გაჩერებაზე თუ სადღურში. აბა, მეტს დათო მოგწერს, კარგად იყავი,

გოცნის შენი საყვარელი ბესუნა.

წერილი № 17
1987 წლის 9 აგვისტო [ბაკურიანი]

გამარჯობა, მამიდა!

როგორა ხარ? ჩვენ ყველანი კარგად ვართ. დღეს ჩვენ ქვევით რომ მივდიოდით, 11 გოჭი შემოგვხვდა; ერთი ისეთი პატარა იყო, რომ აღწერაც კი არ შეიძლებოდა, თუ არ შეხედავდი. დღეს ჩვენ ტყეში წასვლას ვაპირებდით, მაგრამ გაწვიმდა და აღარ წავედით. მე “ჰელკებრი ფინის თავგადასავალი” თითქმის სულ დავამთვრე, ხუთი თავიღა დამრჩა.

მეტი რაღა მოგწერო, კარგად იყავი,

შენი ბესუნა.

წერილი № 18
1987 წლის 10 აგვისტო [ბაკურიანი]

გამარჯობა, მამიდა!

როგორა ხარ? ჩვენ კარგად ვართ. გუშინ მე კბილი გამოვიცვალე. დღეს ჩვენ ტყეში ვიყავით, მამამ იქ სურათები დახატა და წამოვედით, გჭამეთ საჭმელი და ეზოში გავედით.

შენი საყვარელი დათუნა.

სოსო – ლიასა და ბავშვებს
თბილისი, 1988 წლის 26 ივლისი – 17 აგვისტო
 (ადრესატის მისამართი: თბილისი, დიდუბის ქუჩა № 24/26)

(იმ წელს პირველად წავიდნენ ლია და ბავშვები ბაკურიანში უჩემოდ –
 მიოკარდიუმის ინფარქტი ახალი გადატანილი მქონდა)

წერილი № 1
1988 წლის 26 ივლისი [თბილისი]

სალამი, ჩემო საყვარელო ცუნცულებო!

მხოლოდ დღეს, 26 ივლისს, მივიღეთ ბატონ ბესარიონის ბარათი. ძალიან ველავდით, სანამ ბატონმა ვახტანგ გვახარიაძემ* არ გვაცნობა თქვენი ამბავი. უკვე კარგა ხანია, მანდ ხართ, ბევრი მოსაყოლი გექნებათ და გთხოვთ, ხშირ-ხშირად მოიწეროთ. ბატონ ბესარიონისგან მოველი უფრო სუფთად და ლამაზად ნაწერს, ასევე, რა თქმა უნდა, ბატონ დავითისგანაც. ვინც უფრო საინტერესო წერილს შეთხზავს, ვაწესებთ ჯილდოს! რა ჯილდოა? თქვენ რა უფრო გაგიხარდებათ? მოიწერეთ. მოიწერეთ, ვინ არიან თქვენი ამხანაგები, რა ამბები ხდება – დიდი თუ პატარა, ყველაფერი გვაინტერესებს. აბა, თქვენ იცით! თუ პატარა ჩანახატსაც დაურთავთ, ხომ სულ კარგი!

ჩვენ კარგად ვართ, სულ თქვენზე ვფიქრობთ. მოკითხვას გითვლით, ავრეთვე, ცმაცუნა, რომელიც სურათზე გახლავთ გამოსახული. ასე იცის ჩაცუცქვა, ცალ თათს დამალავს, მეორეს წინ გამოიშვერს და არის ასე გატრუნული, მხოლოდ ხანდახან ყურებს გააპარტყუნებს. ისე, ძალიან უხარია, როცა ოთახში შემოვუშვებთ. დარბის სკამის გარშემო, რომელზედაც ვზივარ, ან, თუ ღივანზე ვწევარ, ამოხტება და ძალიან სიამოვნებს, როცა ვეფერები – გაიტრუნება და თვალებს ნაბავს. ისე კი, დიდი გონიერებით არ დაუჯილდოებია ღმერთს, თან საშინელი მხდალია და ზოგჯერ პატარა ხმაურზეც დაფეთდება, ფხაკაფხუკით გარბის და ჩვენც გვაშინებს.

გთხოვთ, წერილები დანომროთ, თან კონვერტს საფოსტო ინდექსები დააწეროთ, ბაკურიანი-საც და ჩვენიც – თავთავის ადგილზე. აბა, თქვენი იმედი მაქვს, ვაჟკაცებო, დელიკოს გაუფრთხილდით, გაგვახარეთ ჩვენ ყველანი, ჩვენო კარგებო.

გოცნით ბევრს,

თქვენი მამიკო.

- – ლიას უფროსი სამსახურში.

გულიკოს მინაწერი ამავე წერილზე:

ჩემო კუნწულებო!

მივიღეთ შენი წერილი, ბესუნია, და ძალიან გაგვიხარდა, მაგრამ ისეთი ცუდი [ხელით] ნაწერია, რომ მიგხვდით, ბაკურიანში მიწისძვრა იყო და იმიტომ გამოვიდა ასეთი მიბრეცილ-მობრეცილი ასოები. მაღლობა ღმერთს, რომ გადარჩენილხართ. ახლა როგორ არის მაქეთ საქმე? როცა თქვენს წერილს მივიღებთ, მიგხვდებით. ბესუნა და დათუნა, იმის მიხედვით, თუ როგორი ნაწერი იქნება თქვენი წერილები, მამიდაც ისეთ საჩუქრებს დაგახვედრებთ. აბა, თქვენ იცით. გოცნით ძალიან ბევრს, ჩემო ლამაზო კუკუნებო.

თქვენი მამიდა.

წერილი № 2
1988 წლის 28 ივლისი [თბილისი]

ჩვენო კარგო ვაჟკაცებო! გამარჯვება!

დღეს მივიღეთ ბატონ ბესარიონის მეორე წერილი. გვარნიან ნაჯღაბნია, მაგრამ კაცი გარჩევს. სამწუხაროდ, მძიმე და წერტილი თითქმის სულ არ უხმარია, ეტყობა, ძვირფასი ჰგონია და იზოგავს. უნდა მოგახსენოთ, რომ წერტილ-მძიმე მარილივითაა – არც უნდა დააკლო და არც ზედმეტი ვარგა, თუ გინდა, გემრიელი ნაწერი გამოგივიდეს.

აქ ძალიან ცხელა, დახუთულია ჰაერი, თუმცა შიგადაშიგ მოღრუბლულიცაა, როგორც დღეს, მაგალითად. მამიდა დიდიდან სამსახურშია, მე სულ შინ ვარ, ხანდახან თუ გავისეირნებ. როგორ მინდა, თვენთან ერთად ვიყო, ახლა უკვე დიდები ხართ და რამდენს ვივლიდით, ვიხეტილებდით! იმედია, მაქმეგობრებს გაიჩინო; მოიწერეთ, რას აკეთებთ, როგორ ერთობით. დათუნას ვთხოვ, დღეში 10 (ათი) გვერდი წაიკითხოს მაინც, ბესიკს კი – დათუნას არ ჩამორჩეს ჭამაში! დედას თხოვეთ, მაქმალაზიაში აგწონოთ ორთავე ახლავე – დათუნამ უნდა დაიკლოს, ბესომ – მოიმატოს! მე შინ ჯდომისგან წონაში მოვიმატე, აწი დიეტაზე უნდა დავეჯდე. დედიკოს მოკითხვა და თხოვნა, წერილით გამახაროს.

გოცნით, თქვენი მამიკო.

წერილი № 3 1988 წლის 3 აგვისტო [თბილისი]

ჩვენო კარგებო!

მივიღეთ თქვენი კიდევ 2 წერილი ერთად – დათუნას ნახატიც გამოუგზავნია, დიდი მადლობა. ერთი გვიკვირს მხოლოდ – ნახატი შარშანდელი ხომ არ არის? აწერია: "10 აგვისტო 1987 წ.". აი, გამოცანა! გთხოვთ, პასუხი მოგვწეროთ. გთხოვთ, დაწვრილებით მოიწეროთ, როგორ მოეწვევთ მანდ, სივიწროვეში ხომ არ ხართ. ციხისჯვარში ყოფილხართ, გვანტერესებს, რით წაბრძანდით და წამობრძანდით, რა ნახეთ ღირსშესანიშნავი.

ბესო, რას კითხულობ ახლა? დათუნა, ხომ გამოგზავნი ახალ ნახატს?

გვიკვირს, რომ ჩვენი წერილები არ მიგიღიათ. ალბათ მისამართი ვერ დაწერეთ მთლად ზუსტად, მხოლოდ მთის ქუჩა, მაგრამ მაინც უნდა მიგეღოთ.

ჩვენ ძველებურად ვართ. მამიდა მთელი დღე სამსახურშია და გვიან მოდის – დაღლილი და მშვიერი. აქ ცხელდება, ეს ორი დღეა, წვიმს, აგრილდა. მანდაც ალბათ გაფუჭდა ამინდი, სიცივეც კია. ფეხზე რას იცვამთ? ახალი რამე ხომ არ იყიდეთ? მოგვწერეთ, როდის ჩამოხვალთ და სად დაგხვდეთ. დედიკომ დაწვრილებით მოგვწეროს ყველაფერი.

გოცნით ბევრს, ბევრს,

თქვენი მამიკო.

P. S. ბესო და დათუნა! 1) ვაცხადებ თქვენს შორის ზღაპრის შეთხზვის კონკურსს. გამარჯვებული მიიღებს საჩუქარს. 2) მეორე შეჯიბრი – ბუნების აღწერაში. მანდ ისეთი ლამაზი ადგილებია, აბა, თქვენ იცით, როგორ კარგად გადმოსცემთ დილას, გინდა – შუადღეს ან საღამოს, ტყეს, გინდაც – ცალკე რომელიმე ხეს ან ბალახს, ყვავილს, ფუტკარის ან პეპლის მოფრენას-მოგზაურობას, ქუჩას, ქუჩაზე მოსეირნე ხალხს ან თუნდაც – ცუგას ან ღორუნას თავისი გოჭუნებით... გაიხედ-გამოიხედეთ და ათას რამეს დაინახავთ, გაიხსენებთ ან წარმოიდგენთ.

კიდევ გოცნით,

თქვენი მამიკო.

დათუნას ნახატი ძალიან მოგვეწონა.

წერილი № 4 1988 წლის 8 აგვისტო [თბილისი]

სალამი, ჩემო კარგო ბაიებო და ლია!

როგორ გვახარებთ, რა კარგი ბიჭები ხართ, რომ ასეთ საინტერესო ნახატებიან წერილებს გვწერთ, ერთია მხოლოდ – წერტილები და მიძიმები თბილისში დაგრჩენიათ! რა ვქნათ? რა და, როცა სწავლას შეუდგებით, ერთად ჩავუჯდეთ პუნქტუაციას! გახსოვთ, რას სწავლობს პუნქტუაცია? მე წიგნები გიყიდეთ – ადამიანის ეს ერთ-ერთი უპირველესი მეგობრები, რომლებიც გაგართობენ კიდევ, ჭკუასაც დაგარიგებენ და ცოდნასაც გაგიმდიდრებენ.

თბილისში ძალიან დაცხა, ბავშვები თითო-ოროლა თუ დარჩა ქალაქში. როგორ მინდა, რომ თქვენთან ერთად ვიყო, ადრეც გწერდით და ახლაც არ შემოძლია, არ გავიმეორო. როგორ მიდის თქვენი ზღაპრების ან მოთხრობების შეთხზვის საქმე? ვაცხადებ კონკურსს! აბა, ვის უფრო მდიდარი ფანტაზია აღმოაჩნდება. იცოდეთ, ვინც მეტს შეცდება, მეტსაც მიაღწევს, ვარჯიში ფანტაზიის განვითარებასაც უწყობს ხელს. თუმცა, ეგ თქვენც იცით და ველი თქვენს ნამუშევრებს. საგანგებოდ მაქვს მომზადებული ორი საქაღალდე, ერთს აწერია "დათუნა", მეორეს – "ბესიკი". ის საქაღალდეები პირდაფრენილები ელიან, როდის მივაწვდით თქვენს ნამოღვაწარს.

გოცნით, თქვენი მამიკო.

წერილი № 5
1988 წლის 17 აგვისტო [თბილისი]

სალამი, ჩემო ცუნცულიებო!

ორი დღეა, რაც წახვედით და ასე მგონია, თითქოს ორი წელი გავიდა – ისე მომენატრეთ. როგორ გამოყრუვდა აქაურობა, საოცარი სიცარიელეა უთქვენოდ.

აბა, თქვენ იცით, როგორ შეასრულებთ დანაპირებს, ველი თქვენს მოთხრობებს თევზაობაზე, გაიხსენეთ ყველაფერი, ზოგი რამეც მოიგონეთ, დაამატეთ, გაამდიდრეთ ფანტაზიით, გამოიგონეთ. ამას დრო უნდა, ჩაუჯექით და იფიქრეთ; იცოდეთ, უცებ არაფერი გამოვა, მოთმინება იქონიეთ. სამაგიეროდ, მამიკოს გაახარებთ და მამიდასაც. თუ ივაჟაკებთ, კარგ მოთხრობას ჩემს საბეჭდ მანქანაზე დაგაბეჭდვინებთ. ამის გარდა, მანდაც ბევრი რამ ხდება, უამრავი ხალხი ირევა, ლამაზზე ლამაზი ბუნებაა – ტყე, მთები, მინდვრები, უფრო წერილად – ბალახები, ხე-ბუჩქები, მწერები, ყვავილები, ხავსიანი ქვები, დაფუტვრობული კუნძულები, სოკოები და სხვა და სხვა, დაუსრულებლად. ნუთუ არ გეყოფათ დასაკვირვებლად, გასააზრებლად და მოსაყოლად? დამიჯერეთ, თითო ხეზე თითო ამბის მოყოლა შეიძლება, თუ დაუკვირდებით და ჩაუფიქრდებით დანახულს.

გოცნით ბევრს,
თქვენი მამიკო.

P. S. დათუნა და ბესო! თუ ნახატებსაც გამოგზავნით, თქვენზე უკეთესი ბიჭები ქვეყნად არ იქნება.

სოსო.

ბესარიონი და დათუნა –
ბებია ვენერასა და მამიდა გულიკოს
ბაკურიანი, 1991 წლის აგვისტო
(ადრესატის მისამართი: თბილისი, ახმეტელის ქუჩა №6)
(ამ წერილებს ბიჭები მორიგეობით თვითონ წერდნენ,
აქა-იქ მხოლოდ სასვენი ნიშნები დაეუსვი. ი. თ.)

[წერილი № 1
1991 წლის 4 აგვისტო, ბაკურიანი]

საყვარელო მამიდა!

ჩვენ კარგად ვიმგზავრეთ, აქაც საკმაოდ ცხელა, მხოლოდ საღამოობით გრილა. ჩვენ აქ ცაცხვის ყვავილები დაგკრიფეთ და ვახშობთ. აქ ჯერჯერობით არაფერ არ არის, მაგრამ თანდათანობით ჩამოდიან ბავშვები; დღეს მათაც ჩამოვიდა* გუშინ კინოში ვიყავით მე და დედა, დათო არ წამოვიდა, “მისტერ პიტინი მტრის ზურგში” გადიოდა. თანდათანობით ფეხბურთის მოედანს ვაკეთებთ, დღეს შტანგები ჩავარტყვეთ და ალბათ მალე ვითამაშებთ. აბა, მეტი რაღა მოგწერო, ვეცდები, ხშირად მოგწერო წერილები.

გოცნი, შენი ბესო. პაჩი, პაჩი, პაჩი.

* ლიას დისშვილი.

[წერილი № 2
1991 წლის 6 აგვისტო, ბაკურიანი]

გამარჯობა, მამიდა!

როგორა ხარ? ჩვენ ძალიან კარგად ვართ! ფოსტაში იმიტომ ვერ წამოვედი, რომ მუცელი მტკიოდა. მომწერე, სადმე თუ წახვალ. აქ ძალიან კარგია. ჩავეწერეთ ბიბლიოთეკაში. დღეს შეიძლება, ტყეში წავიდეთ სოკოებზე. მალე ალბათ კონტაგორაზეც ავალთ. ბორჯომში ვაპირებთ წასვლას, მაგრამ მანქანა ისევ გაგვიფუჭდა, ალბათ მალე ვიშოვით ნაწილს. თუ შეძლებ, ბესოს დაბადების დღეზე ჩამოდი. შემდეგში მოვალ და დაგირეკავ ფოსტიდან. აქ მაგარი სიცხეები იყო, მაგრამ სოკო არ არის. მარწყვი ბლომდაა, ჟოლოსზე და მყვალზეც ვაპირებთ წასვლას. გზაში კარგად ვიმგზავრეთ. გზადაგზა ვაჩერებდით და ვისვენებდით ხოლმე.

კარგად იყავი, გოცნი, შენი დათუნა.

* *

 * *